პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

- — გაიხსნა ინგლისის კოოპერატიული კავშირის ყრილობა.
- — სტრასბურგის მერად არჩეულია კომუნისტი.
- — დააპატიმრეს სამხრეთ-სლავიის დემოკრატიული პარტიის ბელადი პრიბიჩევიჩი.
- — ორლოვის და პავლონოვსკის საქმე გაირჩევა ივნისში.
- — ინგლისის პარლამენტის არჩევნებში წამოყენებულია 1750 კანდიდატი.
- — ამხ. კოსიორი და პრეობრაჟენსკი გაემგზავრნენ ურალის რაიონში.
- — დამთავრდა ინდუსტრიალიზაციის 1-ლი სესხის ტირაჟი.

პარასკევი, 24 მაისი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 116 (2462)

კომუნისტი

მიიღება ხელისმოწერა ივნისისათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81.

სავალდებულო აგრომინიმუმი

საკავშირო ცაკის მესამე სესიამ მოგვცა დირექტივა ხუთი წლის განმავლობაში სასოფლო მეურნეობის მოსავლიანობის 30—35 პროცენტით გადიდების შესახებ. ზოგიერთებს ეჭვი შეეპარათ ამ დავალების განხორციელებაში. მაგრამ მათ არ აქვთ შეგნებული ან არ უნდათ შეიგნონ, თუ რა შესაძლებლობანი გააჩნიათ ამ მხრივ პროლეტარიულ სახელმწიფოს და მშრომელ მასებს. ყველა საშუალების გამოყენებით, სათანადო ორგანიზაციულ ღონისძიებათა მიღებით და გლეხობის შემოქმედებითი ენერგიის გაშლით სავსებით მოსახერხებელია მოსავლიანობის 30—35 პროცენტით აწევა.

თავის თავად (ცხადია, გლეხობის მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესება და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწრაფი და ფართე მასშტაბით ზრდა პირველ ყოვლისა გულისხმობს გლეხობის საწარმოო პროცესების კოოპერატიულ გაერთიანებას და სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციას. დღევანდელი წვრილი და დაქუცმაცებული მიწადსარგებლობა არის სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობის, მისი მოსავლიანობის სიმცირის ერთი უმთავრესი ფაქტორთაგანი. ამიტომაა, რომ გლეხობაში თანდათან ძლიერდება ლტოლვა კოლექტივიზაციისაკენ; კოლექტიური მეურნეობანი იზრდებიან რიცხვობრივად, უმჯობესდება მათი მუშაობის ხარისხიც.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და მისი შემდგომი განვითარების ძირითად პირობას, რა თქმა უნდა, მძიმე ინდუსტრიის, კერძოდ ლითონის და ქიმიური მრეწველობის ზრდა წარმოადგენს; მანქანები და მინერალური სასუქი მისი რეკონსტრუქციის საფუძველია. მანქანათმშენებლობის და ქიმიურ მრეწველობის დარგში დიდი ნაბიჯებია გადადგმული. მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესრულება ამ მხრივ საკმაო რესურსებს მოგვცემს სოფლის მეურნეობის მაღალ დონეზე ასაყვანად.

ამავე დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მარტივ აგრიკულტურულ ღონისძიებათა გატარებას. თუმცა აღდგენითი პერიოდი საერთოდ დამთავრდა, მაგრამ წვრილ მეურნეობას ჯერ კიდევ მთლიანად არ ამოუწურავს შესაძლებლობანი მოსავლიანობის გასადიდებლად და ნათესების სივრცის გასაფართოვებლად. ღარიბ და საშუალო გლეხობას ამ მხრივ ყოველნაირად უნდა შეუწყოთ ხელი.

ამ ამოცანას ემსახურება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონი, რომელიც მოსახლეობის ამ ფენებს მთელ რიგ შეღავათებს ანიჭებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი დამუშავებულ მიწის ფართობს გაადიდებენ და თავის მეურნეობაში ასე თუ ისე თვალსაჩინო გაუმჯობესებას შეიტანენ.

ამ მხრივ აგრეთვე მეტად საგულისხმოა ჩვენი მთავრობის დადგენილება „მოსავლიანობის გასადიდებლად მარტივ აგრიკულტურულ ღონისძიებათა სავალდებულო წესით განხორციელების შესახებ“ (იხ. „კომუნისტი“-ს გუშინდელი ნომერი). უდავოა, რომ სოფლად მრავალი საშუალება მოიპოვება მოსავლიანობის ასაწევად. ზუგდიდის მაზრაში ამ მხრივ ჩატარებული ღონისძიებანი მეტად საგულისხმოა. ამიტომაც იყო, რომ საქ. ცაკის მეხუთე პლენუმმა ზუგდიდის მაგალითი მისაბაძად სცნო სხვა რაიონებისათვის. მაგრამ ამ დარგში ჯერ-ჯერობით მხოლოდ ცალკე ცდები სწარმოებს. უბრალო გლეხისათვის მისაწვდომ აგრიკულტურულ ზომების განხორციელებას სრულებით არა აქვს მასიური ხასიათი. აიხსნება ეს ერთი მხრით გლეხობის შეუგნებლობით და კონსერვატიზმით, მეორე მხრით იმ გარემოებით, რომ ძალზე სუსტად სწარმოებს სათანადო ახსნა-განმარტებითი და ორგანიზაციული მუშაობა და საკრედიტო თუ სხვა დახმარების აღმოჩენა გლეხობისათვის.

ზევით ხსენებულმა დადგენილებამ სავალდებულო აგრომინიმუმის გატარების შესახებ უეჭველად საგრძნობი გარდატეხა უნდა გამოიწვიოს სასოფლო მეურნეობაში. იქ ჩამოთვლილია მთელი რიგი ზომები, რომელნიც აუცილებლად უნდა იქნან განხორციელებული. ამასთან, სამაზრო ხელისუფლებას უფლება ეძლევა დასახოს სხვა ღონისძიებებიც, რომელთა გატარება ადგილობრივ პირობების მიხედვით საჭიროა და შესაძლებელი. ამ მიზნით ის სცემს სავალდებულო დადგენილებებს. იმათ მიმართ, ვინც სავალდებულოდ გამოცხადებულ ღონისძიებებს არ განახორციელებს, მიღებულ იქნება სხვადასხვა საზოგადოებრივი და ადმინისტრატიული ხასიათის ზომები, რომლებიც ჩამოთვლილია მთავრობის დადგენილებაში.

რა თქმა უნდა, აგრომინიმუმის გატარება მარტო ადმინისტრატიული მეთოდებით არ შეიძლება. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობაში ფართე კამპანიის ჩატარებას. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ გლეხობა დასახულ ღონისძიებათა აუცილებლობაში, რომ თვითონ მან თავის ყრილობებზე გამოიტანოს სათანადო დადგენილებები და შეგნებულად მოჰკიდოს ხელი მათ განხორციელებას. მთავრობის დადგენილება ამას ხაზგასმით აღნიშნავს. საჭიროა ამ საქმეში ჩავაბათ სასოფლო ორგანიზაციები და მის გარშემო მთელი საზოგადოებრივი ძალები ავამოძრაოთ.

შემდეგ: ადგილობრივმა ორგანოებმა ზედმიწევნით უნდა გაითვალისწინონ, თუ პირველ რიგში რა ღონისძიება უნდა იქნას გატარებული და არის თუ არა სათანადო პირობები და საშუალებები ამა თუ იმ ზომის განსახორციელებლად. ყოველივე შესაძლებლობა, ცხადია, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, მაგრამ ამავე დროს გადაჭარბებული გატაცება და რეალურ რესურსებისათვის ანგარიშის გაუწევლობა ზიანის მეტს არაფერს მოგვიტანს. თავის თავად უფართოესი ასპარეზი ისახება გლეხობისათვის შედარებით ადვილად მისაწვდომ და გასაგებ აგრიკულტურულ ღონისძიებათა განხორციელების დარგში. და თუ ჩვენ ამ მხრივ შევსძლებთ საჭირო მუშაობის გაშლას, ეს ფრიად საგრძნობ შედეგებს მოგვცემს.

მთავრობის დადგენილება აგრომინიმუმის შესახებ ადგილობრივ ორგანოებს უდიდეს პასუხისმგებლობას და ამოცანებს აკისრებს. ისინი დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ მის შესასრულებლად გლეხობის მომზადებას, გეგმის შემუშავებას და პრაქტიკულ საქმიანობას.

მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის განმტკიცების დემონსტრაცია

საბჭოთა კავშირის მთავრობის საანგარიშო მოხსენების მოსმენა საბჭოების ყრილობაზე დამთავრდა რეზოლუციის ერთხმად მიღებით. ეს რეზოლუცია იწონებს მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკას. მრავალი ერისა და რაიონის წარმომადგენელნი ორი დღის განმავლობაში დაწვრილებით არჩევდნენ მთავრობის ღონისძიებებს პოლიტიკის, მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. დელეგატების თვალსაჩინო ნაწილი ყრილობაზე მოვიდა უშუალოდ წარმოებიდან, მათ სიტყვებში ჩანდა უდიდესი პასუხისმგებლობა სოციალისტური მშენებლობის ბედიღბლისათვის, ჩანდა ბრძოლის პათოსი, რომელიც გამარჯვების გადამწყვეტია.

წინა ყრილობის შემდეგ გასულმა ორმა წელმა შესაძლებელი გახადა ახალი თვალსაჩინო შედეგების აღრიცხვა. ამ ორ წელს ახასიათებს ისეთი წინსვლა, რომელიც შესაძლებელია მხოლოდ მშრომელი მოსახლეობის უდიდესი ფენების გმირული ამოძრავების ეპოქაში. ჩვენი ქვეყნისა და მთელ მსოფლიოს წინაშე ყრილობა წარსდგა მასების ენერგიის ცოცხალ განსახიერებად. ამავე დროს მან საუკეთესოდ და უაღრესად თვალსაჩინოდ უარჰყო ის ცილისწამება, თითქოს ხდებოდეს მეურნეობის „დეგრადაცია“.

ყრილობაზე, რომელზედაც შეიკრიბნენ ჩვენი ქვეყნის ყველაზე მიყრუებული კუთხეების წარმომადგენელნი, არ ყოფილა არც ერთი ისეთი დელეგატი, რომელსაც პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ დასახული ტემპი სახალხო მეურნეობის განვითარებისა ჩაეთვალა გადამეტებულად და ჩვენი ძალღონისათვის შეუფერებლად. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის ამოცანები ღრმად შეიჭრნენ მუშათა და გლეხთა უფართოესი მასების შეგნებაში. ამ მასებმა ყრილობაზე გამოსთქვეს თავიანთი მტკიცე მისწრაფება—არა თუ დავეწიოთ და გავუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს ტეხნიკურად და ეკონომიურად, არამედ, როგორც დამახასიათებლად გამოსთქვა ერთმა გლეხმა დელეგატმა, კიდევაც გავრეკოთ სხვა ქვეყნებში გაბატონებული ბურჟუაზია.

ყრილობის ერთსულოვნება წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის პოლიტიკური ერთობის გამოხატულებას და მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის სიმტკიცის დემონსტრაციას. მშენებლობის განვითარების წლებმა შესაძლებელი გახადეს ის, რომ შემოწმებულიყო ხელმძღვანელი როლი მუშათა კლასისა, რომელიც ახორციელებს ღარიბ გლეხობაზე დაყრდნობის და საშუალო გლეხობასთან კავშირის პოლიტიკას, ყველაზე საპასუხისმგებლო საქმეში — სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციაში სოციალისტურ საფუძვლებზე. შემოწმების შედეგები რეზოლუციაში გამოხატულია იმის სრული აღიარებით, რომ მთავრობის პოლიტიკური ხაზი სწორია და შეეფერება ქალაქისა და სოფლის უფართოესი მასების ინტერესებს. ყრილობამ სრული ანგარიში გაუწია იმას, რომ სოციალისტური მშენებლობის გზაზე წარმატებით წინსვლა შესაძლებელი აღმოჩნდა იმის მეოხებით, რომ მტკიცედ და განუხრელად ტარდებოდა კაპიტალისტური ელემენტების დაძლევისა და განდევნის კურსი. ყრილობამ მკაფიოდ აღნიშნა რეზოლუციაში კულაკთან და ნეპმანთან შემდგომი, უფრო გამძაფრებული ბრძოლის განგრძობის საჭიროება. კულაკების მიმართ დათმობაზე წასვლა, რასაც პარტიის დამფრთხალი ელემენტები მოითხოვდნენ, გამოიწვევდა უდიდეს აღშფოთებას დელეგატებს შორის, რომლებსაც თან მოჰყვათ ნათელი წარმოდგენა კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგობის აზრისა და ხასიათის შესახებ და მათთან ბრძოლის საჭიროების შეგნება. დელეგატების ყოველი გამოსვლა მოწმობდა კავშირის განმტკიცებას და იგი ყოველგვარ სხვა საბუთზე უკეთ აქარწყლებდა იმ ურწმუნოთა გეზს, რომელნიც ლაყბობენ, თითქოს ადგილი აქვს „კავშირის გაწყვეტას“ და „დეგრადაციას“.

ამასთან ერთად დელეგატები ხაზგასმით აღნიშნავდნენ მშენებლობის სიძნელეებს. ყრილობა სავსებით უწევდა ანგარიშს რეკონსტრუქციის სიძნელეებს. დელეგატები ეხებოდნენ იმ დაბრკოლებებს, რომლების დაძლევაც უხდებათ მუშასა და გლეხს კლასობრივი მტრის წინააღმდეგობასთან ბრძოლაში, საკუთარ უცოდინარობასთან, უკულტურობასთან და ტეხნიკურ ჩამორჩენილობასთან ბრძოლაში. არავის ოდნავაც არ ეპარება ეჭვი იმაში, რომ ჩვენ ძალგვიძს სიძნელეთა გადალახვა. მასები ჩაებნენ ბრძოლაში საამშენებლო მუშაობისათვის მუშათა კლასის ხელმძღვანელობით და შემოქმედებითი აღფრთოვანებით იბრძვიან და მუშაობენ.

თუმცა სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის დეტალები ყრილობას ჯერ არ მოხსენებია და მთავრობის ანგარიშში დელეგატები მხოლოდ ხუთწლიანი გეგმის საფუძვლებს გაეცნენ, მაგრამ კამათმა ერთბაშად ცხადჰყო განსაკუთრებული ინტერესი მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის გაშლის ამოცანებისადმი. ხუთწლიან გეგმაში დასახული მუშაობის პროგრამას მტკიცედ მხარი დაუჭირეს ადგილების წარმომადგენლებმა, რომელთაც გადაშალეს ჩვენი ქვეყნის რესურსების გამოყენების ახალი და ახალი შესაძლებლობანი. ყოველი რესპუბლიკა, ყოველი, რაიონი სცდილობდა დაესაბუთებინა მოთხოვნა ახალი ქარხნის აგებისა, სასოფლო-სამეურნეო მანქანათა ქარხნების გადიდებისა, საბინაო მშენებლობის გაფართოვებისა და კულტურული მიზნებისათვის სახსრების გადიდების შესახებ.

ეს მოთხოვნები, რომლებიც მიმართულია ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის უფრო მაღალი ტემპების მიღწევებისაკენ, წარმოადგენენ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის სისწორისა და ყრილობებისათვის წარდგენილი ხუთწლიანი გეგმის რეალობის საუკეთესო საქმიან და პრაქტიკულ საბუთს. მაგრამ ეს მოთხოვნები ამავე დროს უდიდეს მოვალეობას აკისრებენ შემსრულებლებს, ყოველ მუშასა და გლეხს, რომელიც მოწოდებულია აქტიური მონაწილეობისათვის ჩვენი ქვეყნის მმართველ-გამგეობაში და მეურნეობის სოციალისტური ფორმების მშენებლობაში. მოწინავე მუშურ-გლეხური აქტივის საშუალებით ჩვენ უნდა ავწიოთ მასების ჩამორჩენილი ფენები, უნდა გავაღვიძოთ მათში სამეურნეო პასუხისმგებლობის გრძნობა, ყოველი ღონისძიებისათვის, ყოველი დახარჯული კაპეიკისათვის, როგორც ის გამოცდილება გვიჩვენებს, რომელიც ჩვენ უკვე მოვიპოვეთ, სოციალისტური შეჯიბრება წარმოადგენს მასებში ამ სამეურნეო პასუხისმგებლობის გაღვიძებისა და სოციალისტური მშენებლობისაკენ მასების უდიდესი პოტენციალური ენერგიის წარმართვის ერთ-ერთ საუკეთესო ფორმას.

შემდგომი მოძრაობის ძირითადი ეტაპები განსაზღვრულია საკმაოდ მკაფიოდ. არა თუ მუშას, ღარიბ და საშუალო გლეხსაც ესმის, თუ რამდენად საჭიროა საწარმოო საშუალებათა წარმოების განვითარება, ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაცია, ქიმიური მრეწველობისა და მანქანათმშენებლობის გაძლიერება. რადგან ჩვენ გვსურს ბევრად უფრო გავაძლიეროთ სოფლის საწარმოო საჭიროებათა დაკმაყოფილება, განუხრელად უნდა ვიაროთ იმ გზით, რომ უზრუნველვყოთ ინდუსტრიალიზაცია და დაკავშირება საწარმოო ფორმა, რომელშიაც უფრო დაინტერესებულია ამჟამად გლეხობის ძირითადი მასა. ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციისაკენ მოძრაობის საქმეს ჩვენ ვუფარდებთ იმას, რომ ყოველმხრივ ვუწყობთ ხელს ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობებს, ჩვენ ვეხმარებით მათ იმით, რომ საწარმოო გაერთიანებისა და კოლექტივიზაციის გზით გადავიდნენ კოლექტიური მეურნეობის უმაღლეს ფორმებზე, რომელნიც სავსებით ანთავისუფლებენ სოფელს კულაკურ, ექსპლოატაციისაგან, მონური მძიმე შრომისაგან, სილატაკისა და სიბნელისაგან.

ამავე კლასობრივ საფუძვლებზეა აგებული ნაციონალური პოლიტიკა, რაც კონკრეტულად გამოიხატა საბიუჯეტო სახსრების ისეთ განაწილებაში, რომელიც საშუალებას აძლევს ჩამორჩენილ რესპუბლიკებსა და რაიონებს დაეწიონ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში საბჭოთა კავშირის სხვა უფრო დაწინაურებულ ნაწილებს. ხუთწლიანი გეგმა, რაიონების გეოგრაფიასა და მათ ბუნებრივ რესურსებთან შეფარდებით, ითვალისწინებს სამრეწველო მშენებლობის თვალსაჩინოდ გაძლიერებას და სოფლის მეურნეობისათვის ხელის შეწყობას სწორედ ჩამორჩენილ რესპუბლიკებსა და რაიონებში. ეს პოლიტიკა შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარული დიქტატურის ქვეყანაში, სადაც ადგილი არა აქვს მშრომელი მასების რომელიმე ნაწილის ჩაგვრას, სადაც წინსვლა ხორციელდება მუშათა და გლეხთა მთელი მასის კავშირით და სოციალისტური შეჯიბრების გზებით.

ყრილობის გადაწყვეტილებებმა ხელი უნდა შეუწყონ ჩვენს ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის, განსაკუთრებით მისი ქვედა ორგანიზაციების განმტკიცებისათვის. უკანასკნელმა არჩევნებმა საგრძნობლად გამოაცოცხლეს და განამტკიცეს საბჭოები. მაგრამ აშკარაა, რომ ის მიღწევები, რომლებიც ჩვენ გვაქვს, არა კმარა მშენებლობის დასახული ტემპის უზრუნველსაყოფად. ბიუროკრატიზმის ხენი კვლავ განაგრძობს რევოლუციური საქმეების დამახინჯებას და შეფერხებას. ჯერ კიდევ მეტად სუსტად არის განვითარებული ქვედა საზოგადოებრივობა, მასების ეს უდიდესი მამოძრავებელი ძალა ჩვენს პირობებში. ჩვენ სათანადოდ ვერ გავაჯანსაღებთ საბჭოებს, ვერ განვამტკიცებთ კოოპერაციას და ვერ მივაღწევთ ვერც მშენებლობის დასახულ ტემპს, თუ სათანადოთ არ ავამაღლებთ საბჭოთა ქვედა საზოგადოებრიობას და საბჭოთა ნამდვილ დემოკრატიას.

სრულიად საკავშირო ყრილობის ერთსულოვნება წარმოადგენს იმის საუკეთესო გარანტიას, რომ ჩვენ გადავლახავთ მშენებლობის სიძნელეებს, რომლებიც ზრდის სიძნელეებს წარმოადგენენ, დავძლევთ კლასობრივი მტრის წინააღმდეგობას და უზრუნველვყოფთ სოციალისტური მშენებლობის საჭირო განვითარებას მშრომელთა მილიონიანი მასების კეთილდღეობისა და კულტურის აწევის საფუძველზე. ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების გზით წავა მრავალი ათასი ქვედა ორგანიზაცია, ისინი მოუწოდებენ მასებს კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებისა, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის აწევისა და სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებისაკენ.

„პრავდა“, 23 მაისი.

ანტანტის სახელმწ. ექსპერტების ახალი მემორანდუმი

მოკავშირეები გერმანიის ვალის გადახდის ვადას საზღვრავენ 59 წლით

დადასტურდა ფინ-იუი-სიანის შეთქმულება ჩან-კაი-შის წინააღმდეგ

უთანხმოება ექსპერტთა კონფერენციაზე

კრედიტორ სახელმწიფოების ექსპერტთა მემორანდუმი

პარიზი, 22 მაისი. ჰავასის სააგენტო იუწყება: გერმანიის ექსპერტს შახტს გადასცეს სტემპის მოხსენება და კრედიტორ სახელმწიფოების ექსპერტთა მემორანდუმი.

მემორანდუმში ნათქვამია, რომ კრედიტორი სახელმწიფოები თანახმანი არიან მიიღონ შემდეგი დებულებანი: პირველი 37 წლის განმავლობაში სარეპარაციო გადასახადების წლიური საშუალო რაოდენობა განისაზღვრება 2.050.000.000 მარკით. ეს გადასახადები უნდა მოხმარდეს ომისაგან მიყენებული ზარალის დაფარვას. შემდეგი 22 წლის განმავლობაში გადასახადები მოხმარდება მოკავშირეთა შორის ვალების დაფარვას. ბელგიამ უნდა აინაზღაუროს ქაღალდის, იმ მარკებისაგან მიყენებული ზარალი, რომლებიც გამოშვებულ იქნა გერმანელთა ოკუპაციის დროს. საერთაშორისო ანგარიშების გამასწორებელი ბანკის ძირითადი კაპიტალის დამოუკიდებლად, დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა, კერძოდ, გერმანიამ, ბანკში უნდა შეიტანონ თანხები, რომლებიც ბანკის საბრუნავ თანხებად ჩაითვლება.

გაზეთების სიტყვით, შახტი ექსპერტებს ენერგიულ წინააღმდეგობას უწევს. მორგანი და იუნგი ცდილობენ გავლენა მოახდინონ ევროპიელ ექსპერტებზე და, ალბად, ამ მიზნით ხმებს ავრცელებენ, რომ ისინი 29 მაისს ნიუ-იორკში მიემგზავრებიან. (ადს).

კრედიტორ სახელმწიფოთა შეთანხმება

პარიზი, 22 მაისი. ჰავასის სააგენტო იუწყება: კრედიტორ სახელმწიფოების ექსპერტები პრინციპიალურად შეთანხმდნენ კრედიტორთა შორის რეპარაციის განაწილების შესახებ, აგრეთვე იმ წერილის რედაქციის შესახებ, რომლითაც წინადადებას აძლევენ შახტს ხელ-ახლა ჩამოაყალიბოს თავისი შენიშვნები. შეუთანხმებელი დარჩა რამდენიმე მუხლი, რომლებსაც მხოლოდ სარედაქციო ხასიათი აქვს. შეთანხმებაში აღნიშნულია ის პირობები, რომლებითაც კრედიტორი სახელმწიფოები თანახმანი არიან მიიღონ შახტის მიერ უკვე მოწონებული ციფრები და საფუძვლად მიიჩნიონ სტემპის საერთო მოხსენება. (ადს)

ფინ-იუი-სიანის და ჩან-კაი-შის კონფლიქტი

ფინ-იუი-სიანის შეთქმულების დადასტურება

შანხაი, 22 მაისი. „ნორტ ჩაინა დეილი ნიუს“-ი იუწყება: ფინ-იუი-სიანის ბინაზე აღმოაჩინეს საბუთები, რომლებიც ადასტურებენ შეთქმულების არსებობას ფინ იუი-სიანის და ვან ძინ-ვეის მეთაურობით. ეს უკანასკნელი გერმანიასა და საფრანგეთში სამხედრო მასალას ყიდულობდა. თუ გაიმარჯვებდნენ, ფინ იუი-სიანის ხელში უნდა გადასულიყო სამხედრო საქმეები, ხოლო ვან ძინ-ვეის ხელში—სამოქალაქო საქმეები (ადს).

მანჯურიის ლიდერების სამხედრო თათბირი

ხარბინი, 22 მაისი. ჯან სიუე-ლიანმა მოიწვია მანჯურელი ლიდერების სამხედრო თათბირი, რომელიც განიხილავს ფინ იუი-სიანის გამოსვლასთან დაკავშირებულ საკითხებს. ჯან სიუე-ლიანის დეპეშაში უკანასკნელი ამბების გამო ნათქვამია:

„ამ მოუსვენარ მომენტში საჭიროა დიდი სიფრთხილე სხვადასხვა ჯგუფებთან მოლაპარაკების დროს, საჭიროა მზად ვიყოთ აღმოსავლეთის სამი პროვინციის დასაცავად“.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

თევფიკ რუშდი-ბეი ლიტვინოვთან საუბრის შესახებ

სტამბოლი, 22 მაისი. მეჯლისში ბიუჯეტის შესახებ კამათის გახსნის წინ თურქეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ დიდი მოხსენებით გამოვიდა საგარეო საქმეთა მინისტრი თევფიკ რუშდი-ბეი. სხვა სახელმწიფოებთან დამოკიდებულების დახასიათების დროს მინისტრმა პირველად საბჭოთა კავშირი დაასახელა.

„ჟენევაში,— განაცხადა თევფიკ რუშდი-ბეიმ, — მე არა ერთხელ მქონდა მეგობრული და გულწრფელი საუბარი თურქეთისადმი მეგობრულ დამოკიდებულებაში მყოფი საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთან, ლიტვინოვთან, ჩვენი სახელმწიფოების ურთიერთობის შესახებ“.

თევფიკ რუშდი-ბეის ამ სიტყვებს მეჯლისი ტაშით შეეგება (ადს).

ზალესკი საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შესახებ

ვარშავა, 22 მაისი. ზალესკიმ მიიღო გაზეთ „პესტერ ლოიდ“-ის წარმომადგენელი. ჟურნალისტი შეეკითხა ზალესკის საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ურთიერთობის შესახებ ბარანოვიჩში მომხდარი ამბის შემდეგ. ზალესკიმ განაცხადა — ამ შემთხვევის ხასიათი ისეთია, რომ მას „არ შეუძლია გავლენა იქონიოს ჩვენ შორის არსებულ დამოკიდებულებაზე“-ო. (ადს).

საბჭოთა კავშირი და მცირე ანტანტის სახელმწიფოები

ბერლინი, 22 მაისი. როგორც „ბერლინერ ტაგებლატ“-ი იუწყება, სამხრეთ-სლავიის მეფემ მიიღო ჩეხო-სლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრი ბენეში, რომელიც მონაწილეობას იღებს მცირე ანტანტის კონფერენციაში.

გაზეთების გადმოცემით, მეფისა და ბენეშის საუბრის დროს განხილულ იქნა საკითხი საბჭოთა კავშირისადმი მცირე ანტანტის სახელმწიფოთა დამოკიდებულების შესახებ, კერძოდ, საკითხი ანტი-საბჭოთა ფრონტის შესახებ.

საუბრის დროს უარყოფილ იქნა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენის საკითხში მცირე ანტანტის სახელმწიფოთა საერთო პოლიტიკის იდეა. ამ საკითხში „ამიერიდან მცირე ანტანტის თვითეული სახელმწიფო დამოუკიდებლად იმოქმედებს“.

საარჩევნო ბრძოლა ინგლისში

საპარლამენტო კანდიდატების შემადგენლობა

ლონდონი, 22 მაისი. დამთავრდა იმ კანდიდატების რეგისტრაცია, რომელთაც კენჭი ეყრებათ 30 მაისს, საპარლამენტო არჩევნების დროს. მთელს ინგლისში დასახელებულია — 1.750 კანდიდატი; აქედან კონსერვატორებმა წამოაყენეს 590 კანდიდატი, მუშათა პარტიამ —570, ლიბერალურმა—513, კომუნისტებმა— 25 და უპარტიოებმა— 32 კანდიდატი.

ამომრჩეველთა რიცხვი ინგლისში

ლონდონი, 22 მაისი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ამომრჩეველთა საერთო რიცხვი ინგლისში 28.072.795 კაცს უდრის. აქედან 14.791.813 ქალია და 13.280.982 მამაკაცი (ადს).

„პრავდა“-ს კორესპონდენტი რჩება ბერლინში

გრჟეზინსკიმ გააუქმა ცერზიბელის განკარგულება

ბერლინი, 22 მაისი. სოციალ-დემოკრატიული ბეჭდვითი სიტყვის ბიურო იუწყება: „პრავდა“-ს ბერლინელი კორესპონდენტი გროსმანს არ გააძევებენ, ვინაიდან პრუსიის შინაგან საქმეთა სამინისტრო საფუძვლიანად სთვლის გროსმანის საჩივარს ბერლინის პოლიციის-პრეზიდენტის განკარგულებაზე მისი გაძევების შესახებ.

„ოსტ ექსპრეს“-ის სააგენტო იუწყება: „პრავდა“-ს კორესპონდენტის გროსმანის გაძევების შესახებ გაცემული ბრძანების განხორციელება გადაიდო 6 თვით, მას შემდეგ, როცა პრუსიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქმის ვითარება განიხილა. (ადს.)

ჯარების საეჭვო გადაჯგუფება

ინგლისის მახინაციები ინდოეთში

ლონდონი, 22 მაისი. „დეილი მეილი“-ს კალკუტელი კორესპონდენტი იუწყება: როგორც კალკუტაში ხმა დადის, მთელ ჩრდილოეთ ინდოეთში ჯარების გადაყვან - გადმოყვანაა.

„საზოგადოებრივი აზრი, — სწერს გაზეთი — მოითხოვს, რომ ინგლის - ინდოეთის ხელისუფლებამ სიმლაში სიმართლე სთქვას შექმნილი მდგომარეობის შესახებ და მოსპოს ის მოუსვენრობა, რომელიც არსებობს ინდოეთის იზოლაციაქმნილ კოლონიებში. (ადს)

მცირე ანტანტის კონფერენცია

ოფიციალური ცნობა კონფერენციის შესახებ

ვენა, 22 მაისი. ოფიციალური ცნობის თანახმად, კონფერენციამ მცირე ანტანტის სახელმწიფოების საკავშირო ხელშეკრულებანი 5 წლის ვადით გაახანგრძლივა. გარდა ამისა, მცირე ანტანტის სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას შემარიგებელი არბიტრაჟის შესახებ. ხელშეკრულება შედგენილია „ერთა ლიგის“ მიერ მოწონებული ტიპიური ხელშეკრულების მიხედვით. (ადს)

სტრასბურგის მერად კომუნისტი აირჩიეს

პარიზი, 22 მაისი. ჰავასის სააგენტო იუწყება: სტრასბურგის მერად აირჩიეს კომუნისტი, ყოფილი დეპუტატი იუბერი. მის თანაშემწეებად— 6 კაცი— აირჩიეს კომუნისტი-ავტონომისტები. (ადს).

„წითელი ალლუმი“

ბერლინი, 22 მაისი. უკვე მოხსენებული ქალაქების გარდა, „წითელი ალლუმი“ გაიმართა აგრეთვე შუა გერმანიის, ტიურინგის და ჩრდ.-გერმანიის ქალაქებში. ჰალე - მერზებურგის ოლქში წითელი ალლუმი გაიმართა ათ ქალაქში. ალლუმის შემდეგ მოხდა დემონსტრაციები, რომლებშიაც მონაწილეობა მიიღეს ფრონტელების აკრძალული კავშირის წევრებმა. ბრემენში პოლიცია თავს დაესხა მიტინგის მონაწილეებს და რამდენიმე კაცი დააპატიმრა. ყველგან დემონსტრაციები დიდი და მრავალრიცხოვანი იყო (ადს).

კონფლიქტი საფეიქრო მრეწველობაში

ვარშავა, 22 მაისი. ბელსკის საფეიქრო მრეწველობაში კონფლიქტი მწიფდება. მუშები მოითხოვენ ხელფასის გადიდებას 10 პროცენტით. მრეწველები, პირიქით, სარგებლობენ საფეიქრო მრეწველობაში შექმნილი კრიზისით და ცდილობენ ხელფასის შემცირებას. დაიწყო მოლაპარაკება დამქირავებლებსა და მუშებს შორის (ადს).

„დეილი-მეილ“-ის ახალი ჭორი

ლონდონი, 22 მაისი. „დეილი მეილ“-ი იუწყება: ბასრაში მოვიდა საბჭოთა გემი „კომუნისტი“, რომელსაც, როგორც კორესპონდენტი ამბობს, თან მოაქვს 45.000 გირვანქა სტერლინგის ღირებულების ვერცხლის რუბლი. ეს ფული, კორესპონდენტის სიტყვით, დანიშნულია „მღელვარების გამოსაწვევად ირაქის ნავთიან რაიონებში“. ირაქის ხელისუფლებამ პოლიციის შეიარაღებული რაზმი დააყენა გემის კაპანზე. ინგლისის სამხედრო გემი „სიკლამენტრიადი“, რომელიც ბასრიდან უნდა გასულიყო, ბასრაში დარჩა იმ დრომდე, ვიდრე იქ „კომუნისტი“ იქნება.

„დეილი მეილ“-ი ურჩევს ინგლისის საზოგადოებრივ აზრს, გულდასმით ადევნოს თვალყური რევოლუციონური მოძრაობის გაცხოველებას ინდოეთსა და ეგვიპტეში.

„ინდოეთის რევოლუციონერები, — სწერს გაზეთი, — რომლებსაც მოსკოვი აძლევს ფულს და, რომლებსაც მხარს უჭერენ ზოგიერთი ინგლისელი სოციალისტები, ყოველგვარ ღონეს ხმარობენ, რომ შეარყიონ ინგლისის ხელისუფლება ინდოეთში, ხოლო ეგვიპტის რევოლუციონერები ახალ მღელვარებათა შესაქმნელად ემზადებიან“.

პრიბიჩევიჩის დაპატიმრება

ვენა, 22 მაისი. სამხრეთ-სლავიიდან ოფიციალურად იუწყებიან: ბელგრადში დააპატიმრეს მთავრობის მიერ დაშლილი დამოუკიდებელი დემოკრატიული პარტიის ლიდერი, ზაგრებიდან მოსული პრიბიჩევიჩი, რომელიც აგრეთვე სკუპშჩინის გლეხურ-დემოკრატიული კოალიციის ერთ-ერთი ლიდერი იყო. პრიბიჩევიჩი სახელმწიფოს დაცვის კანონის ძალით და აგრეთვე იმის გამო, რომ მას აბრალებენ შეთხზული დანაშაულობათა ჩადენას, გაგზავნეს ძველი სერბიის მიყრუებულ კურორტ ბრუსაში. (ადს).

ს პ ა რ ს ე თ შ ი

კაშკაელთა ტომის მეთაურის მოთხოვნა

თეირანი, 22 მაისი. როგორც შირაზიდან იუწყებიან, არეულობა სამხრეთის კაშკაელთა ტომს შორის ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. კაშკაელთა მეთაურმა ალი-ხანმა სპარსეთის მთავრობას წარუდგინა შემდეგი მოთხოვნები: მეჯლისიდან გამოწვეულ იქნას კაშკაელთა დეპუტატი ზია-ოლ-ვაზიონი, გაუქმებულ იქნას ბრძანება ახალი ტანისამოსის ტარების შესახებ, გაუქმდეს სამხედრო ბეგარა კაშკაელთათვის, ტომის ილხანი დაინიშნოს თვით ტომიდან (ადს).

მოლაპარაკება საზღვრის გადასვლის შესახებ საბჭოთა კავშირსა და სპარსეთს შორის

თეირანი, 22 მაისი. გაზეთი „სეთარე ირან“-ი იუწყება, რომ ხელშეკრულება სპარსეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრის გამარტივებული გადასვლის შესახებ დაამტკიცა მეჯლისმა. და ხელმოსაწერად გადაეცა შაჰს. შემდეგ მოხდება სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა (ადს).

დახმარება მიწისძვრისაგან დაზარალებულთ

თეირანი, 22 მაისი. გაზეთი „ეტლაათ“-ი ჩამოსთვლის იმ უცხოეთის კომისიებს, რომლებმაც ფული შესწირეს მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად. გაზეთი დასძენს, რომ ინგლისის მისია, სხვებისაგან განსხვავებით, „დაკმაყოფილდა მხოლოდ პლატონიური სამძიმრით“ (შემდეგში ინგლისის მისიამ შესწირა 1.000 თუმანი) (ადს).

ბაჩე საკაოს ქება

თეირანი, 22 მაისი. შირაზიდან იუწყებიან, რომ ინდოეთიდან მიღებულ მანუფაქტურაში აღმოაჩინეს მოწოდებები და პროკლამაციები, რომლებშიაც აქებენ „ისლამის დამცველს“ ბაჩე საკაოს (ადს).

სავაჭრო წარმომადგენლები საბჭოთა კავშირში

თეირანი, 22 მაისი. როგორც გაზეთი „ირან“-ი იუწყება, სავაჭრო პალატამ მიმართა საზოგადოებრივ სამუშაოთა და ვაჭრობის სამინისტროს წინადადებით—გაგზავნოს სავაჭრო წარმომადგენლები საბჭოთა კავშირის ზოგიერთ ადგილებში. ეს საკითხი ამჟამად ირჩევა საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად (ადს).

საბჭოების მე-5 საკავშირო ყრილობა

ყრილობის დადგენილება მთავრობის ანგარიშის გამო

მოსკოვი, 23 მაისი. 1. ს.ს. რესპუბლიკების კავშირის საბჭოების მეხუთე ყრილობამ მოისმინა და განიხილა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. რიკოვის ანგარიში კავშირის მთავრობის მუშაობის შესახებ ორი წლის განმავლობაში და მოიწონა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკა.

2. ყრილობა სავსებით იწონებს საბჭოთა კავშირის მთავრობის პოლიტიკას, რომელიც ოქტომბრის მონაპოვართა და კავშირის განვითარების სოციალისტური პრინციპების შეურყევლად და მტკიცედ დაცვას უთანხმებს მშვიდობიანობისათვის მედგარ აქტიურ ბრძოლას, ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობის ამ პოლიტიკამ, ჩვენი ქვეყნის შიგნით სოციალისტური მშენებლობის წარმატებასთან ერთად, გაამაგრა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოზიციები. ყრილობა აღნიშნავს, რომ თუმცა იზრდებოდა ზოგიერთი კაპიტალისტური სახელმწიფოს მტრობა პროლეტარიულ სახელმწიფოს მიმართ, რამაც განსაკუთრებით მწვავედ იჩინა თავი პირველ პერიოდში ს.ს. რესპ. კავშირის საბჭოების მეოთხე ყრილობის შემდეგ, მაგრამ მთავრობამ მოახერხა ომის უშუალო საფრთხის რამდენიმე ხნით აცილება და დადება მთელი რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა, რომლებიც ამაგრებენ საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოზიციებს. ამგვარად, კაპიტალისტური სახელმწიფოების აგრესიულმა ცდებმა (სამხედრო და სხვა მოლაპარაკებანი, მიმართული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ბლოკების შექმნა, საფინანსო-ეკონომიური ბოიკოტის, ნახევარ-ბლოკადის მოწყობა და სხ.) ეხლანდელ ეტაპზე ვერ გამოიღეს ნაყოფი, და ბევრი ქვეყნის (ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატები, ინგლისი) კაპიტალისტური ბურჟუაზიის შორის გაძლიერდა მისწრაფება—განავითარონ ეკონომიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

3. ამავე დროს ყრილობას არ შეუძლია არ გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ ცალკე იმპერიალისტური ჯგუფების ინტერესთა წინააღმდეგობა და კონკურენციის ნიადაგზე ბრძოლის გამწვავება მათ შორის წარმოადგენს საერთაშორისო მდგომარეობის გაძლიერების წყაროს და ჰქმნის ახალი ომების საფრთხეს, ის გარემოება, რომ განიარაღების მოსამზადებელმა კომისიამ უარჰყო განიარაღების საბჭოთა პროექტები და ერთა ლიგაში შემავალმა და მოსამზადებელ კომისიაში მონაწილე კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა არ მოისურვეს მოსამზადებელი კომისიის სხდომაზე, გადადგან თუმცა უმნიშვნელო ნაბიჯი-კი სამხედრო - საზღვაო შეიარაღებათა შესამცირებლად, ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ ეს სახელმწიფოები, რომელთაც კელოგის პაქტით იკისრეს ომის, როგორც ეროვნული პოლიტიკის, უარყოფა, საქმით მთელ თავიანთ პოლიტიკას აშენებენ ახალი მსოფლიო ომის მომზადებაზე. ყრილობა, იწონებს რა საკავშირო მთავრობის ღონისძიებებს საყოველთაო მშვიდობიანობის დასაცავად და მის ბრძოლას განიარაღებისათვის, რასაც არ შეიძლება მხურვალე თანაგრძნობით არ შეხვდნენ მთელი მსოფლიოს მშრომელნი, ითვალისწინებს რა იმპერიალისტური სახელმწიფოების სამხედრო მზადებას და განუწყვეტელ მებრძოლ გამოსვლებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, წინადადებას აძლევს საკავშირო მთავრობას—განაგრძოს დაუღალავი მუშაობა ყველა სახელმწიფოსთან მშვიდობიანი ურთიერთობის შესანარჩუნებლად და ამავე დროს მიიღოს ზომები ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განსამტკიცებლად.

4. ს. ს. რესპ. კავშირის საბჭოების ყრილობა სავსებით იწონებს მთავრობის ღონისძიებებს საბჭოთა კავშირის სამეურნეო მშენებლობის დარგში, იმ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფ ტემპს და სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციას. ყრილობა აღნიშნავს, რომ მთავრობის სამეურნეო პოლიტიკა იწვევს მუშათა კლასის და გლეხობის ფართო ღარიბ-საშუალო მასების ნივთიერი და კულტურული ცხოვრების დონის შემდგომ ამაღლებას. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას მთელი სახალხო მეურნეობა აჰყავს განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე, კერძოდ, სოფლის მეურნეობას იგი უქმნის საწარმოო ტეხნიკურ ბაზისს, იმისთვის, რომ მოხდეს მისი რეკონსტრუქცია ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა განსაზოგადოების და სასოფლო-სამეურნეო შრომის მექანიზაციის ნიადაგზე. ყრილობა შემდეგ აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობის სამეურნეო პოლიტიკა იწვევს შრომის მაქსიმალურად გაფართოვებას. ყრილობა აღნიშნავს აგრეთვე, რომ საბჭოთა მთავრობის სამეურნეო პოლიტიკა იწვევს მეურნეობის ისეთი დარგების უდიდესად გაფართოვებას და ისეთი წარმოების შექმნას ჩვენს ქვეყანაში, რომლებიც კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან კავშირის ყოველმხრივ გამოყენებასთან ერთად, უზრუნველჰყოფენ საბჭოთა კავშირის ეკონომიურ დამოუკიდებლობას მსოფლიო კაპიტალისტური სისტემისაგან და აძლიერებენ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობას. ყველა ეს მიღწევა შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმის წყალობით, რომ გაიზარდნენ და განმტკიცდნენ სახალხო მეურნეობის სოციალისტური ფორმები და სისწორით განაწილდა სახალხო-სამეურნეო რესურსები სოციალისტური მრეწველობისა და ტრანსპორტის კაპიტალური მშენებლობისათვის და მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედების მოწყობისათვის.

5. მეხუთე ყრილობა განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავს ჩვენი ქვეყნის სახალხო-სამეურნეო ცხოვრების გეგმიანობის გაძლიერებას, საბჭოთა კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების გეგმიანი ორგანოების მთელი სისტემის განმტკიცებას და მათი მუშაობის შეთანხმების და ხელმძღვანელობის გაძლიერებას. ამ მიღწევების წყალობით შესაძლებელი გახდა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შედგენა, რომელიც სავსებით შეეფერება საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიურ პოლიტიკას და ითვალისწინებს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფ ტემპს, სოციალისტური ელემენტების გაძლიერებას სახალხო მეურნეობის ყოველ დარგში, სამეურნეო სიძნელეთა ლიკვიდაციას, მშრომელი მასების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომ ამაღლებას, ეროვნული რესპუბლიკების და ჩამორჩენილი განაპირა კუთხეების სამეურნეო განვითარებას, მუშათა კლასის კავშირის განმტკიცებას გლეხობის მშრომელ მასებთან და ამით საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკური და ეკონომიური პოზიციების გამაგრებას კლასობრივ მტრებთან ბრძოლაში.

6. ყრილობა აღნიშნავს სახელმწიფო სოციალისტური მრეწველობის ხელმძღვანელ როლს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებაში. სოციალისტური მრეწველობა წარმოადგენს საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის ბაზისს, და მის განვითარებაზეა დამოკიდებული მუშათა კლასის საწარმოო კავშირის განმტკიცება ღარიბ და საშუალო გლეხობის ძირითად მასებთან და საბჭოთა კავშირის მთელი სამეურნეო ცხოვრების აყვანა განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე. მეხუთე ყრილობა, სავსებით იწონებს რა მთავრობის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია საწარმოო საშუალებათა წარმოების მაქსიმალურად განვითარებისაკენ, ხაზს უსვამს ელექტროფიკაციის, ლითონის და ქიმიური მრეწველობის, მანქანათ-მშენებლობის, კერძოდ, ავტოტრაქტორმშენებლობის განვითარების პრობლემის დიდ მნიშვნელობას.

7. ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს იმ გარდატეხას, რომელსაც სოციალისტურმა მრეწველობამ მიაღწია სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში. ამასთან ერთად ყრილობა ხაზს უსვამს, რომ თვითღირებულების შემდგომი სისტემატიური შემცირება კვლავ რჩება საბჭოთა კავშირის სამეურნეო მშენებლობის ერთ-ერთ ცენტრალურ ამოცანად მახლობელი ხუთი წლისათვის. თვითღირებულების შემცირება აუცილებლად საჭიროა ჩვენი ქვეყნის გეგმაშეწონილი ინდუსტრიალიზაციისა, კაპიტალური მშენებლობის რესურსების ზრდისა, სამუშაო ხელფასის და საარსებო დონის შემდგომი გადიდებისა და მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებისათვის. წარმოების სოციალისტური რეკონსტრუქცია, ახალი ტეხნიკის შემოღება, შრომის ნაყოფიერების გადიდება, კვალიფიკაციის და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება,—ასეთია თვითღირებულების შემცირების მეტად თვალსაჩინო ამოცანის განხორციელების მეთოდები. უძლიერეს საშუალებად მშრომელთა ბრძოლაში თვითღირებულების გაიაფებისა და პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად ყრილობას მიაჩნია სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ამ ჟამად ფართოვდება. ამის გამო ყრილობა წინადადებას აძლევს მთავრობას — ყოველმხრივ დაეხმაროს მშრომელთა ინიციატივას და თვითმოქმედებას სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა-განვითარებაში.

8. სოციალისტურ მეურნეობათა წარმატებით მშენებლობამ და სახელმწიფო მრეწველობის ასვლამ უფრო მაღალ ტეხნიკურ საფეხურზე, საბჭოთა მთავრობას საშუალება მისცა დაეწყო სამრეწველო საწარმოთა გადაყვანა შვიდ საათის სამუშაო დღეზე. შემცირებული სამუშაო დღის შემოღება საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მრეწველობაში, მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის განუწყვეტელ გაუმჯობესებასთან ერთად, წარმოადგენს საბჭოთა კავშირის მშრომელთა უდიდეს მონაპოვარს. შვიდი საათის სამუშაო დღე, რომელიც წარმოებაში აბამს მშრომელთა ახალ და ახალ კადრებს, ხელს უწყობს უმუშევრობის მოსპობას და ამასთან ერთად წარმოადგენს მეტად სერიოზულ ფაქტორს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის კულტურული დონის ასაწევად. ყრილობა ავალებს საბჭოთა კავშირის მთავრობას განსაკუთრებული ყურადღებით შეისწავლოს შვიდი საათის დღეზე გადასვლის გამოცდილება მრეწველობის ცალკე დარგებში, რათა უზრუნველყოფილ იქნას ამ ღონისძიების გეგმაშეწონილად და თავის დროზე განხორციელება ჩვენი ქვეყნის მთელ მრეწველობაში.

9. მე-5 ყრილობა იწონებს მთავრობის პოლიტიკას სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სოციალისტური რეკონსტრუქციის დარგში, პოლიტიკას, რომლის მიზანია, ერთის მხრივ, ეკონომიური ბაზისის შექმნა ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობების საწარმოო ძალთა განვითარებისათვის და მათი პოზიციის განმტკიცება სოფლის კულაკურ ელემენტებთან ბრძოლაში, ხოლო მეორეს მხრივ—მაქსიმალურად ხელის შეწყობა ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობების კოოპერატიულად შეკავშირებისათვის, საწარმოო სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებში მათი გაერთიანებისა და დიდი საბჭოთა მეურნეობების და მარცვლეულის სოციალისტური ფაბრიკების გაშლა-გაფართოვებისათვის. ყრილობას მიაჩნია, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განსაზოგადოებული ფორმების განვითარება წარმოადგენს სოფლის მეურნეობის შემდგომი ზრდის უმნიშვნელოვანეს პირობას, ვინაიდან მხოლოდ მსხვილ განსაზოგადოებულ მიწათმოქმედებაში შეიძლება სავსებით გამოყენებულ იქნას გაუმჯობესებული საწარმოო იარაღი და მეცნიერული მიღწევები მიწის დამუშავების საქმეში, რომლებიც მიუწდომელია წვრილი ინდივიდუალური მეურნეობისათვის მისი ჩამორჩენილობისა და დაქუცმაცებულობის გამო. ყრილობა ადასტურებს, რომ ამჟამად უკვე არის მნიშვნელოვანი მიღწევა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში და აღნიშნავს, რომ კოლმეურნეობათა მშენებლობის მთავარ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ კოლექტიური მეურნეობები ზომით შედარებით მცირენი არიან. ამიტომ ყრილობა საჭიროდ სთვლის ისეთ ღონისძიებათა მიღებას მთავრობის მიერ, რომელნიც მაქსიმალურად უზრუნველჰყოფენ არა მარტო კოლმეურნეობების შემდგომ ზრდას, არამედ მათ ყოველმხრივ განმტკიცებასაც.

10. ყრილობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთავრობის სამეურნეო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველჰყოფს ჩვენი ქვეყნის მაქსიმალურად სწრაფ ინდუსტრიალიზაციას, მუშათა კლასისა და გლეხობის ძირითადი მასების დაკავშირების ძველ ფორმებთან ერთად ჰქმნის დაკავშირების ისეთ ახალ ფორმებსაც, როგორიც არის სახელმწიფოს მხრივ დახმარება კოლექტიურ და ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობებისათვის. ამ საწარმოო დაკავშირების გამოხატულებას წარმოადგენს მანქანა-ტრაქტორების სადგურების, სატრაქტორო რაზმების და გასაქირავებელი პუნქტების ქსელის გადიდება, კოლმეურნეობათა და გლეხობის კოოპერატიულად შეკავშირების სხვა ფორმათა მშენებლობის გაშლა, გლეხურ მეურნეობათა გაფართოვება მათთვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების, იარაღების და მინერალური სასუქის მიწოდება, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის, მასიური კონტრაქტაციის მიმართვა საწარმოო ხაზით და სხვ., ყველაფერი ეს, აგროკულტურული ხასიათის (საცდელი სადგურები, გაუმჯობესებული მეთესლეობა, მიწათ-მოწყობა და სხვ.) ღონისძიებებთან ერთად, ჰქმნის საჭირო პირობებს სოფლის მეურნეობის ასაყვანად განვითარების ისეთ დონეზე, რომელმაც სავსებით უნდა უზრუნველჰყოს სახალხო მეურნეობის ყველა საჭიროება, როგორც სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ბაზისის განმტკიცებისა, ისე მშრომელთა ფართო მასების სასურსათო მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხაზით. ყრილობა სავსებით იწონებს იმ ცვლილებებს, რომლებიც მთავრობას შეაქვს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონში, ეს ცვლილებები ამცირებენ საშუალო გლეხის დაბეგვრას გადასახადით. ყრილობა იწონებს აგრეთვე კანონს მოსავლიანობის გადიდების შესახებ, კანონს, რომელიც ხელს შეუწყობს ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობათა გაფართოვებას და განვითარებას.

11. საბჭოების მეხუთე საკავშირო ყრილობა მხედველობაში იღებს სოციალისტური მშენებლობის უდიდესი ეკონომიური ტეხნიკური და საორგანიზაციო ამოცანების გადაჭრის აუცილებლობას და ავალებს საბჭოთა კავშირის მთავრობას—უდიდესი ყურადღება მიაქციოს კულტურის საკითხებს, მიიღოს ზომები კულტურული რევოლუციის უმნიშვნელოვანესი ამოცანების განსახორციელებლად, რისთვისაც საჭიროა საყოველთაო პირველდაწყებითი სავალდებულო სწავლების შემოღება, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, მასების საერთო და პროფესიონალურ-ტეხნიკური განათლების დონის ამაღლება, სპეციალისტების და სამეცნიერო მუშაკთა კადრის შექმნა მუშებისა და, საერთოდ, მშრომელი ელემენტებისაგან და სახალხო განათლების მთელი სისტემის შეფარდება მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ამოცანებთან.

12. ყრილობა იწონებს საბჭოთა კავშირის მთავრობის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მშრომელთა უფართოესი მასების ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობასა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში.

საბჭოების მეხუთე ყრილობას მთავრობისა და საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოს უმნიშვნელოვანეს ამოცანებად მიაჩნია შეუდრეკელი ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, განხორციელება სახელმწიფო აპარატის წმენდისა საბჭოთა ხელისუფლებისათვის უცხო და გაუსწორებელ- ბიუროკრატიული ელემენტებისაგან, თვითკრიტიკის გაშლა-გაფართოება მუშებისა და ღარიბი და საშუალო გლეხობის უფართოესი მასების მხრით, საბჭოების გაცხოველება, ორგანიზატორების ახალი კადრების დაწინაურება მუშათა და გლეხთა რიგებიდან, აგრეთვე მუშების უფრო ფართოდ ჩაბმა სამეურნეო მშენებლობაში ქალაქად და სოფლად არსებული საწარმოო თათბირების საშუალებით.

13. მეხუთე ყრილობა განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საბჭოების უკანასკნელმა არჩევნებმა, რომლებშიაც მონაწილეობა მიიღო 47 მილიონზე მეტმა ამომრჩეველმა, ცხადჰყვეს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ფართო მასების აქტივობის ზრდა და უფრო მეტად შეამჭიდროვეს ისინი საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათა გარშემო. ყრილობა აღნიშნავს, რომ ამ მიღწევათა განხორციელებას თვალსაჩინოდ შეუწყო ხელი მთავრობის პოლიტიკამ, რომელიც მიმართული იყო საბჭოების მუშაობის გასაცხოველებლად, საბჭოთა ქვედა აპარატის განსამტკიცებლად.

14. ყრილობა აღნიშნავს საბჭოთა კავშირის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სერიოზულ წარმატებებს და სცნობს, რომ შემდგომი წინსვლა სოციალიზმის გზაზე მოითხოვს იმ უდიდესი სიძნელეების დაძლევას სოციალისტური ზრდის გზაზე, რომლებსაც იწვევს კაპიტალისტური გარემოცვა და აქედან გამომდინარე ტეხნიკური მშენებლობის დაჩქარებული ტემპის საჭიროება, ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილობა, გლეხთა მცირე და უმცირეს მეურნეობათა დაქუცმაცება და უკიდურესი ჩამორჩენილობა, მათი მეტის-მეტი ჩამორჩენა განვითარების გზაზე, აგრეთვე ის, რომ სოციალისტურ მშენებლობას უფრო მეტს წინააღმდეგობას უწევენ კულაკურ-ნეპმანური ელემენტები, კლასობრივი მტერი, რომელიც სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატიულ ელემენტებს უკავშირდება.

კავშირის საბჭოების ყრილობა სცნობს, რომ ყველა ეს სიძნელე შეიძლება დაძლეულ იქნას მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპისა და პროლეტარული და ნახევრად პროლეტარული მასების უდიდესი აქტივიზაციის საფუძველზე, თუ გლეხობას პროლეტარული ხელმძღვანელობა არ მოაკლდება და თუ ღარიბი და საშუალო გლეხობის მთელი მასა დარაზმული იქნება კულაკების წინააღმდეგ საბრძოლველად. ყრილობა ავალებს საბჭოთა კავშირის მთავრობას—შეუნელებლად განაგრძოს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპი, სოფლის მეურნეობის გაძლიერებისა და მისი სოციალისტური რეკონსტრუქციის პოლიტიკა და დასძლიოს ამ გზაზე ყოველგვარი სიძნელე. ყრილობა სცნობს, რომ მხოლოდ ასეთი პოლიტიკა, განხორციელებული საბჭოთა ქვეყნის ძალთა და სახსართა უაღრესი დაჭიმვით, უზრუნველჰყოფს საბჭოთა ხელისუფლების მიერ დასახულ ამოცანას: უახლოეს ისტორიულ ხანში ტეხნიკურ-ეკონომიურად დავეწიოთ და გავუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს.

ს.ს.რ. კავშირის საბჭოების ყრილობის
თავმჯდომარე **კალინინი**.
ს.ს.რ. საბჭოების მეხუთე ყრილობის მდივანი
ენუქიძე.

1929 წ. 22 მაისი.

კამათი ამხ. რიკოვის მოხსენების გარშემო

მოსკოვი, 23 მაისი. საბჭოთა ყრილობის დილის სხდომაზე 22 მაისს გრძელდებოდა კამათი ამხ. რიკოვის მოხსენების გარშემო. კამათში უმთავრესად გამოდიოდნენ ყრილობის დელეგატი მუშები, გლეხები და ეროვნულ ერთეულების წარმომადგენლები. ორატორები მთავარ ყურადღებას აქცევდნენ მთავრობის საერთაშორისო პოლიტიკის შეფასებას. დელეგატები ერთსულოვნად ამტკიცებდნენ, რომ საკავშირო მთავრობის საერთაშორისო პოლიტიკა, რომელსაც საფუძვლად უდევს ბრძოლა მშვიდობიანობისათვის, სავსებით სწორია და მას სავსებით და მთლიანად იწონებენ მუშურ - გლეხური ფართო მასები. ზოგიერთი ორატორი შეეხო კავშირის ცალკე რაიონების სამეურნეო და კულტურულ მოთხოვნილებებს და საჭიროებებს.

უზბეკისტანის წარმომადგენლებმა ამხ. **ვობეშკომ** და **ახუნ ბაბაევმა** ილაპარაკეს უზბეკისტანის დედა ქალაქის — ტაშკენტის საჭიროებებზე და მებამბეობის განვითარების აუცილებლობაზე.

ამხ. **ბელიკოვმა** ყრილობას გადასცა სალამი ურალის მუშებისა და გლეხებისაგან და სთხოვა დახმარება ოლქის სამეურნეო მშენებლობაში.

ამხ. **ანანიანმა** (სომხეთის წარმომადგენელი) აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში სომხეთის სახალხო მეურნეობა თვალსაჩინოდ გაიზარდა და მოღონიერდა. ორატორმა განაცხადა, რომ საჭიროა გაძლიერებულ იქნას დამუშავება ტუფის, რომელიც საუკეთესო საამშენებლო მასალას წარმოადგენს, და მინქფასი (პემზა), რომელიც საბჭოთა კავშირს ამჟამად საზღვარგარეთიდან შემოაქვს.

ყრილობამ დიდის ყურადღებით მოისმინა დონბასის ძველი მემაღაროეს ამხ. **ძობას** სიტყვა. ორატორმა განაცხადა, რომ დონის მემაღაროეები ყოველ წუთში მზად არიან მკერდით დაიცვან საბჭოთა კავშირი. ყრილობის დელეგატმა ბაქოს მუშამ ამხ. **სურიზინმა** და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის დელეგატმა ამხ. **თოდრიამ** აღნიშნეს საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები ეროვნული პოლიტიკის სფეროში. იმ შურისა და მტრობის ნაცვლად, რომელიც ოდესღაც არსებობდა საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთ რაიონებში მოსახლე ეროვნებებს შორის, ამჟამად განმტკიცდა სრული მშვიდობიანობა, რომელიც ხელს უწყობს ამ რაიონების სამეურნეო და კულტურულ აღორძინებას.

საინტერესო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **ლარინმა** (მოსკოვი) მან შემოიტანა წინადადება, რათა წარმოება მოეწყოს ისე, რომ ფაბრიკები და ქარხნები, მუშაობდნენ კვირა-უქმე დღეებშიაც.

22 მაისს სალამოს სხდომაზე კამათში ამხ. რიკოვის მოხსენების გარშემო უმთავრესად გამოდიოდნენ ნაციონალურ რესპუბლიკების წარმომადგენლები, რომელთაც ყრილობას გადაუშალეს უკანასკნელი წლების სამეურნეო და კულტურული მშენებლობის სურათი. ორატორები ლაპარაკობდნენ აგრეთვე ეროვნულ რესპუბლიკების და ოლქების კონკრეტულ საჭიროებებზე. ეროვნულ რესპუბლიკების წარმომადგენელთა სიტყვები ყრილობამ განსაკუთრებულის ყურადღებით მოისმინა.

საბჭოთა რუსეთის სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარმა ამხ. **ნაგოვიცინმა** აღნიშნა, რომ საჭიროა მიღებულ იქნას ზომები სამოქალაქო ომის ინვალიდების, მათი ცოლების და ბავშვების უკეთ უზრუნველსაყოფად. ორატორმა აცნობა ყრილობას, რომ ამჟამად შემუშავებულია კანონი პროექტისა მოხუც გლეხების უზრუნველყოფის შესახებ.

ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **სკრიპნიკმა**, რომელმაც აღნიშნა უკრაინის მეურნეობის და კულტურის არაჩვეულებრივი წინსვლა და განვითარება.

სალამოს სხდომაზე აღნიშნულ ორატორებს გარდა გამოვიდნენ შემდეგი ამხანაგები: **ალეშინი** (ციმბირი), **მიხა ცხაკაია**, (ა.-კ. საბჭოთა რესპუბლიკა), **დოცენკო** (ურალი), **მუხამედოვი** (თურქმენისტანი) და **ბრატუშინი** (თათართა რესპუბლიკა).

ამხ. რიკოვის საბოლოო სიტყვა

შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **რიკოვმა**. „ყრილობის ზოგიერთმა დელეგატმა, — განაცხადა ამხ. რიკოვმა, — მე მისაყვედურა, რომ მოხსენებაში არაფერი არ მითქვამს ეროვნულ საკითხზე. ეს საყვედური სავსებით სამართლიანია, მაგრამ მე შემიძლია თავი ვიმართლო იმით, რომ ეს საკითხი საკმაოდ ვრცლად გავაშუქე სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობაზე, რომელიც ამ დღეებში დამთავრდა“.

ამხ. რიკოვმა აღნიშნა, რომ ეროვნული საკითხის გადაჭრა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, რომელმაც თანასწორი უფლებები მიანიჭა ყველა ეროვნებას, მდგომარეობს მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიკულ მუშაობაში და ამ თანასწორუფლებიანობის განმტკიცებასა და უზრუნველყოფაში.

ამხ. რიკოვმა გამოაქვეყნა ზოგიერთი ცნობები კულტურულ სოციალურ ხარჯების ბიუჯეტის შესახებ. ეს ცნობები მოწმობენ, რომ საკავშირო მთავრობა და საბჭოთა რუსეთის მთავრობა ღებულობენ საჭირო ღონისძიებებს ჩამორჩენილ ეროვნებათა სამეურნეო განვითარებისათვის. შემდეგ ამხ. რიკოვი შეეხო იმ ორატორების გამოსვლას, რომელთაც ილაპარაკეს სოფლის მეურნეობაზე, საქონლის ბრუნვაზე და მთელ რიგ სხვა საკითხებზე.

—:—

23 მაისს დილით ყრილობა მოისმენს ამხ. კრჟიჟანოვსკის და კუიბიშევის მოხსენებებს ხუთწლიანი გეგმის შესახებ. (ადს)

საქართველოს ეროვნული

უკანასკნელი ცნობები

კვირის ნომრების კონფისკაცია

ბერლინი 22 მაისი. მიუნჰენის საოლქო სასამართლოს დადგენილებით, კონფისკაცია უყვეს ბავარიის კომუნისტური გაზეთების „ნეიე ცეიტუნგ"-ისა და „ნორდბაირიოო ცეიტუნგ"-ის კვირის ნომრებს. სასამართლოს დადგენილებაში ნათქვამია, რომ ის ნომრები, რომელთა კონფისკაციაც მოხდა, „მოუწოდებდნენ სახელმწიფოს ღალატისა და კლასობრივი მტრობისაკენ"-ო. (ადს).

მასიური დაპატიმრებანი

ვარშავა, 22 მაისი. დასავლეთ უკრაინაში კვლავ აპატიმრებენ ახალგაზრდებს. თავოროვოში 8 უკრაინელი გიმნაზიელი დააპატიმრეს. ეჭვი აქვთ, რომ ისინი მონაწილეობას იღებდნენ უკრაინის სამხედრო საიდუმლო ორგანიზაციაში. 4 უკრაინელმა სტუდენტმა, რომელთაც ტერორისტობა დააბრალეს, შიმშილობა გამოაცხადა (ადს).

კონგრესი პროტესტს აცხადებს

მონტევიდეო, 22 მაისი. ლათინური ამერიკის პროფკავშირთა კონგრესმა მოისმინა ცნობა მექსიკის გლეხთა ლიდერების როდრიგესისა და პომესის სიკვდილით დასჯის შესახებ და მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია მექსიკასა და კუბაში გაბატონებული რეაქციის წინააღმდეგ (ადს).

სამი გერმანელი სტუდენტის დაპატიმრება

ვარშავა, 22 მაისი. ლვოვის ხელისუფლების წარმომადგენლებმა დააპატიმრეს ბერლინიდან ჩამოსული სამი გერმანელი სტუდენტი. დაპატიმრებულებს ბრალდებათ ჯაშუშობა აღმოსავლეთ გალიციის ტერიტორიაზე (ადს).

გაფიცვა

ვარშავა, 22 მაისი. ბარისლავლში ნავთის სამ სარეწაოში იფეთქა გაფიცვამ პროტესტის ნიშნად იმის გამო, რომ ადმინისტრაციამ სცადა ხელფასის შემცირება (ადს).

კაპიტალისტების შურისძიება

სატუსაღო რეჟიმი ინდოეთში

ლონდონი, 22 მაისი. როგორც კომუნისტების ორგანო „უორკერს ლაიფ"-ი იუწყება, ინდოეთის პროფმოძრაობის 30 მოღვაწე გასამართლებას მოელის მირუტის საპატიმროში. მათ შორის არის შაუკატ უსმანი, რომელიც საყოველთაო არჩევნების დროს გამოვიდა, როგორც კომუნისტების კანდიდატი ინდოეთის კონსტიტუციის გადამთვალიერებელი კომისიის თავმჯდომარის ლიბერალ საიმონის წინააღმდეგ. პარტიის წარმომადგენელი მოტრა, რომელმაც პატიმრები ინახულა, იუწყება: ისინი ძალიან უჩივიან სატუსაღო რეჟიმს; მათ აძლევენ ისეთ საზრდოს, რომლის ჭამა შეუძლებელია, ამის გამო პატიმართა უმრავლესობა დაავადმყოფებულია დიზენტერიით. (ადს).

„დიდი რუმინეთის" ათი წლის თავი

ვენა, 22 მაისი. ალბა-იულიაში (სემიგრადიე) გაიმართა ოფიციალური ზეიმი „დიდი რუმინეთის" ათი წლის თავზე ყველა ყოფილმა მოკავშირე სახელმწიფომ ზეიმზე სამხედრო დელეგაცია გამოგზავნა. გერმანელთა პარტია ოფიციალურ მონაწილეობას იღებდა ზეიმში. უნგრელთა პარტიამ და სოციალ-დემოკრატებმა ბოიკოტი გამოუცხადეს. ბუკოვინის, ბესარაბიის და დობრუჯის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ზეიმზე მოიყვანეს ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი დელეგაციები. სენსაცია გამოიწვია ყოფილი ბესარაბიელი ოფიცრების მონაწილეობამ ზეიმში მეფის არმიის ფორმით. ზეიმს განსაკუთრებული დაღი დაასვა ფაშისტური ორგანიზაციების აღლუმმა.

სემიგრადიეს უნგრული პრესა აღნიშნავს, რომ უნგრელი გლეხების დელეგაციები ხელისუფლებამ ძალით მიიყვანა ზეიმზე. რუმინეთის პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ზეიმის დღეს რუმინეთის არმიაში ყოფილი ავსტრია-უნგრეთის არმიის რამდენიმე ასი ოფიცრის მიღების მიზანს შეადგენს დაახლოვება ეროვნულ უმცირესობათა რეაქციონურ ელემენტებთან. (ადს).

ინგლისის კოოპერატიულ კავშირის ყრილობა

ლონდონი, 22 მაისი. ტორკვეიში დაიწყო ინგლისის კოოპერატიული კავშირის ყრილობა. ყრილობას ესწრება 1.600 დელეგატი, მათ შორის მოძმე ორგანიზაციათა ბევრი წარმომადგენელი. საბჭოთა კოოპერაციის წარმომადგენელმა ამხ. გურევიჩმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ინგლისისა და საბჭოთა კავშირის დიპლომატიური ურთიერთობის უქონლობა საგრძნობლად დაეტყო ინგლის-საბჭოთა ვაჭრობასაო. კოოპერატიული მოძრაობის დახმარებით ამ ურთიერთობის აღდგენა ხელს შეუწყობს ინგლის-საბჭოთა ვაჭრობის განვითარებას და იგი დიდი ნაბიჯის გადადგმა იქნება საყოველთაო მშვიდობიანობის გზაზეო.

ორლოვისა და პავლონოვსკის საქმე

ივნისის დამლევს გაირჩევა

ბერლინი, 22 მაისი. შესდგა სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომა ორლოვისა და პავლონოვსკის საქმის გამო. სხდომამ არ დააკმაყოფილა დამცველთა შუამდგომლობა ორლოვისა და პავლონოვსკის განთავისუფლების შესახებ.

„ახტ ურ აბენდბლატ"-ის ცნობით, საქმე ივნისის დამლევს გაირჩევა. (ადს)

უცხოეთში

ელექტრო-მრეწველობის კონცენტრაცია შეერთებულ შტატებში

ორი მესამედი იმ ელექტრო-ენერგიის, რომელიც შეერთებულ შტატებში მზადდება, 6 უძლიერეს კონცერნს ეკუთვნის. მომხმარებელი მორგანის, გენერალური ელექტრონული კომპანიის, სამუელ ინსულის, დოგერტი და კომ. ბილსბაის და კომპ. და გუვერის კაბინეტის ფინანსთა მინისტრის ენდრიუ მელლონის სრულ დამოკიდებულებაში იმყოფება.

ეს „ექვსეული" კარნახობს ფასებს ელექტრო-ენერგიაზე, ამცირებს და აფართოებს ელექტრო-ენერგიის წარმოებას და საჭირო მომენტში ზეგავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. შტატებისა და ფედერალურ საკანონმდებლო პალატებში „ექვსეულს" ჰყავს საკუთარი „ლობი" (ხალხი, რომლებიც აგიტაციას ეწევა დეპუტატებში, არიგებს ქრთამებს და ხელს უწყობს „ექვსეულისათვის" საჭირო კანონპროექტების გატარებას). მაგრამ მარტო დეპუტატებზე ზეგავლენის მოხდენა არ კმარა და თითეულ კონცერნს აქვს სპეციალური საპროპაგანდო განყოფილებები, რომლებიც მოსყიდული პრესის საშუალებით ფართო აგიტაციას აწარმოებენ სახელმწიფო ელექტრო-სადგურების მშენებლობისა და უკვე არსებულ ელექტრო-სადგურების მუშაობაზე სახელმწიფო კონტროლის დაწესების წინააღმდეგ. სკოლებიცა და ეკლესიებიც კი არის გამოყენებული ამგვარი პროპაგანდისათვის.

ამ რამოდენიმე ხნის წინათ პრესაში გამოქვეყნდა სენსაციური ცნობები, რომ ელექტრო-მრეწველებმა სახელმძღვანელოებიც კი „მოზხამეს". ელექტრო-მრეწველმა ინსულმა მინესოტას შტატის სკოლებში დაარიგა სახელმძღვანელოები, რომლებშიაც ქება-დიდებით იყო მოხსენებული კერძო ელექტრო-სადგურების მუშაობა და „გამანადგურებელი" არგუმენტები იყო მოყვანილი სახელმწიფო ელექტრო-სადგურების მშენებლობისა და ელექტრო-მრეწველობაზე სახელმწიფო კონტროლის დაწესების წინააღმდეგ.

ინსულის მეთოდები გამონაკლისს არ შეადგენენ. თითეული ხსენებულ „ექვსეულიდან" ამგვარივე მეთოდებით ცდილობს კონტროლის ხელში ჩაგდებას მრეწველობის ამ მნიშვნელოვან დარგში. მაგრამ ამასთან ერთად „ექვსეული" გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებს ურთიერთ შორის მონოპოლიური ბატონობისათვის. ამ ბრძოლის შედეგი იქნება ელექტრო-მრეწველობის კიდევ მეტი კონცენტრაცია.

საბჭოთა კავშირში

გორკის წერილი უპატრონო ბავშვებს

ხარკოვი, 23 მაისი. გორკის სახელობის უპატრონო ბავშთა კოლონიამ მიიღო გორკისაგან ცნობა, რომ იგი კოლონიაში ჩამოვა ივნისში (ადს).

ფონ-დირკსენი ხარკოვში

ხარკოვი, 23 მაისი. ჩამოვიდა გერმანიის ელჩი საბჭოთა კავშირში ფონ-დირკსენი, რომელიც მოგზაურობს საბჭოთა კავშირში საბჭოთა რესპუბლიკების ცხოვრების გასაცნობად. ელჩი რამოდენიმე დღეს დაჰყოფს ხარკოვში (ადს).

წავები

ლენინგრადი, 22 მაისი. კოლას ნახევარკუნძულზე აღმოაჩინეს წავების მთელი კოლონიები. ახლო მომავალში პროფ. ვასილკოვსკის მეთაურობით იგზავნება სპეციალური ექსპედიცია იმ ადგილების გამოსაკვლევად და შესასწავლად, სადაც წავები სცხოვრობენ. (ადს).

კრედიტები ცეცხლგამძლე შენობების მშენებლობისათვის

მოსკოვი, 23 მაისი. „ცენტროსოიუზ"-მა გაანაწილა 2.355.000 მანეთი გრძელვადიანი კრედიტის ფონდიდან ცეცხლგამძლე შენობებისათვის. ამ თანხიდან ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკას მიეცემა 82.000 მანეთი (ადს).

ამხ. ს. ი. სირცოვი

რუსეთის სახკომსაბჭოს ახალი თავმჯდომარე

თათბირი კოლმეურნეობათა მშენებლობის შესახებ

მოსკოვი, 23 მაისი, 22 მაისს შესდგა სრ. რუსეთის და სრულიად საკავშირო საბჭოთა ყრილობების დელეგატთა თათბირი კოლმეურნეობების მშენებლობის შესახებ. თათბირში მონაწილეობა მიიღეს ამხ. კალინინმა, პეტროვსკიმ, რუძუტაკმა, ენუქიძემ და კამინსკიმ. თათბირს დაესწრო კოლმეურნეობების 200 მუშაკი—ყრილობის დელეგატი.

ამხ. კალინინის წინადადებით, თათბირის მონაწილეებმა დაწვრილებით გააცნეს თავიანთი პრაქტიკული მუშაობა კოლმეურნეობების საქმეში. ილაპარაკეს რესპუბლიკისა და ოლქების წარმომადგენლებმა—20 ამხანაგზე მეტმა. ორატორები ამტკიცებდნენ, რომ კოლექტიური მეურნეობები იზრდებიან, ძლიერდება გლეხობის მისწრაფება კოლექტივიზაციისაკენ. ყველა, ვინც ლაპარაკობდა მშენებლობის პრაქტიკის შესახებ, აღნიშნავდა, რომ ხელმძღვანელობა სუსტია და არ არის კოლმეურნეობის მუშაკ-აგრონომთა საკმაო კადრი. კოლმეურნეობების მუშაკნი ჩიოდნენ აგრეთვე იმ დაწესებულებების ბიუროკრატიზმზე, რომლებთანაც მათ საქმის დაჭერა უხდებათ სოფლად ახალი მეურნეობის შექმნისათვის. თათბირის დახურვის წინ ამხ. კალინინმა დელეგატებს მიმართა მოკლე სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა, რომ კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობა ახალი საქმეა. მთავრობა და კომპარტია ყურადღებით ადევნებენ თვალ-ყურს კოლმეურნეობათა მშენებლობის განვითარებას და დარწმუნებულნი არიან, რომ გლეხური მეურნეობის მოწესრიგება შეიძლება მხოლოდ კოლექტივიზაციის გზით. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ზოგიერთ დაწესებულებაში, რომელთანაც საქმის დაჭერა უხდებათ კოლმეურნეობების მუშაკებს, ადგილი აქვს საქმის გაჭიანურებას და ბიუროკრატიზმს, მაგრამ მთავარ სიძნელეს მაინც წარმოადგენს ის, რომ ჩვენ განვიცდით ტეხნიკური ძალების და სახსრების ნაკლებობას. ტეხნიკური სახსრები წლიდან წლამდე იზრდებიან. მართალია, ტრაქტორების მთავარი ნაწილი საბჭოთა მეურნეობებში მიდის, ვინაიდან იქ მათ უფრო რენტაბელურად იყენებენ. საჭიროა წლები იმისათვის, რომ კოლმეურნეობები მეურნეობის ორგანიზაციის მხრივ დაემსგავსონ საბჭოთა მეურნეობებს. კოლმეურნეობების მშენებლობაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საკითხს, თუ როგორ უნდა განაწილდნენ მომუშავენი მეურნეობაში, უნდა გამოვნახოთ კოლმეურნეობათა მშენებლობის საუკეთესო ფორმები და ცოცხალი ძალის განაწილების საუკეთესო მეთოდები. საჭიროა წლები იმისათვის, რომ კოლექტივში შესული ხალხი შეეჩვიოს ყოფა-ცხოვრების ახალ პირობებს. კოლმეურნეობების მუშაკთა ყოფა-ცხოვრება უნდა მოეწყოს ისე, რომ მუშაობა სწარმოებდეს ერთად, მაგრამ მუშაობის გარეშე არავინ გრძნობდეს იძულებას, ძალდატანებას. ჩვენ გვაქვს წინასწარი პირობა კოლმეურნეობათა მშენებლობის ფართოდ განვითარებისათვის. კოლმეურნეობების მშენებლობას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საერთო სოციალისტურ მშენებლობაში. (ადს).

ინდუსტრიალიზაციის პირველი სესხის ტირაჟი

გროზნი, 23 მაისი. 20 მაისს საღამოთი და 21 მაისს დილით და საღამოთი გათამაშებულ იქნა 11.500 მოგება ას-ას მანეთიანი, 3,150 მოგება — 250 მანეთიანი თითო, 84 მოგება — ათას-ათას მანეთიანი, 10 მოგება — 5.000 მანეთიანი თითო, 5 მოგება— 10.000 მანეთიანი თითო და 1 მოგება—25.000 მანეთიანი.

5.000 მანეთიანი მოგება ხვდა შემდეგ ობლიგაციებს: სერია 004663, ობლიგაცია № 11; სერია 005784, ობლიგაცია 15, სერია 014003, ობლიგაცია 26, სერია 017985, ობლიგაცია 26, სერია 073800, ობლიგაცია 20; სერია 076831, ობლიგაცია 24; სერია 103184, ობლიგაცია 17; სერია 121580, ობლიგაცია 25.

10.000 მანეთიანი მოგებები ხვდა შემდეგ ობლიგაციებს::

სერია 020319, ობლიგაცია 7; სერია 100085, ობლიგაცია 35; სერია 109862, ობლიგაცია 23; სერია 118566, ობლიგაცია 25; სერია 119445, ობლიგაცია 15.

25.000 მანეთის მოგება ხვდა შემდეგ ობლიგაციას:

სერია 089796, ობლიგაცია 16. ტირაჟი დამთავრდა 21 მაისს (ადს).

პროფკავშირების ცენტრ. კომიტეტების თათბირი

კომიტეტების თათბირი, სოციალისტური შეჯიბრების შესახებ

მოსკოვი, 23 მაისი. საკავშირო პროფსაბჭოში შესდგა პროფკავშირების ც. კ-ის თათბირი, რომელმაც გაითვალისწინა სხვადასხვა წინადადება სოციალისტური შეჯიბრების შესახებ. თათბირს მავნებლად მიაჩნია შეჯიბრების განსაკუთრებული კომისიების შექმნა ხელმძღვანელ საკავშირო და საკავშირთაშორისო ორგანოებთან. ვინაიდან ეს შეასუსტებს საერთოდ პროფორგანიზაციების ყურადღებას შეჯიბრებისადმი. მთელი პრაქტიკული მუშაობა უნდა მოექცეს საწარმოო თათბირების ხელში. შეჯიბრების საუკეთესო ფორმებია— დამკვრელი ბრიგადების, სანიმუშო წყებების და საამქროების შექმნა, დელეგაციების გაგზავნა - გამოგზავნა შეჯიბრების მიმდინარეობას შესამოწმებლად, ხელშეკრულებათა დადება, კონკურსების დაწესება საუკეთესო მწარმოებლებზე.

თათბირმა საჭიროდ სცნო საუკეთესო საწარმოთა და საამქროთა, აგრეთვე ცალკე მუშების საზოგადოებრივი და მატერიალური წაქეზება, რისთვისაც საკავშირო სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოსთან, მოკავშირე რესპუბლიკების სახ. მეურნ. საბჭოსთან და მსხვილ ტრესტებთან უნდა შეიქნას დაჯილდოების ფონდები. საზოგადოებრივი წაქეზებისათვის საჭიროა სპეციალური სიგელების გაცემა, საწარმოთა მიერ მივლინებანი საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ, შეღავათების მიცემა უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად. შეჯიბრება ეწყობა ერთსახოვან საწარმოებს შორის. თათბირის წინადადებანი დასამტკიცებლად გადაეცემა საკავშირო პროფსაბჭოს.

საპატიო სიგელი ჩუხნოვსკის

მოსკოვი, 23 მაისი. ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა მოსკოვში გიბსმა ჩეხო-სლოვაკიის საავიაციო კლუბის სახელით ამხ. ჩუხნოვსკის გადასცა საპატიო სიგელი და ბრინჯაოს ბარელიეფი ნიშნად პატივისცემისა ჩუხნოვსკის მამაცობისადმი და ჰუმანური მუშაობისადმი, რომელიც მან გამოიჩინა ჩეხო-სლოვაკიის საავიაციო კლუბის წევრის ბეგოუნეკისა და ნობილეს ექსპედიციის სხვა მონაწილეების გადასარჩენად. (ადს)

შეჯიბრება და მასების ამოქმედება *)

არავისთვის საეჭვო აღარ უნდა იყოს, რომ ამჟამად ჩვენი მშენებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტს, თუ ყველაზე მნიშვნელოვანს არა, წარმოადგენს მუშათა მილიონიანი მასების ფართოდ გაშლილი შეჯიბრება. ფაბრიკებისა და ქარხნების შეჯიბრება ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, შეჯიბრება მუშებსა და გლეხებს შორის, შეჯიბრება კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებს შორის, ამ მასიური საწარმოო გამოძახების ჩამოყალიბება მშრომელთა სპეციალურ ხელშეკრულებებში—ისეთი ფაქტებია ეს, რომელნიც გვიმტკიცებენ, რომ მასების სოციალისტური შეჯიბრება უკვე დაიწყო.

დაიწყო მშრომელი მასების მძლავრი საწარმოო ამოძრავება.

ამას ეხლა ვერ უარყოფენ თვით უკიდურესი სკეპტიკოსებიც კი.

„სოციალიზმი,—ამბობს ლენინი,—არა თუ არ ახშობს შეჯიბრებას, არამედ, პირიქით, პირველად ჰქმნის შესაძლებლობას გამოყენებულ იქნას შეჯიბრება ნამდვილად ფართოდ, ნამდვილად მასიურად, გამოყვანილ იქნას მშრომელთა ნამდვილი უმრავლესობა ისეთი მუშაობის ასპარეზზე, სადაც მშრომელებს შეუძლიათ გამოიჩინონ თავი, გაშალონ თავიანთი უნარი და გამოამჟღავნონ ნიჭი, რომლის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს ხალხი და რომელსაც წინად კაპიტალიზმი მილიონობით სთელავდა ფეხქვეშ, სულს უხუთავდა და ახშობდა"...

„მხოლოდ ეხლაა შესაძლებელი ფართო, ჭეშმარიტად მასიური შემოქმედება, მხნეობის და გაბედული ინიციატივის გამოჩენა და შეჯიბრება"... „ვინაიდან სხვებისთვის შრომის შემდეგ, რაიც საუკუნოებით გრძელდებოდა, ეხლა პირველად გახდა შესაძლებელი საკუთარი თავისთვის მუშაობა".

„ჩვენს ამოცანას ამჟამად, როცა სოციალისტური მთავრობა ხელისუფლების სათავეში სდგას, შეადგენს შეჯიბრების მოწყობა".

ლენინის ამ დებულებებით ხელმძღვანელობდა საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-16 კონფერენცია, როცა მან მუშებსა და მშრომელთ მიმართა სპეციალური მოწოდებით შეჯიბრების შესახებ.

ზოგიერთი „ამხანაგი" ბიუროკრატების წრიდან ფიქრობს, რომ შეჯიბრება არის ბოლშევიკების მორიგი მოდა და, როგორც ასეთი, უნდა მიყუჩდეს „სეზონის" გათავების შემდეგ. „ამხანაგები" ბიუროკრატების წრიდან, რასაკვირველია, სცდებიან. ნამდვილად შეჯიბრება არის კომუნისტური მეთოდი სოციალიზმის მშენებლობის მშრომელთა მილიონიანი მასების მაქსიმალური აქტიობის საფუძველზე. ნამდვილად შეჯიბრება არის ის ბერკეტი, რომლის საშუალებითაც მუშათა კლასმა უნდა გარდაქმნას ჩვენი ქვეყნის მთელი სამეურნეო და კულტურული ცხოვრება სოციალიზმის საფუძველზე.

სხვა „ამხანაგები" ბიუროკრატების წრიდან, დაშინებულნი შეჯიბრების ძლიერი ტალღით, ცდილობენ შეუქმნან მას ხელოვნური ჩარჩოები, რათა მოაქციონ იგი განსაზღვრულ კალაპოტში, მოახდინონ შეჯიბრების საქმის „ცენტრალიზაცია", შეავიწროონ მისი ფარგლები და, ამგვარად, ჩამოაცალონ ის, რაც მთავარია მასში—მასების ინიციატივა. მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ბიუროკრატებს იმედი გაუცრუვდებათ. ყოველ შემთხვევაში, პარტია მიიღებს ყოველგვარ ზომას, რომ ეს იმედი გააქარწყლოს. სოციალისტური შეჯიბრება საკანცელარიო საქმე არ არის. სოციალისტური შეჯიბრება არის მასების საქმიანი რევოლიუციონური თვითკრიტიკის გამოხატულება და ეყრდნობა მშრომელთა შემოქმედ ინიციატივას. ყველა, ვინც შეგნებულად ან შეუგნებლად აფერხებს ამ თვითკრიტიკას, მასების ამ შემოქმედ ინიციატივას, უნდა გადავისროლოთ გზიდან, როგორც ჩვენი დიადი საქმის შემაფერხებელი.

ბიუროკრატიზმის საფრთხე კონკრეტულად, პირველ ყოვლისა, გამოიხატება იმაში, რომ ის ბოჭავს მასების ენერგიას, ინიციატივას და თვითმოქმედებას, ხელფეხს უბორკავს უდიდეს რეზერვს, რომელიც მოიპოვება ჩვენი წყობილების წიაღში, მუშათა კლასისა და გლეხობის წიაღში, იგი საშუალებას არ იძლევა გამოვიყენოთ ეს რეზერვები ჩვენს კლასობრივ მტრებთან ბრძოლაში. სოციალისტური შეჯიბრების ამოცანას შეადგენს ის, რომ გაანადგუროს ეს ბიუროკრატიული ქსელი, ფართო ასპარეზი გადაუშალოს მასების შემოქმედ ინიციატივას და ენერგიას, აამოქმედოს უდიდესი რეზერვები, რომლებიც ბლომად არიან ჩვენი წყობილების წიაღში, და გამოიყენოს ისინი როგორც შინაურ, ისე გარეშე კლასობრივ მტრებთან ბრძოლაში.

ზოგჯერ სოციალისტურ შეჯიბრებას და კონკურენციას ერთმანეთში ურევენ. ეს დიდი შეცდომაა. სოციალისტური შეჯიბრება და კონკურენცია ორი სულ სხვადასხვა პრინციპია. კონკურენციის პრინციპია: ერთის დამარცხება სასიკვდილოთ და მეორეს გამარჯვება და ბატონობა. სოციალისტური შეჯიბრების პრინციპია: მოწინავეების მხრივ ამხანაგური დახმარება ჩამორჩენილებს იმ მიზნით, რომ მიღწეული იქნას საერთო წარმატება. კონკურენცია ამბობს: გაანადგურე ჩამორჩენილნი, რომ განამტკიცო საკუთარი ბატონობა. სოციალისტური შეჯიბრება ამბობს: ერთნი მუშაობენ ცუდად, მეორენი კარგად, მესამენი უფრო უკეთ—დაეწიე უკეთესს, მიაღწიე საერთო წარმატებას. სწორედ ამით აიხსნება ის არაჩვეულებრივი საწარმოო აღფრთოვანება, რომელიც მოედო მშრომელთა მილიონიან მასებს სოციალისტური შეჯიბრების შედეგად. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ კონკურენცია ვერასოდეს ვერ გამოიწვევს რაიმე აღფრთოვანებას მასებში.

ამ ბოლო დროს ჩვენს პრესაში გახშირდა წერილები და შენიშვნები შეჯიბრების შესახებ. სწერენ შეჯიბრების ფილოსოფიაზე, შეჯიბრების საფუძვლებზე, შეჯიბრების შესაძლებელ შედეგებზე და სხვ. მაგრამ იშვიათად შეხვდებით ისეთ შენიშვნებს, რომელთაც შეეძლოთ იმის მთლიანი სურათის გადმოცემა, თუ როგორ ატარებენ შეჯიბრებას თვით მასები, რას განიცდიან მუშების მილიონიანი მასები, როცა ანხორციელებენ შეჯიბრებას და ხელს აწერენ ხელშეკრულებებს, სურათი იმისა, თუ როგორ სთვლიან შეჯიბრებას მუშათა მასები თავიანთ საკუთარ საქმედ. ეს კი, ჩემის აზრით, შეჯიბრების მეტად მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს.

მე ვფიქრობ, რომ მიკულინის ბროშურა წარმოადგენს შეჯიბრების პრაქტიკის მასალების სისტემატიურად დალაგების პირველ ცდას. ის გვიხატავს შეჯიბრების საქმეს, როგორც თვით მშრომელთა საქმეს. ამ ბროშურის ღირსებას შეადგენს ის რომ იგი წარმოადგენს უბრალო, უტყუარ მოთხრობას მშრომელთა დიადი აღტყინების იმ ღრმა პროცესების შესახებ, რომელნიც სოციალისტური შეჯიბრების შინაგან მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ.

ი. სტალინი.

მოსკოვი, 23 მაისი.

(გადმოცემულია ტელეგრაფით)

---

*) ამხ. სტალინის ეს წერილი წარმოადგენს მიკულინის წიგნაკის „მასების შეჯიბრება"-ს წინასიტყვაობას; მოთავსებულია „პრავდა"-ს 23 მაისის №-ში.

კულიკის ექსპედიცია

ლენინგრადი, 22 მაისი. ლენინგრადში ცნობა მოვიდა, რომ კულიკის ექსპედიციამ მშვიდობიანად მიაღწია იმ ადგილს, სადაც მეტეორიტია ჩამოვარდნილი. უკვე შეუდგნენ მოსამზადებელ ბურღვას. (ადს).

ურალის ნავთი

ანალიზის შედეგები

ლენინგრადი, 23 მაისი. გეოლოგიური კომიტეტის ლაბორატორიაში დამთავრდა ურალის ნავთის ანალიზი, რომელმაც აღმოაჩინა, რომ ურალის ნავთი მცირეოდნად განსხვავდება მაღალი ხარისხის ნავთისაგან. ნიმუშები აღებულ იქნა მაღალი ფენებიდან, სადაც ნავთის ხარისხი ჩვეულებრივ დაბალია (ადს).

ნავთის სარეწაოს მოწყობა ჩუსოვის გოროდოკში

მოსკოვი, 23 მაისი. ჩუსოვის გოროდოკიდან დაბრუნდა ნავთის სინდიკატის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. რიაბოვოლი, რომელმაც კორესპონდენტს გადასცა უკანასკნელი ცნობები ნავთის სარეწაოს მოწყობის საქმის მსვლელობის შესახებ.

„პირველი ჭაბურღილიდან ნავთის ამოღება, — სთქვა ამხ. რიაბოვოლმა, — მახლობელ დღეებში განახლდება. არის საბუთი მოველოდეთ ნავთის შადრევანს ნავთის მეტად საგრძნობი რაოდენობით. სასწრაფოდ ეწყობა ორი პატარა აუზი, თითო 50 ტონა ნავთისათვის და ერთიც — 500 ტონასათვის. მაგრამ შესაძლებელია ამ აუზებმაც არ იკმაროს. ამიტომ ითხრება ორმო, რომელიც 3.000 ტონას დაიტევს".

„რასაკვირველია, — სთქვა დასასრულ ამხ. რიაბოვოლმა,— გადაჭრით რამის თქმა ჩუსოვის საბადოს მნიშვნელობის შესახებ ჯერ ძნელია. მაგრამ ბევრი საბუთია, რომ მას სამრეწველო მნიშვნელობა ექნება. ამას მოწმობს ნავთის ამოღების პირველი შედეგები. მაგ., 11 მაისს, როდესაც ნავთის სვეტმა 14 ნახ. მეტრს მიაღწია, 105 მეტრის სიღრმეზე წყალი არ აღმოჩნდა (ადს).

აზნავთის პრაქტიკული დახმარება ურალის ნავთის სარეწაოებს

ბაქო, 23 მაისი. ბაქოში პერმიდან ჩამოვიდა „გლავგორტოპ"-ის რწმუნებული ურალის ნავთის საბადოების რაიონში ამხ. ერმოლაევი. აზნავთში მან გამოარკვია დაზვერვის, მანქანების, მოწყობილების, მასალებისა და ტეხნიკური და მუშათა პერსონალის გაგზავნის საკითხები. პერმში მიემგზავრება 10 კვალიფიციური ნავთის მუშა. აზნავთმა ტელეგრაფით წინადადება მისცა აზნავთის ბურღვის განყოფილების მმართველის თანაშემწეს ინჟენერ ბარნიცკის, რომელიც მოსკოვში იმყოფება, „ავტომატიური მბურღავის" ცნობილ გამომგონებელ ინჟენერ სკვორცოვთან ერთად, დაუყოვნებლივ გაემგზავროს ურალის ოლქში და გამოარკვიოს იქ საბურღავ სამუშაოთა დაწყებასთან დაკავშირებული საკითხები (ადს).

პარტიაში

„წმენდისათვის მზადებისა და მისი ჩატარების დროს მიღებულ უნდა იქნას ყოველი ზომა იმისთვის, რომ [illegible]შვნელოვანი ამოცანის" (ლენინი) შესრულების გარშემო ფართოდ გაიშალოს მთელი პარტიის თვითკრიტიკა და თვითმოქმედება" (საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკ. კომისიის ინსტრუქციიდან)

ფართედ გავშალოთ აგიტაცია წმენდის საკითხებზე

(საუჯრ. ორგანიზატორთა და კულტმუშაკთა კრების რეზოლიუცია)

კომუჯრედების აგიტპროპორგანიზატორების, აგიტპროპკომისიების წევრთა, ჯგუფური აგიტატორების, პარტორგების და ქალთა ორგანიზატორების, მუშათა კლუბების გამგეების და კულტკომისიების თავმჯდომარეების საერთო-საქალაქო კრება, მოისმინა რა მან ამხ. ლევნიკოს მოხსენება პარტიის წმენდის შესახებ, სავსებით და მთლიანად იწონებს მე-16 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებას პარტიის გენერალური წმენდის შესახებ მიტმასნილი, უცხო, გაბიუროკრატებული და გახრწნილი ელემენტებისაგან, პარტიის ბრძოლის-უნარიანობის და კლასობრივი ერთგვარობის განმტკიცების და პარტიის გენერალური ხაზის საფუძველზე დარაზმვის მიზნით.

კრება აღნიშნავს, რომ პარტიის წმენდის საკითხი არის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ამჟამად სდგას პარტიის წინაშე და საჭიროა უპარტიო მუშათა ფართო მასების ჩაბმა ამ წმენდის ჩატარებაში. ამ მიზნით საჭიროა ფართო, მასიური, ჯგუფური აგიტაციის განვითარება წარმოებებში პარტიის წმენდის საკითხებზე. წმენდის როლისა და მნიშვნელობის ახსნა-განმარტება მუშათა ფართო მასებს შორის. ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული დილის შესვენება პარტიის წმენდასთან დაკავშირებული საკითხების ახსნა-განმარტებისათვის და ეს საკითხები გაშუქდეს კედლის გაზეთებში.

წარმოებებში მუშაობის ყველა ფორმა და მეთოდი გამოყენებულ იქნას წმენდის საკითხების უკეთესი ახსნა-განმარტებისათვის, მუშების უფრო მეტად ჩასაბმელად თვით წმენდის საქმეში. კლუბებმა, წითელმა კუთხეებმა თავიანთ მუშაობაში მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ პარტიის წმენდის საკითხს. წმენდის საკითხების ახსნა-განმარტებასთან ერთად საჭიროა განვითარდეს ფართო აგიტაცია-პროპაგანდა პარტიაში საუკეთესო, კვალიფიციური მუშების ჩასაბმელად.

კრება სცნობს, რომ მოსამზადებელი მუშაობის თავის დროზე ჩატარება, მუშათა ფართო უპარტიო მასების ჩაბმა წმენდის საქმეში ჯანსაღი პროლეტარული თვითკრიტიკის ნიადაგზე წარმოადგენს იმის საუკეთესო გარანტიას, რომ პარტია ნამდვილად განიწმინდება ყველა უვარგისი ელემენტებისაგან. გახდება კიდევ უფრო მონოლიტური და ერთგვარი თავისი კლასობრივი შემადგენლობით და გადალახავს ყველა დაბრკოლებას, რომელიც [illegible] სოციალისტური მშენებლობის გზაზე ხვდება და სძლევს ყველა მერყეობას და გადახრას პარტიის ლენინური ხაზიდან, განსაკუთრებით მემარჯვენე გადახრას, რომელიც ამჟამად უფრო საშიშია პარტიისათვის.

კრება განსაკუთრებით უსვამს ხაზს ქვედა საფეხურის ორგანიზაციების ზედმიწევნით მომზადებას წმენდისათვის, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის ინსტრუქციის თანახმად.

პერიოდულმა პრესამ უნდა ჩაატაროს სისტემატიური კამპანია წმენდისათვის, ყოველგვარი საშუალებით უნდა შეუწყოს ხელი პარტიული და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღების მობილიზაციას პარტიის გენერალური წმენდის ირგვლივ.

საანგარიშო კამპანიის პერიოდში უჯრედების ბიუროებმა უნდა უზრუნველჰყონ წმენდისათვის მზადების მსვლელობის მასიური განხილვა უჯრედების მიერ, რათა თავის დროზე იქნას აცილებული დეფექტები და პარტიულ და უპარტიოთა მასებმა მაქსიმალური მონაწილეობა მიიღონ წმენდაში.

მზადება პარტიის წმენდისათვის

სოხუმი, 23 მაისი. სოხუმის პარტიული ორგანიზაცია ენერგიულად ემზადება პარტიის წმენდისათვის. ქალაქის უჯრედებმა გამართეს სპეციალური კრებები და გამოჰყვეს კომისიები დახასიათებათა შესადგენად; ამასთან ზოგიერთ უჯრედში დახასიათებანი საერთო კრებებზე განიხილეს.

უჯრედთა მდივნების და სოფლის უჯრედებზე მიმაგრებული პასუხისმგებელი ამხანაგების ამას წინად შემდგარმა თათბირმა მოისმინა ადგილების ინფორმაცია წმენდისათვის მზადების მსვლელობის შესახებ. ვლადიმირის უჯრედში (სოხუმის მაზრა) მოსამზადებელი მუშაობა თითქმის დამთავრდა, მერხეულის თემში მოხდა ღია კრება, რომელსაც დაესწრო 80 უპარტიო გლეხი. უნდა აღინიშნოს, რომ უჯრედის ბევრი წევრი არ ასრულებს პარტიულ დავალებებს. ეს გათვალისწინებული იყო დახასიათების შედგენის დროს. დახასიათებანი შეადგინეს ცებელდის უჯრედშიაც. ამ დღეებში მოწვეული იქნა მოჯამაგირეთა სპეციალური კრება. უპარტიო გლეხები, განსაკუთრებით ღარიბები აქტიურ მონაწილეობას იღებენ მოსამზადებელ მუშაობაში და მიუთითებენ ცალკე შეცდომებზე მუშაობაში და ცუდ კომუნისტებზე.

გუმისტას გარეუბნის რაიონში მზადება წმენდისათვის ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, მაგრამ უკვე შემოდის განცხადებანი და ცალკე მასალა ზოგიერთი პარტიელის შესახებ.

გულრიფშის უჯრედში წმენდის საკითხის განხილვის დროს გაისმოდა, რომ წმენდა ზედმეტია და იგი განსაკუთრებულ საჭიროებას არ წარმოადგენსო. ასეთ განცხადებას ჯეროვანი პასუხი გასცეს. (ადს)

სამხედრო ორგანიზაცია მზად არის წმენდისათვის

25 მაისიდან წმენდა იწყება

პარტწმენდა არმიაში დაიწყება 25 მაისს და დამთავრდება 1 ივლისისათვის. მთელი მოსამზადებელი მუშაობა დამთავრებულია. პარტ-ბიუროსთან შექმნილმა კომისიებმა უკვე წარმოადგინეს უჯრედებისა და კოლექტივების მუშაობის დახასიათება (ადს).

მე-2 ქართული დივიზია

პარტიულ ორგანიზაციის წმენდა მეორე ქართულ დივიზიაში იწყება 25 მაისიდან. გამოყოფილია ორი გამწმენდი კომისია, რომლებმაც წმენდა 1 ივლისისათვის უნდა დაამთავრონ. თითეულ კომისიაში შედიან სამხედრო მსახურნი, პარტიის ოთხი ძველი წევრი, თითქმის ყველა მუშები, მხოლოდ კომისიების თავმჯდომარეები არიან დანიშნული სამოქალაქო პარტიულ ორგანიზაციის საკონტროლო კომისიიდან. კომისიების შემადგენლობა იყო გამოქვეყნებული სამხედრო გაზ. „წითელ არმიელში".

ის წინასწარი მუშაობა, რომელიც ჩატარდა პარტორგანიზაციაში წმენდის წინ, უთუოდ შეუწყობს ხელს თვით წმენდის ჩატარებას. ფართოდ იყო დაწყებული განმანათლებელი მუშაობა წითელ არმიელთა შორის წმენდის ხასიათის და მნიშვნელობის შესახებ.

წმენდისათვის მოსამზადებელ მუშაობის დროს გამოირკვა, რომ წარსულში სუსტად იყო დაყენებული პარტიის ცალკე წევრთა შესწავლის საქმე. ამ საქმეს სერიოზულად ხელი მხოლოდ მაშინ მოჰკიდეს, როცა გამოცხადებულ იქნა ნოემბრის პლენუმის დადგენილება პარტიის წმენდის შესახებ.

სამზადისის დროს ქონდა ადგილი შეცდომებსაც. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გადახრა კომუნისტების წვრილმან ყოფა-ცხოვრებითი საკითხების შესწავლისაკენ. უჯრედებს გამოქონდათ ასეთი ხასიათის დადგენილება: „შესწავლილ იქნეს თვითეულ პარტიულის ოჯახური მდგომარეობა" და სხვა. ამ ნაკლს თავის დროზე მიექცა ყურადღება დივიზიის პარტიულ კომისიის მიერ და მალე იქნა გამოსწორებული.

წმენდისათვის მზადებასთან დაკავშირებით შეიძლება აღინიშნოს, რომ გაძლიერდა უჯრედებში ბრძოლა წვრილ-ბურჟუაზიულ ტენდენციებთან. საგრძნობლად ამაღლდა პარტიული დისციპლინა და პასუხისმგებლობა პარტიული ხაზით მოცემულ მუშაობის შესრულებისათვის. დივიზიის ყველა უჯრედებში შეუდგენ არა მარტო პარტიულების შესწავლას, არამედ მთელი პარტიული მუშაობის გაუმჯობესებასაც. უჯრედებში უფრო მეტი ყურადღებით ექცევიან პარტიული მასის მიერ წამოყენებულ საკითხების თავის დროზე მოგვარებას.

ამავე დროს ფართოდ იშლება ქვედა ორგანიზაციებში მუშაობა უპარტიო წითელ-არმიელთა შორის. მთელ რიგ სამხედრო ნაწილების პარტიულ ორგანიზაციებში გაძლიერდა ლტოლვა პარტიის რიგებისაკენ.

წითელ არმიელთა მასებს შორის წმენდის შესახებ ახსნა განმარტებითი მუშაობის დროს ირკვეოდა, რომ უპარტიო წითელ-არმიელები დადებითად უყურებენ წმენდას, მათ თავის მხრივ შემოჰქონდათ სოფლად მომუშავე ზოგ კომუნისტებზე უარყოფითად დამახასიათებელი მასალები. საერთოდ დივიზიის პარტიულ ორგანიზაციაში, განსაკუთრებით რიგის წითელ არმიელთა საშუალებით, შეკრებილ იქნა საკმაოდ დიდი მასალა სამოქალაქო პარტიულ ორგანიზაციების წევრებზე, რომელიც „სამეულების" მიერ იგზავნებოდა კუთვნილებისამებრ. ეს მასალა გამოსადეგი იქნება ამ ორგანიზაციებისათვის წმენდის დროს.

თვით დივიზიის პარტიული ორგანიზაცია წმენდას საკმაოდ მომზადებული ხვდება.

ი. რუდოვსკი.

ლენრაიკომის პლენუმზე

გუშინ, საღამოს შესდგა ლენინის რაიკომის გაფართოებული პლენუმი კომუჯრედების მდივნებთან ერთად. პარტიის წმენდის ჩატარების შესახებ პლენუმმა მოისმინა ამხ. **გოლდბაუმის** მოხსენება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარტიის გენერალური წმენდის წარმატებით ჩატარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მომზადებული შეხვდება, როგორც პარტიული, ისე უპარტიო მასა წმენდის ჩატარებას. წმენდის საკითხის ირგვლივ ფართოდ უნდა იქნეს დარაზმული უპარტიო მასების საუკეთესო ნაწილი და საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციები. წმენდის დროს განსაკუთრებით დიდი როლი უნდა ითამაშონ კომკავშირმა და მისმა „მსუბუქმა კავალერიამ", მუშ-გლეხკორებმა და კედლის გაზეთებმა. კომუჯრედების დახასიათება უნდა სწარმოებდეს იმისდა მიუხედავად, თუ როგორ ასრულებენ ისინი პარტიის მიერ მიცემულ დირექტივებს.

ლენინის რაიონში, რომელშიაც უმთავრესად გაერთიანებულია საწარმოო უჯრედები, დახასიათების შედგენის დროს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს უჯრედის მონაწილეობას წარმოების გაუმჯობესების საქმეში.

მოხსენების ირგვლივ გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ პლენუმმა ამხ. გოლდბაუმის მოხსენება მიიღო ცნობად, ხოლო რაიკომის მიერ მიღებული ღონისძიებები მოიწონა.

პლენუმმა საჭიროდ სცნო, რომ ლენინის რაიონის კომუჯრედთა სხდომებზე ფართოდ იქნეს განხილული გამწმენდი კომისიების შემადგენლობა, პარტიის წმენდის საკითხი დამუშავდეს კომკავშირის აქტივზე და ჯგუფურ კრებებზე, მუშათა კლუბებში უნდა ჩატარდეს მოხსენებები პარტიის წმენდაში უპარტიო მშრომელი მასების მონაწილეობის შესახებ და სხვ.

მეორე საკითხად პლენუმმა მოისმინა ამხ. **გუდავაძის** მოხსენება უჯრედების ბიუროების საანგარიშო კამპანიის შესახებ.

უჯრედების საანგარიშო კამპანიაში, — ამბობს მომხსენებელი, — უნდა მაქსიმალურად ჩავაბათ უპარტიო მასებიც. ამ მიზნით გადაწყვეტილია ნაწილობრივ უჯრედების ანგარიშის მოსასმენლად ღია კრებების მოწვევა. წარსული საანგარიშო კამპანია ვერ ჩავატარეთ ისე, როგორც ეს საჭირო იყო, მაშინ დაშვებული შეცდომები მომავალ საანგარიშო კამპანიის დროს თავიდან უნდა ავიცილოთ. საანგარიშო მოხსენებების დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს შინაპარტიული მდგომარეობის საკითხს, უჯრედის ბრძოლას იდეოლოგიურ ფრონტზე, თვითკრიტიკის საკითხს, სოციალისტური შეჯიბრების ჩატარებას და იმას, თუ რა მონაწილეობა მიიღო უჯრედმა შრომის დისციპლინის განმტკიცების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, თვითღირებულების შემცირების საქმეში. არა ნაკლები ყურადღების ღირსია პარტმუშაობის რაციონალიზაციის საკითხიც, რადგან ხშირად უჯრედების მუშაობა მხოლოდ კრებებს უნდება და საქმით კი არაფერი კეთდება. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე იმასაც, თუ როგორ ასრულებს უჯრედი თავის დადგენილებებს, რა მოსამზადებელ მუშაობას აწარმოებს ის პარტწმენდაში უპარტიო მასების ჩასაბმელად და სხვ. აი, ამ უმთავრესი საკითხების მიხედვით უნდა იქნეს შედგენილი უჯრედების საანგარიშო მოხსენებები.

ამხ. გუდავაძის მოხსენების ირგვლივ პლენუმმა მიიღო პრაქტიკული ხასიათის რეზოლიუცია.

დასასრულ განხილულ იქნა ლენ-რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგის ამხ. **გუდავაძის** განცხადება მისი თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ (სასწავლებლად წასვლის გამო). პლენუმმა დააკმაყოფილა ამხ. გუდავაძის თხოვნა და მის მაგიერ ლენრაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგეთ გამოყო ამხ. **ა. წითლიძე.**

კომკავშირიც შეამოწმებს თავის რიგებს

(ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის პლენუმი)

კომკავშირის თბილისის კომიტეტის პლენუმმა მოიწონა საკავშირო ა. ლ. კ. კ. ცეკას მე-3 პლენუმის და საქართველოს კომკავშირის ცეკას გადაწყვეტილება კომკავშირის სოციალური შემადგენლობის შემოწმების შესახებ. პლენუმის რეზოლიუციაში აღნიშნულია: წმენდა უნდა ჩატარდეს, როგორც უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ორგანიზაციის გაწმენდას უცხო და მოტმასნილ ელემენტებისაგან და ამავე დროს განახორციელოს ლოზუნგი — „მუშათა და მოჯამაგირეთა ახალგაზრდობის ასი პროცენტით ჩაბმა ლენინურ კომკავშირის რიგებში" (ადს).

აფხაზეთის საოლქო პარტკონფერენცია

სოხუმი, 23 მაისი. სრ. აფხაზეთის საოლქო პარტკონფერენცია მოწვეული იქნება 5 ივნისს. დღის წესრიგი: მე-16 საკავშირო პარტკონფერენციის შედეგები და დელეგატების არჩევა საქართველოს პარტკონფერენციაზე (ადს).

იწონებენ მე-16 კონფერენციის გადაწყვეტილებებს

ტაშკენტი, 23 მაისი. ტაშკენტის საოლქო კომიტეტის პლენუმმა პარტაქტივთან ერთად სავსებით მოიწონა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმის და მე-16 საკავშირო პარტკონფერენციის გადაწყვეტილებანი. (ადს).

სომხეთის ა. ლ. კ. კ. ყრილობა

ერევანი, 22 მაისი. სომხეთის ა. ლ. კ. კ. ცეკას მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში, რომელიც 4 სხდომაზე გაგრძელდა, მონაწილეობა მიიღო 50-ზე მეტმა დელეგატმა. დელეგატები დაწვრილებით შეეხნენ ცეკას მიერ ჩატარებულ მუშაობას ორგანიზაციის წმენდის, ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის, კვალიფიციური მუშათა ახალგაზრდობის მომზადების საქმეში და სხვ. ცეკას მოხსენების გამო მიღებული რეზოლიუცია იწონებს ხელმძღვანელობის შეცვლას და მიაქცევს ყურადღებას მემარჯვენე გადახრასთან ბრძოლის საჭიროებას.

21 მაისის დილის სხდომაზე ვრცელი მოხსენება იდეოლოგიური საკითხების შესახებ გააკეთა სომხეთის კომპარტიის (ბ) ცეკას აგიტპროპგანყოფილების გამგემ ამხ. ამატუნიმ (ადს).

მარქსიზმის დაუსწრებელი კურსების შესახებ

თანახმად საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის დადგენილებისა, კომაკადემიასთან არსებულ მარქსიზმის კურსებთან ეწყობა მარქსიზმის დაუსწრებელი კურსები. კურსების ძირითად ამოცანას შეადგენს საოლქო მასშტაბის პარტმუშაკების თეორეტიული დონის ამაღლება. კურსანტების დამოუკიდებელი მუშაობის გზით, კურსების სასწავლო-მეთოდიური დახმარებით და მათი მონაწილეობით ყოველწლიურ თვენახევრიან კურს-კონფერენციებზე, რომელიც შესდგება მოსკოვში.

მიუხედავად იმისა, რომ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. საგიტ-საპროპ. ბეჭდვ. განყოფილებამ თავის დროზე გამოაქვეყნა მიღების პირობები, აქამდე მხოლოდ ორი-სამი განცხადებაა შემოსული. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ამხანაგები არ არიან საკმაო გარკვეული თეორეტიულ განათლების ასეთი სისტემის მნიშვნელობაში.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. საგიტ-საპროპ. ბეჭდვ. განყოფილება განმეორებით აცხადებს, რომ იმ ამხანაგებმა, რომელთაც სურთ სწავლა მარქსიზმის დაუსწრებელ კურსებზე, უნდა შემოიტანონ განცხადება პარტიულ კომიტეტის რეკომენდაციითურთ **არა უგვიანეს ა. წ. 30 მაისისა.** კურსებზე შემსვლელთ წაერდგინება იგივე მოთხოვნილებანი, რაც მარქსიზმის ძირითად კურსებზე შემსვლელთ (იხ. ცეკას „უწყებანი" № 1). შერჩევის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალებს და, აგრეთვე, მსხვილ საფაბრიკო-საქარხნო კოლექტივების ხელმძღვანელთ.

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ. საგიტ-საპროპ.-ბეჭდვ. განყ. გამგის მოადგ. **ა. ქორქიაშვილი.**

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზ. ამა წლის 17 მაისის ნომერში მოთავსებულ შენიშვნაში პარტმუშაკთა გადასამზადებელი კურსების შესახებ, გაიპარა შეცდომა. აღნიშნულ კურსებზე მეცადინეობა დაიწყება არა 15 ივნისს, როგორც ეს ნაჩვენებია შენიშვნაში, არამედ 5 ივნისს.

ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ლაშქრობის შედეგები

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკ. კომისიის და მუშგლეხინის დადგენილება

1. ცნობილ იქნას, რომ დაწესებულებებზე მასიური ლაშქრობის პირველი ცდა, რომელიც მოწყობილ იქნა საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის მიერ ა. წ. 30 მარტს, სავსებით ნაყოფიერი გამოდგა. ეს ლაშქრობა მიზანშეწონილი აღმოჩნდა, როგორც სახელმწიფო აპარატის მუშაობის კონტროლისა და თვალყურის დევნების საქმეში საწარმოთა მუშაობის ფართოდ ჩაბმის მეთოდი და როგორც ცდა, რომელმაც სახელმწიფო აპარატის განსაკუთრებით მტკივნეული ადგილების მხილების გზით დამაკმაყოფილებელი მასალები მოგვცა. მასიური ლაშქრობის ერთ-ერთ დადებით შედეგს უსათუოდ წარმოადგენს სახელმწიფო აპარატის შემდგომი გაუმჯობესება მოქალაქეთა მიღების, შრომის დისციპლინის აწევის და თანამშრომელთა პირადი შემადგენლობის გაჯანსაღების საქმეში.

ამასთან ერთად ის შეცდომები, რომლებიც დაუშვეს ლაშქრობის მონაწილეებმა, ზოგიერთი ფაქტიური ხასიათის შეცდომები,— მაგალითად, ერთი პირის დასახელება ამა თუ იმ შემჩნეულ არანორმალურ მოვლენაში ნამდვილად დამნაშავე მეორე პირის მაგივრად,—ყველაფერი ეს მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევითი ხასიათის შეცდომებს წარმოადგენენ. ეს შეცდომები გამომდინარეობენ როგორც იქიდან, რომ ლაშქრობის მონაწილეთა უმრავლესობას პირველად მოუხდა ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება, ისე იქიდანაც, რომ მათ დაწესებულებათა თანამშრომლები არ აწვდიდნენ სწორ ინფორმაციას.

2. მიუხედავად ცალკე ფაქტებისა, რომლებიც ჯერ კიდევ შემოწმებული არაა, ცნობილ იქნას: უდავო და დამტკიცებული, რომ იმ დაწესებულებებში, რომელთაც ლაშქრობა შეეხო:

ა) მეტად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია შრომის დისციპლინის საქმე: თანამშრომლები მასიურად იგვიანებენ სამუშაოზე, ადრე მიდიან სამსახურიდან, უსაქმოდ არიან სამსახურში. კერძო ლაპარაკში ერთობიან, გულგრილად ეკიდებიან სამუშაოს და სხვ.

ბ) საქმეზე მისულებს, განსაკუთრებით ღარიბად ჩაცმულებს, მუშებს, გლეხებსა და ქალებს ბიუროკრატიულად, მეტად უხეშად და უყურადღებოდ ეპყრობიან.

გ) ამ დაწესებულებათა აპარატში იმყოფება მთელი რიგი სოციალურად უცხო და კლასობრივად მტრული ელემენტები (ყოფ. თავადები, აზნაურები, მოხელეები და სხვ.).

დ) საქმეზე მისულთა დაკმაყოფილების დროს ადგილი აქვს პროტექციონიზმსა და ნათლიმამობას.

ე) არ სრულდება საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის დირექტივა საქმეზე მისულთა სათანადო დაკმაყოფილების საქმის ორგანიზაციის შესახებ.

ვ) როგორც დაწესებულებათა ხელმძღვანელები, ისე ქვედა პარტიული და პროფესიონალური ორგანოები ზერელედ ეკიდებიან შრომის დისციპლინის აწევისა და ბიუროკრატიზმთან, საქმის გაჭიანურებასთან და ნათლიმამობასთან ბრძოლის საკითხებს.

3. ამ არანორმალურ მოვლენათა მოსასპობად და სახელმწიფო აპარატის გასაჯანსაღებლად ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი ადგენს:

ა) პარტიულ და პროფესიონალურ ორგანოებთან ერთად მოეწყოს და ჩატარებული იქნას კამპანია შრომის დისციპლინის ასაწევად, აპარატის მხრით საქმეზე მისულებისადმი ბიუროკრატიული და უხეში მოპყრობის მოსასპობად და პროტექციონიზმისა და ნათლიმამობის წინააღმდეგ.

ბ) ლაშქრობის მასალები სათანადოდ იქნას გათვალისწინებული და გამოყენებული სოციალურად უცხო და მავნე ელემენტებისაგან სახელმწიფო აპარატის წმენდის დროს.

გ) წინადადება მიეცეს ყველა დაწესებულებას,—ამ დაწესებულებათა მეთაურებისათვის პერსონალური პასუხისმგებლობის დაკისრებით,—რომ დაუზოგავად განდევნონ სამსახურიდანაც კი მოხსნან, გამონაკლისის გარეშე, ყველა ის პირი, რომელიც დაარღვევს შრომის დისციპლინას, უსაქმოდ ატარებს დროს დაწესებულებაში, უხეშად და ტლანქად ეპყრობა საქმეზე მისულთ, პროტექციონიზმსა და ნათლიმამობას მიმართავს და სხვ.

დ) კერძოდ, დაევალოს ყველა თანამშრომელს, გამონაკლისის გარეშე, ნუ იგვიანებენ სამსახურში. ამნაირად, გაუქმებული იქნას შეღავათი, რომლითაც უკანონოდ სარგებლობდნენ მუშაკთა ცალკე ჯგუფები, გაუქმებულ იქნას ნორმაზე ნაკლები სამუშაო დღე.

ე) საუზმისათვის დაინიშნოს განსაკუთრებული საათი (მაგ., 11 ნახევარიდან—12 ნახ. საათამდე). ამ დროს განმავლობაში თანამშრომლების ცალკე ჯგუფები ისარგებლებენ ნახევარ-ნახევარი საათით. მტკიცედ იქნას ეს წესი დაცული ყველა თანამშრომლის მიმართ, გამონაკლისის დაუშვებლად.

ვ) მიექცეს ყველა დაწესებულებისა და თანამდებობის პირის ყურადღება იმ გარემოებას, რომ კატეგორიულად საჭიროა ცხოვრებაში სისწორით იქნას გატარებული საქართველოს ცენტრალური საკონტროლო კომისიისა და მუშგლეხინის წინადადებები, რომლებიც შეეხებიან საქმეზე მისულთა მიღების წესებს და მათ დაკმაყოფილებას, კერძოდ, მისაღები საათების დაცვას საქმეზე მისულებისათვის როდესაც მათი მიღება არ ხერხდება, ამის შესახებ დროზე გამოცხადებას, საჩივრებისა და განცხადებების სწრაფ მოძრაობას ინსტანციებში, საჩივართა ყუთების მოწყობას, ცნობის გაცემას და სხვ.

საშეფო ორგანიზაციის აქტივის საქალაქო კრება

გუშინ, 23 მაისს, საღამოს 6 საათზე, მილიციელთა კლუბში შესდგა საშეფო ორგანიზაციის აქტივის საქალაქო კრება. კრება გახსნა ამხ. სტეფანოვმა. კრების დღის წესრიგში დასმული იყო ერთი საკითხი: სოციალისტური შეჯიბრება და საშეფო ორგანიზაცია. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. **ასრიბეკოვმა.**

საშეფო ორგანიზაცია, სთქვა მომხსენებელმა, პარტიის ერთ-ერთ დამხმარე ორგანიზაციას წარმოადგენს იმ ამოცანათა შესრულების საქმეში, რომელიც სდგას პარტიის წინაშე. საშეფო ორგანიზაციის მონაწილეობამ საგაზაფხულო თესვის კამპანიაში უდიდესი ნაყოფი გამოიღო და ამით ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ საშეფო ორგანიზაცია სდგას სწორ გზაზე და მტკიცედ ემსახურება ყველა იმ ლოზუნგებს, რომლებსაც პარტია იძლევა.

საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა, რომელიც მიღებული იქნა სათანადო ორგანოების მიერ, ერთ-ერთ უდიდეს ფაქტორად ჩაითვლება სოციალისტური მშენებლობის საქმეში. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს კაპიტალისტური სექტორის შევიწროვებას როგორც ქალაქად, ისე სოფლად. ამ გეგმის შესრულება კი მშრომელთა ფართო მასების დაუხმარებლად არ მოხერხდება, ამიტომ მუშათა კლასის წინაშე 5 წლიანი გეგმა აყენებს ამოცანას შრომის ნაყოფიერების ამაღლების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ, ხოლო მშრომელი გლეხობის წინაშე დასმულია ამოცანა სათესი სივრცის გაფართოების, მოსავლიანობის გადიდების, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის და მისი კულტურულად გადამუშავების შესახებ.

ამ ამოცანების შესასრულებლად ქალაქის პროლეტარიატმა გამოაცხადა სოციალისტური შეჯიბრება. მუშათა კლასი ამით ამტკიცებს, რომ საკუთარ ქარხნებს იგი საკუთარი ძალით ავითარებს. ეს ხდება ქალაქად, მაგრამ განა სოფლად ჩვენ არ გვაქვს სუსტი მხარეები, რომლებიც საჭიროებენ გამოსწორებას? არის და ამიტომ სოფელმაც უნდა მიბაძოს ქალაქს ამ შეჯიბრებაში, ან და უკეთ რომ ვთქვათ ქალაქის წარმოებებმა, გარდა იმისა, რომ ისინი ეჯიბრებიან ერთმანეთს, შეჯიბრებაში უნდა გამოიწვიონ მათი შეფობის ქვეშ მყოფი სოფლები. ამ საქმის ინიციატივა მუშათა კლასმა უნდა იკისროს თავისი საშეფო ორგანიზაციის საშუალებით, თუ ქალაქის წარმოების მუშები კისრულობენ შრომის ნაყოფიერების გადიდებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, შრომის დისციპლინის განმტკიცებას და სხვა, მათ თავისი შეფობის ქვეშ მყოფ სოფლების მშრომელ გლეხობას უნდა ჩამოართვან პირობა სათესი სივრცის გაფართოების, მოსავლიანობის გადიდების, აგრიკულტურულ ღონისძიებათა გატარების, სას.-სამ. გადასახადის თავის დროზე და უკლებლივ ჩაბარების, კოლმეურნეობათა მოწყობის და სხვ. შესახებ. საშეფო ორგანიზაცია უნდა დაეხმაროს სოფელს ამ ვალდებულებათა შესრულების საქმეში მუშათა ბრიგადების მივლინების საშუალებით და სხვა.

ამხ. ასრიბეკოვის მოხსენების შემდეგ გაიხსნა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამხ. **სიხარიამ, დემეტრაშვილმა, ალიხანოვმა, შაჰბაზიშვილმა, არეშიძემ, წიქვაძემ** და სხვ. კამათში გამოსული ამხანაგები სავსებით იწონებდნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში მშრომელი გლეხობის ჩაბმას და საჭიროდ სცნობდნენ ამ საქმეში საშეფო ორგანიზაციის აქტიურ მონაწილეობას.

დასასრულ კრებამ მიიღო შესაფერი რეზოლიუცია და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ბაქოს საშეფო ორგანიზაცია.

კოოპ. და მილიციის დელეგაცია გაემგზავრა ბაქოში

სოციალისტური ხელშეკრულების დასადებად

გუშინ საღამოს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირის ცენტრალურ გამგეობაში შესდგა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების დასადებად ბაქოში მიმავალ თბილისის სამომხმარებლო კოოპერაციის და თბილისის მილიციის დელეგატების კრება, რომელზედაც განხილული იქნა ხელშეკრულებების პროექტები.

ხელშეკრულების პროექტში გათვალისწინებულია გადამჭრელი ბრძოლის წარმოება ფასების ზრდასთან; კოოპერატივებში რიგების ლიკვიდაცია; არსებული სავაჭრო ქსელის მიზანშეწონილი განაწილება და ახალი სავაჭრო წერტილების რაციონალური მშენებლობა; საქონლის განაწილების ტეხნიკის გაუმჯობესება; აღრიცხვისა და ანგარიშწარმოების გამარტივება - გაუმჯობესება; მომხმარებლისათვის საქონლის ბინაზე მიტანის მოწყობა; საქონლის ხარისხის გაუმჯობესება; სპაიო თანხის აკრეფის გაუმჯობესება და დიფერენციალური პაის შემოღება, გადამჭრელი ბრძოლის წარმოება გაფლანგვებისა და მტაცებლობის წინააღმდეგ; შრომის დისციპლინის განმტკიცება; ეკონომ-მუშაობის გაფართოება; კავშირის წევრების და მათი ოჯახების კოოპერაციაში მაქსიმალურად შეკავშირება; კოოპერაციის მუშაკთა შორის კულტმუშაობის გაძლიერება და კოოპერატიულ აპარატიდან უცხო და ბიუროკრატიულ ელემენტის განდევნა და სხვ.

მილიციის მუშაკების ხელშეკრულების პროექტი, ითვალისწინებს მილიციელების მუშაობის გაუმჯობესებას, გაცდენის ლიკვიდაციას, ლოთობის მოსპობას, მოქალაქეებისადმი ზრდილობიან მოპყრობას, მოქალაქეებისათვის ცნობების და სამსახურის გაწევის გაუმჯობესებას, ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირებას; ხულიგნობისა და ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას და სხვ.

ხელშეკრულებებს განიხილავენ და ხელს მოაწერენ ბაქოში 25 მაისს.

კოოპერაციის დელეგაციაში შედიან: **კარაპეტოვი, კალიაშვილი, ჯავახოვა, [illegible], გოგვაძე** (მუშკოოპიდან), **ბოკერია** (ცეკავშირიდან), **ფარადაშვილი** („ზაკტპოდან"), **მარუტიანი** („ზაკვოენპო"-დან) და **ნასყიდაშვილი** (მწყემსიდან).

მილიციის დელეგაცია: **ხოშტარია** (სეკციიდან), **ჯავახიშვილი, ჯვებენავა, ალიევი** და **ყანჩელი.**

დელეგაცია გუშინ საღამოსვე გაემგზავრა ბაქოში.

ეროვნული

სოციალისტური შეჯიბრების ფრონტზე

სოციალისტური შეჯიბრება ბევრ ადგილას კაბინეტურად ეწყობა

თბილისის დეპომ შეჯიბრებაში გამოიწვია ბაქოს დეპოს მუშები

ჩაბმათ მუშათა ფართო მასები შეჯიბრებაში

სოციალისტური შეჯიბრება ჩვენი მეურნეობის თითქმის ყველა დარგში შევიდა. იშვიათია ისეთი ფაბრიკა, ან ქარხანა, რომელიც არ იყოს ჩაბმული შეჯიბრებაში და იქ არ სწარმოებდეს გაცხოველებული მუშაობა წარმოების გასაუმჯობესებლად და საერთოდ ჩვენი მეურნეობის განსამტკიცებლად. არამც თუ საწარმოებში, სოციალისტური შეჯიბრება ფართოდ გაიშალა აგრეთვე დაწესებულებებშიაც და სასოფლო მეურნეობის დარგშიაც. ერთი დაწესებულება შეჯიბრებაში იწვევს მეორე დაწესებულებას, საქმის წარმოების გაუმჯობესებაში, შრომის დისციპლინის განმტკიცებაში, ბიუროკრატიზმის აღმოფხვრაში და სხვ. სასოფლო მეურნეობის დარგში ერთი კოლექტივი იწვევს მეორე კოლექტივს მოსავლიანობის გადიდებაში, და სხვ. ყველა ეს ამტკიცებს, იმას, რომ სოციალისტურმა შეჯიბრებამ ფართო გამოძახილი ჰპოვა სოციალისტური მეურნეობის ყველა დარგში. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან სოციალისტური შეჯიბრების ამოცანა და მიზანი მარტო ის კი არ არის, რომ გააფართოვოს მეურნეობის ერთი რომელიმე დარგი, არამედ მისი დანიშნულებაა მთლიანად ჩვენი მეურნეობის რეკონსტრუქცია, მისი გარდაქმნა სოციალისტურ საფუძველზე და სოციალისტური მშენებლობაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმა. ამ დანიშნულებას სოციალისტური შეჯიბრება, სადაც სწორად და მიზანშეწონილად არის მოწყობილი, მთელი ასი პროცენტით ასრულებს; იზრდება შრომის ნაყოფიერება, უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი და მცირდება მისი თვითღირებულება. ბევრ საწარმოში სავსებით მოისპო სამუშაო საათების გაცდენა, გაიზარდა მუშათა აქტივი და მუშათა ინიციატივა წარმოების რაციონალიზაციაში და სხვ.

მაგრამ ეს არ ითქმის ყველა საწარმოზე. ბევრ ადგილას სოციალისტური შეჯიბრება კაბინეტურად ეწყობა, მუშათა ფართო მასა მასში არ არის ჩაბმული. შეჯიბრებაში გამოწვევის, ან გამოწვევის მიღების საკითხები არ ირჩევა მუშათა საერთო კრებაზე. თვით ფაბქარხადგილკომები სწყვეტენ ამ საკითხს. ამიტომ მუშებს არ შეუძლიათ რაიმე ცვლილება და დამატება შეიტანონ შეჯიბრების პირობებში. მაგალითად, არსენალის მექანიკურ-საარტილერიო ქარხნის ერთმა მუშამ, როდესაც მას ჰკითხეს იცის თუ არა, რომ მათი ქარხანა გამოწვეულია სოციალისტურ შეჯიბრებაში, განაცხადა: „როგორ არ ვიცი, ამას წინად გაზეთში წავიკითხე ეს ამბავიო". მუშამ შეჯიბრებაში გამოწვევის ამბავი მხოლოდ გაზეთის საშუალებით გაიგო. ეს ფაქტი ამტკიცებს იმას, რომ გამოწვევის საკითხი არსენალის მექანიკურ ქარხანაში არ დამუშავებულა მუშათა საერთო კრებაზე. მუშები არ არიან გაცნობილი სოციალისტური შეჯიბრების პირობებს. ასევეა ზაჰესშიც. აქაც მხოლოდ ადმინისტრაციამ მიიღო „ვოლხოვსტროი"-ს მიერ შეჯიბრებაში გამოწვევა და თუმცა გვიან, მაგრამ მაინც თითონვე, მუშების კრებაზე საკითხის განუხილველად, უპასუხა „ვოლხოვსტროი"-ს. ასეთ ადგილებში არამც თუ წარმატებით ჩატარდება სოციალისტური შეჯიბრება და რაიმე ნაყოფი ექნება მას, არამედ გაუგებრობას შეიტანს მუშებში და დაამცირებს სოციალისტური შეჯიბრების დიდ მნიშვნელობას.

სოციალისტური შეჯიბრება ფართო მასიური კამპანიაა სოციალისტური მშენებლობის განსამტკიცებლად, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის დასაჩქარებლად, სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის განსავითარებლად და მშრომელთა ფართო მასების კულტურული დონის ასამაღლებლად. ამიტომ სოციალისტური შეჯიბრების მოწყობა, მუშათა ფართო მასების მონაწილეობის გარეშე, არავითარ სარგებლობას არ მოუტანს ჩვენს წარმოებას. ამას ანგარიში უნდა გაუწიონ პროფკავშირის ძირითად ორგანოებმა და შეჯიბრებასთან დაკავშირებული ყოველი საკითხები წინასწარ უნდა დაამუშაონ მუშათა აქტივის კრებებზე. მხოლოდ ასეთი გზით სოციალისტური შეჯიბრება გამოიღებს შესაფერ ნაყოფს და შეასრულებს პარტიისა და ხელისუფლების დირექტივებს პროდუქციის თვითღირებულების 7 პროცენტით შემცირების შესახებ.

ვ. ნ.

შეჯიბრება პოლიტგანათლების დარგში

სოციალისტური შეჯიბრების ლოზუნგი შეეხება კულტურულ მშენებლობის საქმესაც, როგორც განუყრელ ნაწილს ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობისა. შეჯიბრება უნდა შეიჭრას კულტურულ მშენებლობის ყოველ დარგში, მან უნდა ჰპოვოს სრული პრაქტიკული გამოხატულება როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

დღეს სოფლად კოლმეურნეობათა მშენებლობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, მაგრამ სამწუხაროდ, ამ მშენებლობას წინ ეღობება მშრომელ გლეხობის ზედმიწევნით დაბალი კულტურული დონე. სხვადასხვა სახის კოლმეურნეობებში — დაწყებული მარტივ ფორმიდან, გათავებული კომუნამდე — შეკავშირებულ გლეხობის საგრძნობი ნაწილი წერა-კითხვის უცოდინარია და დიდი უმრავლესობა მცირე მცოდნეები. ანალოგიური მდგომარეობაა საბჭოთა მამულებშიც. კოლმეურნეობებში და საბჭოთა მამულებში, აგრეთვე კერძო გლეხობის ღარიბ და საშუალო ნაწილში კულტურული და საპოლიტგანმანათლებლო მუშაობის შედარებით ნელი ტემპი, ყველაზე უფრო წინ აყენებს სოციალისტურ შეჯიბრების მეთოდს, როგორც მნიშვნელოვან ფორმას საპოლიტგანმანათლებლო მუშაობის გასაძლიერებლად. სოციალისტური შეჯიბრება — თემების პოლიტ.-გან. ორგანოების შორის, რომლებსაც უეჭველად უნდა გაუწიონ უშუალო ხელმძღვანელობა თემალმასკომების კულტ-სექციებმა, მიზნად უნდა ისახავდეს საპოლიტ-განმანათლებლო მუშაობის გაშლას და ამ მუშაობაში მშრომელ გლეხობის აქტივიზაციას.

შეჯიბრების საგანს უნდა შეადგენდეს პოლ.-გან. მუშაობის საუკეთესოდ დაყენება. თემის სამკითხველო იწვევს შეჯიბრებაში მეზობელ თემების სამკითხველოებს, საუკეთესო ლიკ-სკოლაზე, პოლიტ-სკოლაზე, და მასიურ საპოლიტგანმანათლებლო მუშაობის საუკეთესო დაყენებაზე, მაგრამ სამკითხველოებმა, სოფლის კლუბებმა და სახალხო სახლებმა, სოციალისტურ შეჯიბრების სიმძიმის ცენტრი უნდა გადაიტანონ კოლმეურნეობებში, რომლის საგანს უნდა შეადგენდეს კოლმეურნეობის წევრთა შორის წ.-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია, მცირე ცოდნის სკოლების საუკეთესოდ დაყენება, საუკეთესო კედლის გაზეთების გამოშვება, კოლმეურნეობის წევრთა შორის გაზეთების და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის გავრცელება და სხვა. მასიურ საპოლიტგანმანათლებლო მუშაობის გაშლა. მაზრის ფარგლებში სოციალისტური შეჯიბრებას და მასში კოლმეურნეობის ჩაბმას, საერთო ხელმძღვანელობას უწევენ სამაზრო პოლიტ. გან. ორგანოები, რომლებიც იწვევენ თავის მხრივ მეზობელ მაზრებს შეჯიბრებაში.

საბჭოთა მამულებში პოლიტ. გან. მუშაობის დარგში სოციალისტური შეჯიბრება მოხდება დაახლოებით იმ წესით, როგორც კოლმეურნეობებში, მხოლოდ უშუალო ხელმძღვანელობა ამ საქმეში კი უნდა იკისროს მიწატყის კავშირის მუშათა კომიტეტებმა ადგილებზე. მაგრამ მარტო მუშათა კომიტეტების ჩაბმა შეჯიბრებაში არ არის საკმაო. მიზანშეწონილი იქნება თვით მამულების ადმინისტრაციის აქტიური მონაწილეობა შეჯიბრების ხელმძღვანელობის საქმეში. საბჭოთა მამულები არიან სახელმწიფოს ერთ-ერთი სოციალისტური სიმაგრეები სოფლად, რომლის მეურნეობის კულტურულად დაყენებამ უნდა მიიზიდოს მთელი მშრომელი გლეხობა. ეს მამულები მაშინ შეიქმნებიან ნამდვილი ხელმძღვანელნი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საქმეში, როდესაც შიგ მყოფი მუშების და გლეხების კულტურული დონე გაუთანაბრდება მამულის განვითარებულ სამეურნეო ფორმებს. ამიტომ თვით ადმინისტრაციაც არის დაინტერესებული საბჭოთა მამულების კულტურულ მშენებლობის ტემპის გაძლიერების საქმეში. საჭიროა მხოლოდ ამ დაინტერესების შესაფერი გამოყენება ადგილობრივ პროფ-ორგანიზაციების მიერ.

საბჭოთა მამულების სოციალისტური შეჯიბრება საუკეთესო ლიკ-სკოლებზე და მცირე მცოდნეთა სკოლებზე, პოლიტსკოლებზე, კლუბის საუკეთესო მოწყობაზე და საკლუბო მუშაობის ჯეროვანათ დაყენებაზე, კედლის გაზეთის გამოშვებაზე და სხვა სახის მასიურ კულტურულ მუშაობის გაძლიერებაზე, მთავარი საშუალებაა სასოფლო-სამეურნეო მუშების და მოჯამაგირეების კულტურული დონის ასამაღლებლად და, საერთოდ, სწავლა-განათლების საქმის გასაუმჯობესებლად სოფლად.

შ. ცაგარეიშვილი.

65.000 მანეთის საქონელი ნადგურდება

(წნორის წყალი, კახეთის მაზრა)

წნორის წყლის რკინის გზის სადგურთან ა.-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს 1921 წლიდან მოწყობილი ქონდა ხე-ტყის სახერხი ქარხანა, სადაც დადგმული იყო სამი ლოკომობილი და სამი ორთქლის მანქანა. ქარხანა მომგებიანი იყო; იგი აკმაყოფილებდა არა მარტო რკინის გზას, არამედ კახეთის გლეხობის საჭირო მოთხოვნილებასაც. ქარხანაში 150—200 მუშა მუშაობდა. ერთი სიტყვით კახეთის მაზრის ფარგლებში მას დიდი პერსპექტივა ქონდა, მაგრამ ქარხნის პასუხისმგებელ პირთა შორის, ინტრიგამ, კონკლაობამ და მუშებისადმი უდიერმა მოპყრობამ ვერ დაფარა ადმინისტრატიული და სამნეო ხარჯები. უწესრიგო მუშაობის წყალობით 1921—22—23 წლებში მოზიდულ იქნა 6,000 ცალი სახერხი მორი, საშუალოდ თითო მორი ჯდებოდა მას 50 კაპ. ქარხანა დატვირთა, მაგრამ მორებს მაინც ეზიდებიან. გადის წლები და დაუხერხავი მორები ყრია ტალახში. დეფიციტს დეფიციტი დაემატა, მორები დალპა.

დაისვა საკითხი სახერხი მასალების საწვავ მასალით გამოყენების შესახებ, ზარალს ბოლო არ ელებოდა. ბოლოს წარმოებამ თავი ვერ გაიტანა, და 1928 წ. 1 იანვარს დაიხურა სამუდამოდ. დღიდან ქარხნის ლიკვიდაციისა ა.-კ. რკ. გზის სარეალიზაციო განყოფილებამ გამოაცხადა მისი საჯაროდ გაყიდვა. მას შემდეგ წელიწად ნახევარმა განვლო, მაგრამ მე[illegible] უბი არსად ჩანს. ქარხანას სახურავი ფ[illegible]რი სა აქვს, ნიადგრის დროს ქარხანა წყალით [illegible]ება და ზიანდება მანქანები და დაზგები, ამგვარად სრულიად უნაყოფოდ ნადგურდება 65,000 მანეთის საქონელი.

ადგილობრივ ხ[illegible]ლმძღვანელებმა საკითხი აღძრა ამ მანქანებ[illegible] გამოყენების შესახებ კა[illegible] სამაზრო ხე[illegible]ლმძღვანელობასთან. უკანასკნელმა თავის ხა[illegible]ით მიმართა რკ. გზ. სამმართველოს გამგე[illegible]ბას, რომ ერთი 80 ძალოვანი მანქანა გადაეც[illegible]ზოდა ელექტრო-სადგურის საჭიროებისათვის [illegible]ომს, რის საფასურსაც თე[illegible] რკინის გზ. სად[illegible]ურზე სინათლის გაყვანით ანაზღაურებდა, მაგრამ სამმართველომ ამაზე ცივი უარი განაცხადა.

რატომ არ ფიქრობს სამმართველოს სარეალიზაციო განყოფილება [illegible] თეული ათასი მანეთის სახელმწიფო ქონების მოვლაზე.

ი. ჯოჯუა.

ნაყოფი[illegible] მუშაობთ

(რაჭა-ლეჩხუმი)

რაჭა-ლეჩხუმის [illegible] ალმასკომის ქუთ. ხაზერხ ქარხანაში [illegible] წინად ძალიან ხშირად ადგილი ჰქონდა შრომის დისციპლინის დარღვევას მუშა-მოსამსახურეთა მიერ. ეს გარემოება დიდ გავლენას ახდენდა შრომის ნაყოფიერების ზრდაზე და საერთოდ წარმოების ნორმალურ მუშაობაზე. სამუშაო დღეების უმიზეზოდ გაცდენა, სამუშაოზე დაგვიანებით მოსვლა, მუშაობის დროს მასხრობა და კერძო მუსაიფი, [illegible]ადაურთველად წასვლა თავის პირად საქმეზე და სხვა, ასეთი დაუშვებელი მოვლენები, რასაკვირველია, რომ ასწევდა პროდუქციის თვითღირებულებას და დალუპვის გზაზე დააყენებდა ჩვენს წარმოებას, მაგრამ შრომის დისციპლინის განმტკიცების კამპანიამ ჩ[illegible]ნი ქარხნის მუშებშიც ჰპოვა გამოძახილი. მუშებმა იგრძნეს, რომ შრომის დისციპლინის განმტკიცება, აუცილებელი პირობაა წარმოების და თვით მუშათა ნივთიერი მდგომარეობის გასაუმჯობესებლადაც.

დღეს ქარხნის [illegible], ადმინისტრაციამ მაგრად მოჰკიდა ხელი შრომის დისციპლინის განმტკიცებას და მუშებიც თავგამოდებით მუშაობენ. ამან უკვე გამოიღო თავისი ნაყოფი. უკანასკნელ [illegible]ებში თანდათან იზრდება შრომის ნაყოფიერება.

ხ. სირაძე.

შეჯიბრების წარმატებით ჩატარებისათვის

სოციალისტური შეჯიბრების ჩატარების ხელშემწყობ თბილისის რკ. გზ. საუბნო კომიტეტის აზრით, ა.-კ. რკ. გზის გამგეობამ უნდა შეავსოს გეგმიანობა შესაკეთებელ მოძრავ შემადგენლობის ქარხანაში გაგზავნის საქმეში. უნდა მიაწოდოს ქარხანას წინასწარ შემუშავებული სარემონტო სამუშაოების ნუსხა და ორთქლმავლების ნაწილები არა უგვიანეს 2—3 თვისა შესაკეთებელ ობიექტების ქარხანაში გაგზავნამდე. დაუბრკოლებლად, თავის დროზე უნდა უზრუნველყოს ქარხანა ყველა საჭირო მასალებით და უზრუნველჰყოს იგი მეავადით, რაც საჭიროა ლითონების ავტოგენური დნობის სამუშაოებისათვის და სხვა.

ქარხნის მმართველობამ ქარხნის ცენტრალურ საკუჭნაოში დაუყოვნებლივ უნდა დანიშნოს ტექნიკურად მცოდნე გამგე და უზრუნველყოს იგი საჭირო სათადარიგო მასალებით.

ქარხნის მასალებით მომმარაგებელი ბიუროს გამგე განთავისუფლებულ უნდა იქნეს [illegible]ზოს ზედამხედველობისაგან და ამ თანამდებობაზე უნდა დაინიშნოს სპეციალური პირი.

ქარხნის მმართველობას დავალებული აქვს დააჩქაროს ლითონის სახურებელი და ცემენტით სამუშაოების განყოფილებების აშენება.

შეჯიბრების ქრონიკა

ვიწვევთ შეჯიბრებაში. თბილისის დეპოს მუშებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ბაქოს დეპოს მუშები.

თბილისის დეპოს მუშათა დელეგაცია განჯაში. სამეურნეო პოლიტიკური ხელშეკრულების დასადებად ამ დღეებში განჯაში გაემგზავრება თბილისის დეპოს მუშათა დელეგაცია.

რიონჰესი - ძორაჰესი. რიონჰესის მუშა - მოსამსახურეთა კონფერენციამ დაადგინა შეჯიბრებაში გამოიწვიოს ძორაჰესის მუშა-მოსამსახურეები.

თბილისის ავეჯეულობის ქარხანამ, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ბორჯომის სატყეო ქარხანა. ხელშეკრულების დასადებად ავეჯეულობის ქარხნის მუშებმა ბორჯომში გაგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები.

მე-6-ე უბნის სალიანდაგო დარგი შეჯიბრებაში. რკინის გზის მე-6-ე უბნის სალიანდაგო დარგმა შეჯიბრებაში გამოიწვია მე-4, მე-12, მე-15 და მე-16-ე უბნების სალიანდაგო დარგი.

სახელმწიფო მრეწველობის დაზღვევა

როდესაც სახ. დაზღვევა 1922 წელში შეუდგა სახელმწიფო მრეწველობის დაზღვევის საქმეს, მისი მოქმედების არე საერთო პირობათა ზეგავლენით მეტად შეზღუდული აღმოჩნდა. შვიდი წლის შემდეგ, რომლის განმავლობაში დაზღვევის საქმე ფეხდაფეხ მისდევდა სახელმწიფო მრეწველობის ჩქარი ტემპით ზრდას, იგი დაუახლოვდა უდიდეს ამოცანას, როგორიცაა სახელმწიფო მრეწველობის მთლიანად დაზღვევით უზრუნველყოფა. შემდეგი ცნობები გვიჩვენებენ სახმრეწველობო დაზღვევის ზრდას:

წლები	დაზღვევის ჯამი ათას მანეთებში	ანაკრეფი პრემია მანეთებში
1923-24	781.342	8.494.344
1924-25	2.344.016	20.708.457
1925-26	3.564.701	28.555.811
1926-27	5.603.734	31.423.432

ეს ციფრები აშკარად მეტყველებენ დაზღვევითი ოპერაციების ჩქარის ტემპით განვითარებაზე.

მეორე მიღწევად სახდაზღვევის ამ დარგში (სახელმწიფო სექტორის დაზღვევა) უნდა ჩაითვალოს სატარიფო განაკვეთების სისტემატიური დაკლება. დაწყებული 1923 წლიდან, სატარიფო განაკვეთები თანდათან მცირდებოდა და უკანასკნელ წელს დაკლება აღწევს 25 პროცენტს. ამ მხრივ წლების მიხედვით ასეთი სურათი გვაქვს:

1923-24 წ.	1,09	ასი მანეთიდან.
24-25	0,88	„
25-26	0,80	„
26-27	0,64	„
27-28	0,48	„

შედარებისთვის საინტერესოა აღინიშნოს, რომ დაზღვევის სააქციონერო საზოგადოებებს ომის წინადროინდელ პერიოდში ჰქონდათ საშუალო სატარიფო განაკვეთი 1,13 (ასი მან. დაზღვევის ჯამიდან). ეს ტარიფი რჩებოდა უცვლელად 1900 წლიდან 1914 წლამდე.

ამნაირად, საბჭოთა სახ. დაზღვევის ტარიფები ჯერ კიდევ ოპერაციების დამდეგს (1923-24 წ.) უკვე უფრო ნაკლები იყვნენ, ვიდრე კაპიტალისტურ დაზღვევის საზოგადოებათა ტარიფები.

აქვე უნდა ითქვას შემდეგიც: სოციალისტური მშენებლობის პირობებში დაზღვევის ორგანიზაციის თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ დაზღვევის ძირითად ფუნქციათა გვერდით მან დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს უბედურებათა წარმოშობის საწინააღმდეგო ზომებს.

თუ რამდენად მნიშვნელოვანია სახ. დაზღვევის მონაწილეობა სტიქიურ უბედურებებთან საბრძოლველ ზომების განხორციელებაში, ამას ამტკიცებს ამ მიზნით გაღებული თანხის რაოდენობა ორ წინა წელში: 1925-26 წ. გაღებულ იქნა 6.689.823 მ., ხოლო 1926-27 წ. — 7.853.311 მან.

მიუხედავად ასეთ თვალსაჩინო მიღწევებისა, სახ. დაზღვევას განსაზღვრებულ სექტორის დაზღვევის საქმეში მაინც თან ახლდა მრავალი დეფექტი.

ჩვენის აზრით, მიზეზი ამ დეფექტების, რომლებზედაც ქვემოდ გვექნება ლაპარაკი, მდგომარეობს სახელმწიფო მრეწველობის დაზღვევის ნებაყოფლობით სისტემაში. უკანასკნელ წლამდე სახელმწიფო მრეწველობა დამოუკიდებლად სწყვეტდა საკითხს, დაეზღვია თუ არა ესა თუ ის წარმოება. სახ. დაზღვევის ორგანო ამოიწურებოდა რჩევითა და სარეკლამო აგიტაციით (რაიც, ცხადია, თავის მხრივ, ხარჯებს მოითხოვდა), მაგრამ სინამდვილემ ნათელყო, რომ არა ყველა სამეურნეო მეურნეობა იზიარებდა ასეთ რჩევას. ამგვარად, ასე თუ ისე სახელმწიფო საწარმოს ხელმძღვანელის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული, დააზღვევდა ის თავის გამგებლობაში მყოფ ქონებას, თუ არა. თუ კი, მაშინ დაეზღვია მთელი ღირებულებით თუ ნაწილობრივ, აგრეთვე დაეზღვია ყველა „რისკისაგან" თუ რაოდენიმესაგან. ამიტომ ჩვეულებრივ, არსებულ ნებაყოფლობითი სისტემის დროს, ზოგიერთი სახელმწიფო საწარმოს წარმომადგენლები ცდილობდნენ დაეზღვიათ უფრო საშიში, ამორჩეული „რისკები". ამ კომერციულ მიდგომის გამო სახდაზღვევა თანდათან ითვისებდა განსაზღვრებული სექტორის დაზღვევის საქმეში თავისებურ კომერციულ განხრას. იმ მიზნით, რომ თავიდან აეცდინათ შესაძლებელი ზარალი (ამორჩევითი რისკების გამო), მიმართავდნენ მეტად დიფერენციალურ ტარიფებს, შედარებით მეტი სატარიფო განაკვეთით. აგრეთვე სახდაზღვევა იტოვებდა უფლებას არ მიეღო დასაზღვევად ისეთი ქონება, რომელიც სახ. დაზღ. ორგანოების აზრით დიდი „რისკის" შემცველი იყო.

სახელმწიფო მრეწველობის ნებაყოფლობითი დაზღვევა ართულებდა ზარალის გამორკვევასაც (ლიკვიდაცია). საჭირო იყო გამორკვევა, რომ დაიწვა სწორედ დაზღვეული ქონება, იმ შემთხვევაში, როდესაც ქონება დაზღვეული იყო არასრული ღირებულებით, საჭირო იყო მთელი რიგი მეტად რთული გამოანგარიშების მოხდენა და სხ.

ასევე გართულებული იყო ქონების დაზღვევაზე მიღების საქმე. სულ ორიოდე წლის წინად სახდაზღვევის მთავარ გამგეობის აპარატში იმყოფებოდა დაახლოვებით 60 ინჟინერი, რომლებიც მოგზაურობდნენ საკავშირო ფაბრიკა-ქარხნებში ქონების შესაფასებლად. ასეთივე მოვალეობის შესასრულებლად მოსკოვის სახდაზღვევის კანტორაში მსახურებდა 100 თანამშრომელი.

ყველა ზემოდაღნიშნული მომენტი იწვევდა ტარიფების შედარებითი სიდიდე (თუმცა სააქციო საზოგადოებებთან შედარებით იგი 3-4-ჯერ იაფი იყო). თუ ამას მივუმატებთ „რისკების" აკვიზიციას და, მაშასადამე, სათანადო საკომისიო გასამრჯელოს, სურათი სრული გამოვა.

ზემოდგამოთქმულ მოსაზრებათა გამო, სახ. დაზღვევის ორგანოები არა ერთხელ აყენებდა საკითხს სათანადო უმაღლეს ორგანოების წინაშე განსაზღვრებულ სექტორის სავალდებულო წესით დაზღვევის შემოღების შესახებ.

დაზღვევის ორგანოთა წარმომადგენლების აზრით, ამით სახელმწიფო ქონება სავსებით იქნება უზრუნველყოფილი ყოველგვარ სტიქიურ უბედურებისაგან და მასთან მაქსიმალურად გაიაფდება და გამარტივდება დაზღვევის საქმეც.

ამიტომ არ შეიძლება არ მივესალმოთ საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის დადგენილებას. (ოქმი №6, 22 მარტი 1929 წ.), რომლითაც აუცილებლად იქნა ცნობილი განსაზღვრებულ სექტორის სავალდებულო წესით დაზღვევა.

საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიის დადგენილება შედეგად მოჰყვა მის მიერ დაზღვევის ორგანოების გამოკვლევას იმ თვალსაზრისით, თუ უკანასკნელნი რამდენად სწორად ემსახურებიან ჩვენს სოციალისტურ სექტორს. კოლეგიის სხდომას ესწრებოდნენ საკავშირო ფინანსთა კომისარიატის, შრომის სახალხო კომისარიატის და საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენლები. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული ორგანოების წარმომადგენლებმა ერთხმად გამოსთქვეს აზრი — სახელმწიფო მრეწველობის სავალდებულო წესით დაზღვევის შემოღების აუცილებლობაზე.

ვინაიდან ეს დადგენილება მეტად მნიშვნელოვანია, ჩვენ მას მოვიყვანთ ამ ნაწილში:

„1) იმ მიზნით, რომ სახელმწიფო დაზღვევა მოყვანილ იქნეს სრულ შეთანხმებაში საკავშირო მეურნეობის შეცვლილ პირობებთან და რომ მიღწეულ იქნეს ოპერაციათა მაქსიმალური გამარტივება და გაიაფება,—ცნობილ იქნას აუცილებლად, რათა განსაზღვრებული სექტორის ქონება, რომელიც იმყოფება სამეურნეო ანგარიშზე ან და ადგილობრივ ბიუჯეტზე, იზღვეოდეს სავალდებულო წესით.

2) სავალდებულო დაზღვევის გავრცელება დაწესებულებებსა და საწარმოებზე, რომლებიც იმყოფებიან საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტზე, წესდება მთავრობათა განსაკუთრებული დადგენილებებით" (ეს დადგენილება დასამტკიცებლად შეტანილია საკ. სახკომსაბჭოში).

ჩვენ აქ მოკლედ შევეხებით იმ შესაძლებელ ეფექტს, რომელიც შედეგად მოჰყვება განსაზღვრებულ სექტორის სავალდებულო წესით დაზღვევის შემოღებას. ამ დადგენილებით, სახელმწიფო სექტორის დაზღვევის საქმე ჩამოყალიბებულ იქნება უმარტივეს საფუძვლებზე: ა) დაზღვევის სავალდებულო წესის შემოღებით სრულიად ზედმეტი ხდება სახ. დაზღვევის ღონისძიებანი, რომლებიც აქამდე მიმართული იყვნენ ამა თუ იმ სახელმწიფო დაზღვევის მოსაპოებლად. მაშასადამე, სრულიად ზედმეტი ხდება რისკთა აკვიზიცია, რომლის დროს საკომისიო ჯილდოს სახით იხარჯებოდა ასეული ათასები; ბ) დადგენილების თანახმად, დასაზღვევ ობიექტის დაზღვევის ჯამი მიღებული იქნება არა საწარმოს ფაქტიური შეფასებით, არამედ საბალანსო ღირებულების საფუძველზე; გ) დასაზღვევ ჯილდოს (პრემია) გამორკვევას აწარმოებს თვით დაზღვეული, მხოლოდ კუთვნილი პრემია შეტანება სახდაზღვევის მიმდინარე ანგარიშზე; დ) სწორი დარიცხვის და მათი დროულად შეტანის კონტროლი ევალება სახდაზღვევას; ე) პრემიის განაკვეთი იქნება მაქსიმალურად უნიფიკაციაქმნილი, მხოლოდ დასაშვებათაა ცნობილი მისი დიფერენციაცია დარგთა და ვაჭრობის მიხედვით; ვ) სახ. დაზღ. პასუხისმგებლობა ფართოვდება და სახელმწიფო სექტორის ქონება იზღვევა არა მარტო ცეცხლისაგან, არამედ სხვა სტიქიურ უბედურებებისაგან, როგორიცაა, მიწისძვრა, წყალდიდობა, ქარიშხალი და სხვა) და, რაც მთავარია აღსადგენილ ღირებულების მიხედვით (ნამდვილი ღირებულება ამორტიზაციის შემატებით).

აი, სქემატიურად ის მოსალოდნელი შედეგები, რომლებიც გამომდინარეობენ განსაზღვრებული სექტორის ქონებათა სავალდებულო წესით დაზღვევის შემოღებისაგან.

კ. ლოლობერიძე.

რა ხდება ადგილებზე

სოციალისტური შეჯიბრება

სოხუმი, 23 მაისი. კოდორის ელექტროსადგურის მშენებლობის მუშებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს სოხუმის მუშათა მეორე სახლის და ბზიბის ელექტრო-სადგურის მშენებლობის მუშები. პასუხი სოხუმელებისა და ბზიფელებისაგან ჯერ არ არის მიღებული. (ადს).

აგრონომების თათბირი მოსავლიანობის გასადიდებლად

ახალსენაკი, 23 მაისი. ახალსენაკში გაიმართა აგრონომების თათბირი. მოსმენილ იქნა მოხსენება მოსავლიანობის გადიდების შესახებ. კამათის დროს აგრონომები აღნიშნავდნენ, რომ მაზრის მთიან ნაწილში ძრავლად არის სასუქ ნივთიერებათა მადანი, რასაც ადგილობრივ „ტკილს" და „მერგელს" უწოდებენ. გლეხები დიდი ხანია ამ სასუქით ანოყიერებენ მიწას, რომელიც ჩვეულებრივზე 300 პროც. მეტს მოსავალს იძლევა. 1 ჰექტარის გასანოყიერებლად საჭიროა 500 მან. ამ სასუქით განოყიერებული ნათესი მოგვცემს საუკეთესო მოსავალს ათი წლის განმავლობაში. საჭიროა გლეხობას მიეცეს სათანადო კრედიტი. გადასწყდა მოეწყოს აგრორწმუნებულთა ინსტიტუტი—ერთი რწმუნებული 100 მეურნეობაზე.

მოსმენილ იქნა მოხსენებები ადგილებიდან თესვის კამპანიის მსვლელობის შესახებ. კამათის დროს აგრონომებმა აღნიშნეს ტრაქტორების დამაკმაყოფილებელი მუშაობა და სიმინდის კონტრაქტაციის გაძლიერება. ამასთან ერთად აღნიშნეს ზოგიერთი დეფექტი: ნაქალაქევის და მარტვილის რაიონებში მიტანილი სასოფლო-სამეურნეო იარაღი არ გამოდგა აღნიშნული რაიონისათვის. გლეხურ მეურნეობისათვის არ გამოდგა არც მუშა-საქონელი, რომელიც გლეხებისათვის დასარიგებლად შეიძინეს. კრედიტები სიმინდის გასაწმენდად გლეხებს ჯერ კიდევ არ მიუღიათ სოფლის კავშირისაგან. თათბირმა საჭიროდ სცნო გასაქირავებელი პუნქტების მოწყობა აგროპუნქტებთან. რაიონის აგრონომების კვალიფიკაციის ასამაღლებლად თათბირმა გადასწყვიტა, სთხოვოს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს—გაგზავნოს მაზრის აგრონომები სხვადასხვა საბჭოთა მეურნეობებში და კურსებზე ცოდნის გასაფართოვებლად (ადს).

საქ. მწერალთა დელეგაციის დაბრუნება

გუშინ დილით ბაქოდან თბილისში დაბრუნდა საქართველოს მწერალთა დელეგაცია.

დელეგაციის წევრებმა ბაქოში ყოფნის დროს აზერბეიჯანის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრების შესახებ დააგროვეს მდიდარი მასალა, რომელიც დამუშავების შემდეგ გამოქვეყნდება ჟურნალებში და ცალკე წიგნებათ.

განზრახულია საანგარიშო საღამოს მოწყობა და ცალკე კრებულის გამოცემა ბაქოში ქართველ მწერალთა მოგზაურობის შესახებ.

გამომგზავრების წინა ღამით, უეცრად ავად გახდა დელეგაციის წევრი — ბელეტრისტი მ. ჯავახიშვილი, რომელიც მოთავსებული იქნა ადგილობრივ საავადმყოფოში.

მუშაობა შვებულთა შორის

საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ შეიმუშავა შვებულთა შორის მუშაობის საორიენტაციო გეგმა კულტკომისიებისა, წითელ კუთხეებისა და მუშათა კლუბებისათვის.

გეგმის თანახმად, კულტკომისიებმა, წითელ კუთხეებმა და მუშათა კლუბებმა რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა დაამთავრონ შვებულთა (მუშები, მოსამსახურეები და უმაღლეს სასწავლებლების მსმენელები) აღრიცხვა და ჩაატარონ მათ შორის საჭირო მოსამზადებელი მუშაობა.

შვებულთა შორის მასიურ მუშაობის ერთერთ ფორმად მიჩნეულია შვებულთა საერთო კრებების მოწვევა, საუბრები, კინო-ლექციები და კითხვა-პასუხის საღამოები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კითხვა-პასუხის საღამოებს, რომლებიც ჩატარებული უნდა იქნეს დაახლოვებით შემდეგ თემებზე: „ახალი საბჭოთა კანონები სოფლისათვის", „როგორ გავაუმჯობესოთ მოსავალი", „როგორ გავაუმჯობესოთ მესაქონლეობა" და სხვა.

დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია აგრეთვე ექსკურსიებს. შვებულთა ექსკურსიები უნდა მოეწყოს სასოფლო-სამეურნეო მუზეუმში სხვადასხვა თემებზე. ამას გარდა, ექსკურსიები შეიძლება მოეწყოს სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო კომუნებში, საბჭოთა მეურნეობებში და სხვ. ექსკურსიებისათვის ფართოდ გამოყენებული უნდა იქნეს ამასთანავე ზოოტექნიკური სადგური და სას.-სამ. მანქანების გამომცდელი სადგური.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საცნობარო მუშაობას. ყველა საზაფხულო კლუბებში და წითელ კუთხეებში უნდა მოეწყოს საცნობარო მაგიდა, რომელმაც უნდა მიაწოდოს შვებულს კონსულტაცია და ცნობები სოფლად მუშაობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხებზე.

საზაფხულო ბიბლიოთეკა - სამკითხველოსთან უნდა მოეწყოს სპეციალური კუთხე — „შვებულთა კუთხე", რომელიც უნდა შეიცავდეს შვებულთათვის საჭირო მასალებს და სახელმძღვანელოებს. ამავე დროს უნდა მოეწყოს სოფლად მუშაობის პოპულარული ლიტერატურის გამოფენა.

კულტკომისიებმა შვებულებს უნდა მიაწოდონ ლიტერატურა, გაზეთები და ჟურნალები. შვებულთა გამგზავრების წინ უნდა მოეწყოს მათი გაცილება, რისთვისაც კლუბში უნდა გაიმართოს საზეიმო საღამო შვებულთა ოჯახის წევრების მონაწილეობით.

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია

ფირმა „ვოკკერის"-ს წარმომადგენლების ჩამოსვლა

გუშინ, „უკრვოზდუხპუტ"-ის აეროპლანით ჩამოფრინდნენ ინგლისური ფირმის „ვოკკერსი"-ს წარმომადგენლები: მონგჰოუსი, ტერნერი, რიჩარდსი და ბაუმანი. მათ თან ჩამოჰყვნენ გზათა სახ. კომისარიატის და სახელმწიფო ელექტრო - ტექნიკური ტრესტის წარმომადგენლები.

ფირმა „ვოკკერსი" თავის თავზე იღებს სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის პროექტის დამუშავებას.

ფირმის წარმომადგენელთა ჩამოსვლის მიზანია — საჭირო მასალების მიღება ქვესადგურების და ელექტრო - მავლების პროექტების დასამუშავებლად.

გუშინ ჩამოსულებმა ინახულეს ამ.-კავკასიის რკინის გზის გამგეობის წევრები და დაწვრილებით გაეცნენ სურამის უღელტეხილის საელექტროფიკაციო სამუშაოების მდგომარეობას.

ინგლისელი სპეციალისტები გზათა კომისარიატის, სახელმწიფო ელექტრო - ტექნიკური ტრესტის და ა.-კ. რკინის გზის გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად გუშინ გაემგზავრნენ სურამის უღელტეხილზე. საელექტროფიკაციო სამუშაოების დათვალიერების შემდეგ ისინი დაბრუნდებიან თბილისში, საიდანაც გაემგზავრებიან მოსკოვში.

სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის პროექტს, „ვოკკერსი"-ს ფირმის გარდა, ამუშავებს ამერიკული ფირმა „ჟენერალ ელექტრიკ კომპანი".

ორთავე პროექტს განიხილავს გზათა სახ. კომისარიატის სპეციალისტთა კომისია. მიღებული იქნება ის პროექტი, რომელსაც კომისია უკეთესად სცნობს.

კაპიტალური მშენებლობა ბამბის მეურნეობაში

მიმდინარე წელს ამ.-კავკასიის მებამბეობის კომიტეტი და მისი რესპუბლიკანური განყოფილებები შეუდგებიან კაპიტალურ მშენებლობას ამ.-კავკასიაში ბამბის მეურნეობის დარგში.

სალიანის (აზერბეიჯანი) ბამბის საწმენდი ქარხნისათვის გადაიდო 341,400 მან., ზუბოვის ქარხნისათვის — 60.500 მან., პეტროპავლოვის ქარხნისათვის — 157.100 მან., უჯარის ქარხნისათვის — 74.500 მან. და სხვ. საერთოდ აზერბეიჯანის ბამბის ქარხნების ახლად მოსაწყობად და კაპიტალური რემონტისათვის გადადებულია 564.300 მან. სომხეთის ბამბის ქარხნებისა და ერევნის ზეთის ქარხნის ახალი მშენებლობისათვის გადადებულია 166.900 მან. სომხეთის ბამბის მრეწველობაში შრომის დასაცავად — 5.250 მან.

საქართველოს ბამბის ქარხნების კაპიტალური მშენებლობისათვის და მათი ახლად მოწყობისათვის ამ.-კავკასიის მებამბეობის კომიტეტმა გადასდო 7.000 მან.

გარდა ამისა, ყარაჯალაში (აზერბეიჯანში) ეწყობა ამ.-კავკასიის მებამბეობის კომიტეტის თესლეულის დიდი საბჭოთა მეურნეობა. ამ მეურნეობის სამშენებლო სამუშაოებისათვის და მოსაწყობად გადადებულია 1.959.000 მანეთი. (ადს)

ჩვენი სატყეო მრეწველობა

სატყეო ტრესტის მუშაობის შედეგები ა.-წ. პირველ ნახევარში

საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტის ცნობით, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მუშაობდა ტრესტის 12 წარმოება: 8 ხე-ტყის სახერხი ქარხანა, 2 ავეჯის ფაბრიკა, 1 სატკეჩი ქარხანა და 1 საფანერო ქარხანა.

ხე-ტყის სახერხი ქარხნების პროდუქციის ღირებულება საანგარიშო პერიოდში უდრის 1,384.000 მანეთს, რაც შეადგენს წლიური გეგმის 49,7 პროცენტს. ავეჯის ქარხნების პროდუქციის ღირებულება უდრის—523.500 მანეთს (წლიური გეგმის 45,5 პროც.) და სატკეჩი ქარხნის პროდუქცია—563.000 მანეთს (წლიური გეგმის 47,5 პროც.).

ხე-ტყის სახერხი ქარხნების მუშაობის ნაყოფიერება საგრძნობლად შეამცირა გასული ზამთრის ცუდმა პირობებმა. გარდა ამისა მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ მცხეთის ხე-ტყის ქარხანა ამუშავებული იქნა მხოლოდ მარტში.

წლის მეორე ნახევარში მოსალოდნელია გაცილებით უკეთესი მეტეოროლოგიური პირობები, ამასთანავე იმუშავებს ყველა 8 ქარხანა და ეჭვს გარეშეა, რომ წლიური გეგმა შესრულებული იქნება მთლიანად.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ჩატარებული იქნა ავეჯის ფაბრიკის ნაწილობრივი რეკონსტრუქცია-მექანიზაცია.

წლის მეორე ნახევარში გაიზრდება ფაბრიკის პროდუქცია და წლიური გეგმა შესრულებული იქნება უკლებლივ. ასევე მთლიანად იქნება შესრულებული ტკეჩის წარმოების გეგმაც.

გასულ წელთან შედარებით ტრესტის წარმოებათა პროდუქცია გაიზარდა 42,5 პროცენტით. ეს ზრდა გამოწვეულია 1927—28 წლის დამლევს ჩატარებულ რაციონალიზატორულ ღონისძიებებით—ქარხნების კონსტრუქციების გაუმჯობესება, ელექტრო-დენზე გადასვლა და სხვ. გასულ წელთან შედარებით ხე-ტყის ქარხანაში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 18,3 პროცენტით, ხელფასი 9,1 პროცენტით; ავეჯის წარმოებაში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 90,5 პროცენტით, ხელფასი—13,7 პროცენტით, ხოლო ტკეჩების წარმოებაში შრომის ნაყოფიერება—10 პროცენტით და ხელფასი—13,8 პროცენტით.

1927—28 წელთან შედარებით ხე-ტყის ქარხნების პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 2,2 პროცენტით, ტკეჩების თვითღირებულება 3 პროცენტით, ხოლო ავეჯის თვითღირებულება 34,5 პროცენტით. ტრესტის ნაწარმოებების თვითღირებულება საშუალოთ შემცირებულია 9,4 პროცენტით.

გზებისა და ხიდების მშენებლობა

საგზაო მშენებლობის საქმეში თემალმასკომები არა საკმაო ინიციატივას იჩენენ. — თავის დროზე არ სწარმოებს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შეკეთება. — საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს მიმოსვლის საქმის მოწესრიგებას.

დიდმნიშვნელოვანი წამოწყება

(სვანეთი)

საბჭოთა ხელისუფლებამ ერთხელ კიდევ დაუმტკიცა ქვეყანას, რომ ის ნამდვილი დამხმარეა ისეთ მოწყვეტილ და ჩამორჩენილ კუთხეების, როგორიც არის სვანეთი. ხელისუფლების გადაწყვეტილებით სვანეთში კეთდება გზატკეცილი.

როგორც სჩანს, სვანეთის გზის გამოკვლევა დაიწყო სოფ. ჯვარიდან და იწარმოებს 24 კილომეტრის მანძილზე (ხუბერამდე), ეს აუცილებელია, მანძილს ამოკლებს საგრძნობლად, მაგრამ კიდევ უკეთესი იქნება, თუ ეს მანძილი გაიყვანება მდ. ენგურზე გაუსვლელად. ამით თავიდან ავიცილებთ იმ ორ ხიდის ხარჯებს, რაც გათვალისწინებულია უკანასკნელი ხარჯთ-აღრიცხვით.

გამოსაკვლევად გათვალისწინებულია რაიონი ხუბერიდან ხაიშამდე, გზის გაყვანა გათვალისწინებულია სწორედ იქ, სადაც აუცილებლად სჯობია ყოველ მხრივ. ამ ადგილის მეორე მხარე — ენგურის უმეტესი ნაწილი კლდეებიანია და ამ კლდეების გაჭრას დიდი თანხები მოუნდება და თან არავითარ გაუმჯობესებას არ შეიტანს სვანეთის გზაში. ხაიშიდან კი, ე. ი. იმ რაიონიდან, სადაც აღმასკომის სახლია აგებული, გზის გაყვანა უფრო ხელსაყრელია. აქ არის დიდი ძრავი, რომლის შემოვლა უდავო კითხვაა. აქ ენგურზე გადასვლით გზა უსათუოდ მოიგებს. მართალია, სოფ. ტობარის ძირში მაგარი კლდეები შეხვდება, მაგრამ ამით გზა მოიგებს ხელსაყრელ სახიდეთი და მზიანი და რბილი ადგილებით. შემდეგ გამოსაკვლევია რაიონი ქვედა ლუპადან ეცერზე გავლით ბეჩომდე, თუ სად სჯობია და ბოლოს რაიონი ლატალიდან მესტიამდე.

უხერხულ ადგილას გზის გამოკვლევა, სადაც მისი გაყვანა დიდ თანხებს მოითხოვს, არაა მიზანშეწონილი და იმედია ამას ყურადღებას მიაქცევენ სვანეთის გზის ხელმძღვანელები.

ა. დავითიანი.

ნაკლი უნდა გამოსწორდეს

სოფ. მათხოჯი, ქუთ. მაზრა

სოფ. მათხოჯის მთავარი გზა ხონს აკავშირებს როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად ქვემო-სვანეთს, ლეჩხუმს, კინჩხას, გორდს, ბუმბუა ხიდს, ნაოლალევის რაიონს — როგორიცაა ქვედა-ხუნწი, ზედა-ხუნწი, უკუკი, სუხჩი, ინჩხური და მრავალი სხვა. ამ რაიონებიდან და სოფლებიდან ქალ. ხონში ეზიდებიან სურსათ-სანოვაგეს, შეშას, ხის სხვადასხვა მასალას ურმებით და ცხენებით, მუშაობს ყოველდღიურად ორი „დილიჟანი" და მრავალი ეტლები. მათხოჯიდან ყოველწლიურად სწარმოებს სვანეთიდან ცხენის-წყალით ჩამოცურებული ხეების ურმებით გაზიდვა ხონის სახერხ ქარხანაში და ქუთაისში.

ასეთ მნიშვნელოვან გზას სათანადო ყურადღება მიაქციეს ჩვენმა ორგანოებმა და 1928 წლის მეორე ნახევარში გამოყვეს კომისია, რომლებიც ხელმძღვანელობენ გზის გაფართოებას და გლეხების შრომის ზეგარაში გამოყვანასაც. გზის გაფართოებაზე დაუზარელად და ხალისიანად მუშაობს გლეხობა, რადგან იციან მისი მნიშვნელობა.

მაგრამ ამ მუშაობაში არის კომისიის ნაკლიც, რომელიც უნდა გამოსწორდეს. მთავარი გზის გაფართოება ამ გზის პირად მცხოვრებ გლეხობის ერთ ნაწილს ეხება, მათ ლობე-ყორეს თემის საერთო შრომით არღვევენ და გადააქვთ ეზოებში, შემდეგ კი ასაშენებლად თვითონ პატრონს უტოვებენ. დაზარალებულ გლეხმა თავისი საკუთარი ძალით უნდა შეიკავოს ეზო და ამავე დროს მან კიდევ საერთო წესით სხვებთან ერთად თანაბრად უნდა იმუშაოს ზეგარის სახით, რაც არაა მიზანშეწონილი. როდესაც საზოგადო მნიშვნელობის გზა ფართოვდება, საერთო საზოგადოების შრომით, დანგრეული და გადატანილი საკავებელი იმავე საზოგადოების შრომით უნდა აუშენდეს გლეხობას, რასაკვირველია, კულაკების გამოკლებით.

მიმდინარე გაზაფხულის მუშაობაში ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს.

კოტე ადამია.

მოუარეთ, სანამ გვიან არ არის

(გორის მაზრა)

1927 წელში დამთავრდა ტოპოზის დიდი ხიდის აგება მდ. მტკვარზე სოფელ მეტეხთან, რომლის აგებაზე დაიხარჯა ნახევარი მილიონი მანეთზე მეტი. ამ ხიდის აგებით ბოლო მოეღო ამ რაიონის გლეხობის წამებას, რომლებიც მდინარეზე ბორნებით და ნავებით გადიოდნენ და ამას ძალიან ხშირად ადამიანის მსხვერპლიც თან სდევდა.

გასული წლის გაზაფხულზე მდინარის არაჩვეულებრივ ადიდებამ დააზიანა ხიდის ზემოთ აშენებული დამბა, წყალმა გადახეთქა ხიდის იქითა მხარე, დაანგრია წყლის გასასვლელათ გაკეთებული გვირაბი და წალეკა დაყრილი ხრეში 20-25 საჟენის სიგრძეზე. რომ დროზე არ მიეღოთ ენერგიული ზომები, შესაძლებელია მდინარე ხიდის მეორე მხარეს მოქცეულიყო. დაზიანებული დამბა მაშინვე ადგილობრივ ძალებით ნაწილობრივ გაამაგრეს და მას შემდეგ კი საფუძვლიანი შეკეთებისათვის არავის უფიქრია. დაყრილ ხრეშის წალეკის გამო, გზა დაზიანებულია და მიმოსვლა ძალზე გაძნელებული, რაიც ხიდის არსებობას თითქმის მნიშვნელობას უკარგავს. დამბის შესაფერისათ გაუმაგრებლობა კი წყლის ადიდების შემთხვევაში (რაიც მოსალოდნელია), ქმნის საშიშროებას მდინარის მეორე მხარის გადასვლისას, რასაც აუარებელი ზიანის მოტანა შეუძლია.

საჭიროა, სანამ გვიან არ არის, მიღებულ იქნას ზომები დამბის საფუძვლიანად გასამაგრებლათ, ხიდთან შესაფერისი გვირაბის გასაკეთებლათ და აღდგენილ იქნას დაზიანებული გზა საჭირო ხრეშის დაყრით.

თემსაბჭოს თავის სახსრებით არ ძალუძს ასეთი დიდი საქმის შესრულება. საჭიროა სამაზრო აღმასკომის დახმარება და საქმის დასაწყებათ ხელმძღვანელობის გაწევა.

აქაური.

მიმოსვლა ფერხდება

(ბაღდათის რაიონი)

ქუთაის-ბაღდათის გზატკეცილზე, მდინარე ყვირილაზე არის ბორანი, რაც ძალზე ძველი და დაზიანებულია. მდინარის ორივე ნაპირას ძალიან წამხდარია გზა, ლაფში იხრჩობა მგზავრები. აგრეთვე ბორანზე მისასვლელი საცალფეხო ფიცრული არ არის. ბევრჯერ მგზავრებს უხდება ბორნის შემდეგ კიდევ წყალში გასვლა და არის შემთხვევა, რომ ბორანზე მომუშავეთ ზურგით გაყავთ მგზავრები და ახდევინებენ ორმაგს. კვირია არ გავა, რომ ბორანზე არ მოხდეს ჩხუბი და შეხლა-შემოხლა.

საჭიროა ამას მიექცეს ყურადღება და ეხლავ აშენდეს ახალი ბორანი, შეკეთდეს გზები, გაკეთდეს ბორანზე მისასვლელი ფიცრული, რაც არ გამოიწვევს დიდ ხარჯს. ამის შესახებ ბევრჯერ ეცნობა როგორც გზატკეცილების სამმართველოს, ისე ბორანის მოიჯარადარეებსაც, მაგრამ ჯერ-ჯერობით თუ უარესდება ბორანის და გზის მდგომარეობა, თორემ გაუმჯობესება არ ეტყობა. მოსალოდნელია ძველი ბორანი დაიმტვრეს ერთბაშად და მიმოსვლა შეწყდება. ამ გზას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც მგზავრებისათვის, ისე რესპუბლიკისათვის და მისი უყურადღებოდ დატოვება შეუძლებელია.

ვარციხელი.

გზის შესაკეთებლად არავინ ზრუნავს

სოფ. ვანი, გურია

სოფ. ვანი და აგრეთვე მის ახლო მდებარე სოფლები დიდ გაჭირვებას განიცდიან უგზოობის გამო. ნუ თუ არ შეიძლება გზის შეკეთება? ჩვენ ვიცით, რომ ზოგჯერ კლდეებს ამტვრევენ და გზა გაყავთ, აქ კი გზა გაყვანილია, მაგრამ მისი შეკეთება ვერ მოგვიხერხებია. ამის მიზეზი არის თვით გლეხობის გულგრილობა და საქმის აბუჩად აგდება. ბევრჯერ იყო კრება ამ გზის შეკეთების შესახებ, ბევრი რამ თქმულა, მაგრამ ყველა ამაოდ დარჩა და რეალურ შედეგებს ვერ ვხედავთ.

სანამდი უნდა გაგრძელდეს ასეთი მდგომარეობა?

გ. ვანელი.

კანონიერ მოთხოვნილებას გვერდს უხვევენ

(ქ. ხაშური)

ხაშურში განათლების ქუჩის ერთ უბანს ქონდა მდინარე სურამულაზე მისავალი გზა, რომელიც შეღობილი იყო უბნის თვითდაბეგვრით და სარგებლობდა 50 კომლამდე. იქვე მცხოვრებ ელიაშვილებმა ჩუმად იყიდეს მოსაზღვრე მეზობლის მიწა და უბნის გზაც მიითვისეს. უბანმა რამოდენიმეჯერ მიმართა აღმასკომს, რომ მათთვის დაებრუნებიათ გზა და მიწის ყიდვა-გაყიდვის წინააღმდეგ მიეღოთ ზომები. განცხადებები მოდიოდა კომგანყოფილების გამგის ლომიძის ხელში, რომელიც მას მაუდის ქვეშ მალავდა და ხალხს უპასუხოთ ისტუმრებდა. ან რა პასუხს მისცემდა, როდესაც მიწის ყიდვა-გაყიდვა და გზის გაუქმება მისი დახმარებით იყო მოწყობილი „მამიდაშვილების" საკეთილდღეოდ.

წელს განახლდა აღმასკომი. უბანი დარწმუნდა, რომ მისგან მაინც მიიღებდა დადებით პასუხს და მიმართა ინჟ. წერეთელს, რომელმაც საჭიროდ სცნო გზის დატოვება და მისწერა მილიციას ელიაშვილისთვის გაეხსნევინებიათ უბნის გზა. ელიაშვილებმა მილიციელს ლანძღვა-გინებით გამოისტუმრეს და დაპირდნენ, მოიტანდნენ საბუთს, რომ გზა მათ ეკუთვნით. მათ კიდევ ყოლიათ აღმასკომში ნათესავები: თავმჯდომარე — ღონღაძე, და კარგი მეგობარი ქანანოვი, რომელნიც ნათესავის გულისათვის არაფერს დაიშურებენ. სწორედ ეს ხალხი უმაგრებდა მათ მხარს გზის მფლობელობაზე.

უბანმა მიმდინარე წლის 20 აპრილს კიდევ შეიტანა კოლექტიური განცხადება 43 წევრის ხელმოწერით (მათ შორის სამი საბჭოს წევრია), მაგრამ ღონღაძემ და ქანანოვმა საბჭოს პრეზიდიუმიც შეიყვანეს შეცდომაში. მათ სხდომაზე არც კი წაუკითხავთ განცხადების შინაარსი და განაცხადეს, რომ ახალი გზის გახსნას თხოულობენო, რაც ვითომ უსუფთაობას გამოიწვევდა და განმცხადებლებს უარი უთხრეს. ხალხს კი პირიქით, სისუფთავის დასაცავად უნდოდა წყალი. საბუთი გზის არსებობაზე არც კი უკითხავთ, რომელიც თვით აღმასკომში მოიპოვება. მიწის ყიდვა-გაყიდვაზე ზომების მიღების ნაცვლად, ხმა არ ამოუღიათ, რადგან ეს ზიანს მიაყენებდა ნათესავ ელიაშვილებს და განცხადება საქმეში მოისვენეს.

ასეთ დადგენილებაზე უბანი უკმაყოფილოა და ვფიქრობთ, რომ ელიაშვილების ბატონობა კიდევ გაგრძელდება მათზე, სანამ ხაშურის საბჭოში მათი ნათესავების ზეგავლენა იარსებებს, თუ უმაღლეს ორგანოებმა არ მიიღეს ზომები.

მოხეტიალე.

უხიდობით ვიტანჯებით

ჭოგნარი, ქუთ. მაზრა

ჭოგნარის თემი სამაზრო ცენტრს დაშორებულია 7 კილომეტრით, მაგრამ ისევეა ცენტრიდან მოწყვეტილი, როგორც სხვა თემები, რომლებიც დაშორებულია 20—25 კილომეტრით.

ამის მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ქუთაის და ჭოგნარის თემს შორის მდებარე მდინარე წყალწითელა, რომელზედაც არ არის ხიდი. თუმცა ამ მდინარეზე გვაქვს ნავი, მაგრამ, როდესაც მდინარე ადიდდება, მაშინ შეუძლებელი ხდება მაზრასთან კავშირის დაჭერა.

ხიდის აგებაზე მაზრაც დაგვპირდა დახმარებას როგორც ფულით, ისე ტეხნიკური ძალებითაც. ამ დაპირებას გამოეხმაურა ადგილობრივი თემსაბჭო, რომელმაც გამოიტანა დადგენილება აღნიშნული ხიდის ასაგებათ, მაგრამ დაპირება — დაპირებათ დარჩა და დახმარება რომ არავის გაუწევია, ეს ნათლად სჩანს.

საჭიროა სამაზრო აღმასკომმა მოგვაქციოს ყურადღება და გაგვიწიოს ფინანსიური და ტეხნიკური დახმარება. გლეხობა კისრულობს ნაწილი ფულის გაღებას და შავ სამუშაოების მთლიანად შესრულებას.

წითელი კალამი.

46 წლიწადი შრომის ფრონტზე

მემანქანის შრომა — შეუდარებელი, მძიმე და დაუფასებელია. ამ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს ის, რომ ჯერ კიდევ შრომის დისციპლინა სათანადო დონეზე არ დგას და ამიტომ ორთქლმავლების ხელოსანთა დაუდევრობა, შეკეთების დროს —მემანქანეების მხრებზე გადააქვთ. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მემანქანეთა უმრავლესობა ნერვებით არიან დაავადმყოფებულნი.

ამ არაჩვეულებრივ მძიმე შრომაში გაატარეს ამიერ-კავკასიის რკინისგზელებისათვის კარგა ცნობილმა მემანქანეებმა: ზაქარია ს.-ძე ქურხულმა, პეტრე ა.-ძე იძიკოვსკიმ და მიხეილ მ.-ძე კუზმინმა — ორმოც-ორმოცდაექვსი წელი. ორმოცდაექვს წელში, 40 წელი მატარებლები დაყავთ აღნიშნულ ამხანაგებს.

მიხეილ კუზმინი, — ჩვენი აღმზრდელი მასწავლებელია; მან თავისუფალი დრო არ იცის, კითხულობს ლექციებს მანქანის მოვლა შეკეთებაზე, ასწავლის და ამზადებს მემანქანეებს, თუ როგორ უნდა ატარონ მატარებლები და ამზადებს ახალგაზრდებს. ასეული მემანქანე მოამზადა მიხეილმა.



პეტრე იძიკოვსკი — ეს საუკეთესო ამხანაგი და მასწავლებელია; მან აღზარდა მთელი რიგი თაობა მემანქანეებისა.

აქვს ღირსშესანიშნავი გამოგონებანი — ორთქლმავლების ნაწილების შეცვლის და გაუმჯობესების დარგში. გამოგონებანი აქვს წარმოების გარეშეც. მაგ. ფორსუნკები, რომლითაც დღეს პურის საცხობ ფურნეებს ახურებენ —ამხ. იძიკოვსკის ეკუთვნის.

ზაქარია ქურხულს 40 წლის განმავლობაში, თავის მძიმე მოვალეობის ასრულებისას დროს არც ერთი შემთხვევა ორთქლმავალზე არა ჰქონია. პირიქით, მას აქვს ათეული მადლობა — მიღებული მატარებლების დაღუპვისაგან გადარჩენისათვის.

აქვს აგრეთვე ზოგიერთი გაუმჯობესებანიც ორთქლმავლების ნაწილების კონსტრუქციაში. ქურხულის ორთქლმავალი — სათანადო მოვლის გამო, ყოველთვის სადაა და ყველაზე უკეთესი, რაც მის ორთქლმავალს თითით საჩვენებელს და სამაგალითოთ ხდის სხვებისათვის.

ამ სამ პატიოსან მშრომელთა პოლიტიკური ღვაწლიც მიუძღვით: ესენი ეკუთვნიან იმ პირთ, რომლებიც ბევრს აკეთებენ, მაგრამ ცოტას თხოულობენ. ბევრი არალეგალური ლიტერატურა გადაუზიდავთ ამით ორთქლმავლებზე, ბევრი ამხანაგი გაუპარებიათ ორთქმავლით და ბევრს დახმარებიან ფულით. ამის გამო იძიკოვსკი ორჯერ დაჭერილი და გადასახლებულიც კი იყო.

ასე პირნათლად და შეუმჩნევლათ უმზადებდნენ ნიადაგს ეს ამხანაგები დიად რუსეთის რევოლიუციას, ხოლო დღეს კი პირნათლად და სხვების სამაგალითოდ დაუსვენებლივ მუშაობენ რესპუბლიკის გასაძლიერებლად და ასაყვავებლად. ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით თბილისის საყუდის ადგილკომის განზრახვას ამ ამხანაგების შრომის გმირებად წამოყენების შესახებ, მით უმეტეს, რომ ისინი წითელ გმირებათ უკვე გატარებულნი არიან 1925 წლიდან.

დეე ყველამ იცოდეს, რომ მშრომელთა ხელისუფლება ღირსეულად აფასებს პატიოსან შრომას.

ვ. გოგიშვილი.

ამხ. ფ. მახარაძის სახელობის სურებ-ჩოხატაურის შარა-გზა

(წერილი გურიიდან)

სურების რაიონი საკმაოდ მოზრდილია, და აერთიანებს სამ თემს, რომლებიც გასწვრივ აღმოსავლეთისაკენ გაჭიმულია 25—30 კილომეტრის მანძილზე. განაპირა სოფლის „თავ-სურების" შემდეგ იწყება სურების მაღალი მთები „შუა-გორა" და „სანისლია", რომლებიც განსაკუთრებით მდიდარია ნაძვისა და ფიჭვის ტყეებით. ტყეების შემდეგ, კი იწყება ბუნებრივად შემკული საუცხოვო საბალახო მთები შესანიშნავ „შუა-გორა"-ს აგარაკით. თვით სურებს ამ 25—30 კილომეტრის მანძილზე გასწვრივ სამხრეთით და ჩრდილოეთით აკრავს მაღალი გორაკები, რომელთაც შუაზე ჩაუდის ლამაზი ვიწრო ხეობა, რასაც ამშვენებს და ბუნებრივად, ხდის მდინარე „სუფსა" და სურების შარა-გზა, რომლებიც თითქოს ერთმანეთზე დაჯიბრებულნი პარალელურად მიიკლაკნებიან დასავლეთისაკენ. ამ შარა-გზაზე გამვლელი უცხო მოქალაქე იშვიათია არ გაიტაცოს ასეთმა ბუნებამ და არ აღუძრას ფიქრი თვით ამ მთის კალთებზე გაშენებულ სოფელზე და მის წარმოშობაზე. თუ ძველს თქმულებას დაუჯერებთ, რაც სინამდვილესთან ახლოა, სურების მკვიდრ მცხოვრებთ პირველად გადმოულახავთ სურების ტყეები და ახალციხის მხრიდან ჩამოსახლებულან და დასახლებულან თავ-სურების სოფლიდან აღმოსავლეთით ათი კილომეტრის მანძილზე. როგორც ახალციხიდან ჩამოსახლებულთ მათ დამოკიდებულება ქალაქ ახალციხესთან ქონიათ. რისი სახე და ნიშნები დღესაც ამტკიცებენ ამას. დასავლეთით კი მათ არავითარი კავშირი არ ქონიათ, ყოფილან დაჩიხული და ამ მათ მიერ დასახლებულ ადგილისათვისაც დაურქმევიათ ჩიხი ანუ „ჩიხნარი". სწორედ ამ ხანებში მდ. სუფსას გაუტანია გურიის დასავლეთ ნაწილში ხის ნათალი ნაფოტები, რისთვისაც ყურადღება მიუქცევია მაშინდელ ერთ-ერთ ბატონს, ვიღაც ერისთავს, რომელსაც გამოუწვევია რაზმი და გაუგზავნია აღმოსავლეთით, რომ მდ. სუფსის სათავემდე უსათუოდ არის მოსახლეობა, თორემ საიდან შეიძლებოდა მდინარეს გამოეტანა ცულით ნათალი ნაფოტებიო. მაძებარი რაზმი რამოდენიმე ხნის შემდეგ დაბრუნებულა სრულიად უშედეგოთ. ერისთავს კიდევ მეორე რაზმი გაუგზავნია, მაგრამ ამათაც ვერავინ უნახავთ. ერისთავის შეკითხვაზე, თუ ემჩნევა სადმე ნარებიო, მათ უპასუხნიათ „არა ბატონო სულ-ურებია"-ო, საიდანაც წარმოშობილა თვით ამ რაიონის სახელი სულ-ურები ანუ სურები. მაგრამ დაინტერესებულ ერისთავს შემდეგ მართლაც აღმოუჩენია იქ მცხოვრები ხალხი ზემოთ ნახსენებ „ჩიხნარში" და სოფელი რაზმის თქმისამებრ სულ-ურები, ანუ სურების სახელწოდებით მოუნათლავს.

შემდეგ დროთა მსვლელობას თან მოჰყვა ხალხის გამრავლება და სოფლის გაფართოება, რასაც შედეგად აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა დასავლეთით კარის გახსნა და მასთან კავშირის დაჭერა, ასეთი დაკავშირება კი მოითხოვდა გზას, მაგრამ მაშინდელ წყობილებას და ნიკოლოზის მთავრობას არაფრათ ეპიტნავებოდა ხალხის გაჭირვება, და მათში კულტურის შეტანა და ეკონომიური გაჯანსაღება, რომ დახმარება გაეწია ხალხისათვის გზის ასაგებათ; მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებთ გაუყვანიათ პატარა ბილიკი, რომელზედაც მარტო ადამიანისა და გაჭირვებით ცხენის გადასვლა შეიძლებოდა, რამაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე გასტანა.

დაახლოებით 1907 წელში, ვიღაც ინგლისელი კაპიტალისტი ელიოტი შეთანხმებია ნიკოლოზის მთავრობას და მოუსურვებია სურების ხე-ტყის გატანა, რომელიც მხოლოდ მდინარის საშუალებით ცდილა ხე-ტყის გატანაზე და გაუწმენდია სუფსა დიდრონ ქვებისაგან. გზის გაყვანაზე კი, როგორც ეს მისი აზრით მისთვის დიდ საჭიროებას არ წარმოადგენდა, სრულიად არ ცდილა, რასაც საბოლოოდ მისთვისაც შეუშლია ხელი და მუშაობისათვის თავი მიუნებებია.

ნიკოლოზის მთავრობის დამხობის შემდეგ ყოფილმა მენშევიკურმა მთავრობამ განიზრახა აღნიშნული გზის გაყვანა, მაგრამ ეს მხოლოდ სურვილად დარჩა და სინამდვილეში არაფერი გაკეთებულა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე კი ყოველთვის ადგილობრივი თემის საბჭოები დღის წესრიგში სვამდენ საკითხს სურებ-ჩოხატაურის გზის გაყვანის შესახებ, მაგრამ მაშინდელი ეკონომიური პირობები განუხორციელებელ სურვილათ ხდიდა ასეთ აზრებს.

1927 წლის 1 მარტიდან კი ჩაეყარა საფუძველი ამ საქმეს ყველა თემების საბჭოების საგზაო სექციების ენერგიული და სწორი მუშაობით. ჩვენი ხელისუფლების წინაშე მთელი თავისი სიგრძე-სიგანით დაისვა ეს საკითხი და მთავრობამაც მიიღო რა მხედველობაში სურების მდიდარი ბუნების სარგებლიანობა და მისი გამოყენების აუცილებლობა, (ხე-ტყის, მადნეულობის: წითელი მიწა, სინგური, თუჯის მადანი, თხილი, კაკალი; თამბაქო, თაფლი და სხვა), სერიოზული ყურადღება მიაქცია და სამისო საშუალება მოუძებნა თემებს, რაშიაც საკმაო ენერგია დახარჯა სამაზრო ხელისუფლებამ. გზის გაყვანის საქმეს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საქართველოს აღმასრულებელმა კომიტეტმა და პირადათ ამხ. ფილ. მახარაძემ, რომელმაც ამხ. ს. ჟულელის, ცაგარელის და სხვების თანხლებით ადგილობრივად ინახულა სურების მოსახლეობის აუტანელი მდგომარეობა და დარწმუნდა, რომ მთავრობის დაუხმარებლათ გლეხობა ვერ შესძლებდა გზის გაყვანას, აღუთქვა მათ მასალითა და ფულით დახმარება. ამხ. ფ. მახარაძის ყურადღებამ, ხალხი ორმაგი ძალღონით წაახალისა და მტკიცეთ და ერთსულოვნათ შეუდგა ამ დიადი საქმის დაგვირგვინებას.

აღნიშნული გზის გასაყვანად მუშაობა დაიწყო 1927 წლის 1 მარტიდან, რომელზედაც მთელი მოსახლეობა იღებდა ენერგიულ მონაწილეობას, როგორც მამაკაცები, ისე ქალები. განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდა პარტია და კომკავშირი. ამჟამად გზა თითქმის დამთავრებულად ითვლება, მხოლოდ აკლია ხრეშის მოყრა.

ამა წლის ტრადიციულ დღესასწაულებზე (აღდგომა და ახალკვირა) მთლიანად გამოვიდა ზემო-თავსურების მოსახლეობა განურჩევლათ სქესისა და თემის საზღვრებ შიგნით გასწმინდა ნაზამთრი გზა. საინტერესო იყო ამ დღეებში მუშაობის დათვალიერება. აქ არ იყვნენ ფორმალურად მოსულნი, უბრალოთ თავის გასართობათ და მხოლოდ რიცხვობრივად ხალხის შესავსებათ, არამედ თითოეულის სახეზე ამოიკითხავდით სიხარულს, აღტაცებას და მუშაობის წყურვილს საერთო საქმისადმი. იშვიათი სიხარულით შეეგებენ ამ დღეს მოხუცები, რომლებიც მადლობასა და ქებას უძღვნიდნენ მთავრობას, რომ ისინიც მოესწრნენ და თავიანთი საკუთარი თვალით იხილეს ეტლების მიმოსვლა სურების გზაზე.

ეტლებმა მიმოსვლა დაიწყო 5 მაისიდან საჭიროებისამებრ, რაიც დიდ აღტაცებას და სიხარულს იწვევს გლეხობაში.

გზის ფორმალურად გახსნა კი ჯერ არ მომხდარა, რომელსაც სურების მოსახლეობა აღტაცებით მოელის ამ დღეს; სურების მოსახლეობა სიხარულით ელოდება თავის მხსნელს და მშველელს საქართველოს მთავრობას და პირადათ ამხ. ფილიპე მახარაძეს.

ამირ-ბარი.

შაბათს, 25 მაისს საღამოს სრულ 6 საათზე პროფკავშირის საბჭოს დიდ დარბაზში მოწვეულია

რემედასის თბილისის სამაზრო-საქალაქო კონფერენცია

კონფერენციის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები

1) მოხსენება რემედასის საქ. ცეკასი (მომხ. ამხ. თოდრია ვლ.)
2) რემედასის თბილისის კომიტეტის ანგარიში (მომხ. ამხ. ცქვიტინიძე).
3) სარევიზიო კომისიის ანგარიში (მომხ. ამხ. ენფიაჯიანცი).
4) 2 თემკომის მოხსენება.
5) მოხსენება რემედასის მუშაობის შესახებ სოფლად.
6) არჩევნები თბილ. კომიტეტის და სარევკომისიის.

ადგილობრივ დელეგატებს მანდატები დაურიგდებათ თავიანთ რაიონებში, ხოლო ჩამოსულ დელეგატებს—რემედასის თბილისის კომიტეტში (კომინტერნის ქ. № 5).

რემედასის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმი.

ქ. თბილისის კომკავშირელების გუნდების საქალაქო შეჯიბრება სროლაში

კომკავშირელების საკავშირო სასროლო კონკურსში დაუსწრებელი მონაწილეობის მისაღებად **შესდგება ამა წლის 2 ივნისს დილის 10 საათზე**

ყოფილი სამხედრო ტაძრის ეზოში.

შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებენ კომკავშირელების რაიონული გუნდები, რომლებმაც რაიონებში წინასწარი შესარჩევი სროლის დროს 30 და მეტი ქულა მოაგროვეს.

გუნდები ლენინური კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის რაიკომების და თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოების სამხედრო ორგანიზატორების სიებით უნდა გამოცხადდნენ შეჯიბრების ადგილზე 2 ივნისს, დილის 10 საათისათვის.

შეჯიბრების ჩამტარებელი საორგანიზაციო კომისია.

დავეხმაროთ პროლეტარულ სტუდენტობას

ამხ. მარო მაისურაძის გამოწვევით, შემომაქვს ხუთი მან.

ვ. დევდარიანი.

—

შემომაქვს 20 მან. და ვიწვევ პროფ. ლოლობერიძეს, პროფ. თიკანაძეს, პროფ. ზურგლოფს, ექ. ვ. ნემსაძეს, ექ. კ. ტყეშელაშვილს.

პროფესორი **მ. წინამძღვრიშვილი.**

—

პრივ.-დოც. მ. მგალობლის გამოწვევით, პროლეტარულ სტუდენტების სასარგებლოთ შემომაქვს 10 მან. ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: პროფ. გ. მუხაძეს, პროფ. ნ. ლოლობერიძეს, დოც. ა. წულუკიძეს, პრივ.-დოც. ვ. ცეცხლაძეს, უფრ. ასისტ. ა. ჯავრიშვილს და უფრ. ასისტ. პ. ნანეიშვილს

პროფ. **ვლ. ჟღენტი**

—

საქართველოს მთიელთა კულტურულ საზოგადოებას შემოაქვს პროლეტარულ სტუდენტთა სასარგებლოდ ასი (100) მანეთი და იწვევს შემდეგ საზოგადოებებს: „წერა-კითხვის საზოგადოებას" „საშეფო საზოგადოებას", „ბავშვთა მეგობრების საზ-ბას", თავდაცვა-ავიაქიმს და რემედასს.

—

ამხ. ქურდაძის გამოძახებით პროლეტარულ სტუდენტების სასარგებლოდ შემომაქვს 20 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ამაიაკ ნაზარეტიანს, გერმანე მგალობლიშვილს, ბესარიონ ჭიჭინაძეს, რუბენს, ალექსანდრე ვაშაძეს, ანდრო დოლიძეს, გალაქტიონ ვაშაძეს.

მელიტონ ფილია.

—

ამხ. დათიკო გიორგაძის გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გრიშა დარსაველიძეს, ანიკო ედიბერიძეს, ნინო ტატიშვილს, ჭიჭიკო ხარაბაძეს, ამბროსი მახარაძეს, მიტუშა შაყულაშვილს, ირაკლი მესხს, ილია ძიძიგურს და ლიმა შენგელიას.

პოლიონ კუჭუხიძე.

—

შემომაქვს 2 მანეთი და ვიწვევ: თამარა გაჩეჩილაძეს, ელენა მეშველდიშვილს, ანნა ქინტიაშვილს, ქეთევან სამადაშვილს, ჩაიკანუშ იღლევანოვს, ოლღა ნარიაშვილს, ეკატერინე საციბაგლიშვილს, მარიამ ბეთლემიძეს, ტასო დავითაშვილის და ნინა ბიბილურს.

ნინო გელაძიშვილი.

—

შავი ქვის ტრესტის თბილისის თანამშრომლებს შემოგვაქვს პროლეტარულ სტუდენტთა სასარგებლოთ (95) ოთხმოცდახუთმეტი მანეთი და ვიწვევთ:

1) შავი ქვის ტრესტის ჭიათურის და ფოთის კანტორის თანამშრომელთ, 2) სახ. ბანკის თანამშრომელთ თბილისიდან, 3) საქ. საზოგად. „ექსპორტ მარგანეცის" თანამშრ. მოსკოვიდან, 4.) საქ. საზ. „ექსპ. მარგანეცი"-ის თანამშრომელთ ბერლინიდან.

შავი ქვის ტრესტის თბილის. კონ. თანამშრომელნი.

—

ამხ. ალფ. ხელაძის გამოწვევით ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოთ შემომაქვს—10 მანეთი და ვიწვევ შემდეგ პირებს: იოკიმე პეტრიაშვილს, ანტონ ტუსკიას, პოლიევკტ აბესაძეს, ინჟ. ა. ლორთქიფანიძეს, ისიდორე ხარატიშვილს, ალექსი ფირცხალაშვილს და არჩილ კეკელიძეს.

სერაპიონ სიხარულიძე.

—

შემომაქვს 1 მანეთი და ვიწვევ: რემა და ვასო ქეჩრელიშვილებს, ლილი ცინცაძეს, იუზა კალანდაძეს, მედიკო ბოლქვაძეს, ლეილა ქავთარაძეს, არჩილ ჭრელაშვილს, ეთერი ტუსიაშვილს, ეთერ პარჩიკიძეს, ნინა ჭეფხოძეს, სულიკო რამიშვილს.

მოწაფე **ქეთო შალვას ასული მეგრელიშვილი.**

—

შემომაქვს (3) სამი მანეთი და ვიწვევ: კოლია ჯიქიას, ივანე წერეთელს, შალვა შავგულიძეს, ბესო სიჭინავას, სოსო იორამაშვილს, გრიშა მკურნალს, კოლია ოდიშარიას, გალაქტიონ ჯიშმელეიშვილს, ილიკო სავიცკის, ელეფთერ ცერცვაძეს.

შალვა მეგრელიშვილი.

—

ამხ. დოლიძის გამოწვევით სტუდენტთა დასახმარებლად შემომაქვს 10 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ლ. სალუქვაძეს, დ. გვაზავას, გ. სულუხიას, რაჟ. მელაძეს, პ. კუჭაიძეს, ირ. მიქელაძეს, აკ. სიგუას, ლ. კარბელაშვილს, ვიქ. თევზაიას, გ. სარუხანოვს, არჩ. გოკიელს, გ. ჯანელიძეს.

აკ. კალაძე.

—

„კომუნისტი"-ს კანტორაში პროლეტარულ სტუდ. დასახმარებლად შემოვიდა —269 მან. სულ წინეთ შემოსულთან ერთად 997—17.

საქ. მუშფაკებში მიღების წესი
1929—30 სამოსწავლო წლისათვის

მუშათა ფაკულტეტებზე შეიძლება მიღებულ იქნან ის პირნი, (ასაკით არა ნაკლებ 18-სა და არა უმეტეს 30 წლისა), რომლებიც თავისი წარმოშობით ეკუთვნიან მუშებს, მოჯამაგირეებს და ღარიბ გლეხებს და რომლებსაც მუშფაკზე შესვლის წინ წარმოებაში უმუშავნიათ: 18 წლიდან 20 წლამდე ასაკის — არა ნაკლებ 3 წლისა, 20-დან 25 წლამდე — არა ნაკლებ 4 წლისა, 25-დან 30 წლამდე— არა ნაკლებ 6 წლისა. მუშებს, მოჯამაგირეებს და ღარიბ გლეხებს, რომლებმაც დროებით გასწყვიტეს კავშირი წარმოებასთან წითელი არმიის რიგებში გაწვევის გამო, წითელ არმიაში ყოფნა ეთვლებათ ფიზიკური შრომის სტაჟად.

კომპარტიის წევრი მუშები, მოჯამაგირეები და ღარიბი გლეხები, რომელთაც არ აქვთ სრული საწარმოო სტაჟი, მუშფაკში, შეიძლება იქნან მიღებული საწარმოო სტაჟით, არა ნაკლებ 3 წლისა, თუ მათ აქვთ პარტსტაჟი: 18-დან 20 წლამდე ასაკისას — 2 წელი, 20-დან 25 წლამდე— 3 წელი, 25-დან 30 წლამდე — 4 წელი.

კომკავშირის წევრი მუშები, მოჯამაგირეები და ღარიბი გლეხები, რომელთაც არ აქვთ სრული საწარმოო სტაჟი, მუშფაკში, შეიძლება მიღებულ იქნან არა ნაკლებ სამი წლის საწარმოო სტაჟით, თუ მათ აქვთ კომკავშირის წევრობის სტაჟი: 18-დან 20 წლამდე ჰასაკისას — 3 წელი, 20—25 წლამდე — 4 წელი.

მუშფაკებში წელს მიიღებიან მსმენელებათ მხოლოდ პირველ კურსზე. ადგილები განაწილებულ იქნება შემდეგნაირად:

სახელმწიფო უნივერსიტეტის მუშფაკში — 200 კაცი, (ამაში შედის 20 კაცი ღარიბთა კურსებიდან), აქედან საქ. პროფსაბჭოს — 120, განათლების სახ. კომისარიატს — 5, კომკავშირს — 20, ცეკას მუშა - ქალთა და გლეხ - ქალთა განყოფილებას — 5, აგიტ. - პროპ. ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებას — 7, სვანეთს — 2, წითელ არმიას — 10, აფხაზეთს — 2, აჭარისტანს—5, სამხრეთ - ოსეთს — 2, მთიელებს — 2.

სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის მუშფაკში—120 კაცი, (სომხურ სექტორზე— 40, რუსულ სექტორზე — 80 კაცი), აქედან რუსულ სექტორზე: პროფსაბჭოს — 38, კომკავშირს — 15, წითელ არმიას — 5, აფხაზეთს — 3, გზათა სახ. კომისარიატს— 3, ცეკას მუშა - ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილებას — 5, ცეკას და თბ. კომიტეტს — 5, აჭარისტანს — 3, სამხ.-ოსეთს— 3. სომხურ სექტორზე: პროფსაბჭოს — 20, წითელ არმიას — 2, ცეკას და თბ. კომიტეტს — 2, აფხაზეთს — 1, კომკავშირს — 6. ცეკას მუშა - ქალთა და გლეხ - ქალთა განყოფილებას — 2, აჭარისტანს — 1, განათლების სახ. კომისარიატს — 2, ახალქალაქს — 2, ახალციხეს — 1, ბორჩალოს—1.

რკინისგზის მუშფაკში: რუსულ სექტორზე — 35, ქართულ სექტორზე — 70, სულ 105 კაცი. ყველა ადგილები მიეცემა რკინისგზელთა პროფკავშირს.

ორგანიზაციებს კანდიდატები შეუძლიათ გამოგზავნონ მხოლოდ და მხოლოდ მათთვის დათმობილი ადგილების რაოდენობით.

მიმავლინებელი ორგანიზაციები მუშფაკის მიმღებ კომისიაში გზავნიან შემდეგ დოკუმენტებს: ა) მივლინების მოწმობას, ბ) ცნობას წარმოებაში მუშაობის ხანგრძლივობის და ხასიათის შესახებ, გ) დოკუმენტს ასაკის შესახებ, დ) დოკუმენტს სამხედრო ბეგარისადმი დამოკიდებულების შესახებ და ე) ანკეტას.

მივლინებულთა განცხადებები მიმღებ კომისიაში შეტანილ უნდა იქნას 10 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე. მივლინებებს და განცხადებებს, რომლებიც შეტანილ იქნება ამ ვადის შემდეგ, მიმღები კომისია არ განიხილავს. განხილულ არ იქნება აგრეთვე იმ პირთა განცხადებანი, რომელთაც არ ექნებათ ყველა ზემოდაღნიშნული დოკუმენტი. მივლინებულნი გამოცდამდე წინასწარ შემოწმებულ იქნებიან ექიმის მიერ.

გამოცდებზე დაშვებულნი 8 სექტემბერს უნდა გამოცხადდნენ სათანადო მუშფაკში. გამოცდების ჩასაბარებლად (მშობლიურ ენაში, არითმეტიკაში და პოლიტცოდნაში).

მუშფაკში შესვლის მსურველს უნდა შეეძლოს კარგად წერა - კითხვა მშობლიურ ენაზე, უნდა იცოდეს არითმეტიკის ოთხი მოქმედება და უნდა ჰქონდეს ელემენტარული პოლიტცოდნა.

ვინც ვადაზე არ გამოცხადდება, ის დაშვებულ არ იქნება გამოცდებზე.

მეცნიერება და ტეხნიკა
საბჭოთა მოლაპარაკე კინო- აპარატი



მოსკოვის ექსპერიმენტარულ-ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის ინჟენერმა ამხ. ტაგერმა გამოიგონა მოლაპარაკე კინო-აპარატი.

სურათზე — მოლაპარაკე კინო-აპარატი და მისი გამომგონებელი ამხ. ტაგერი.

ქალაქის ჰაერის დაბინძურება

ინგლისელმა ჰიგიენისტებმა ჩაატარეს მთელი რიგი ცდები იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად გაბინძურებულია ქალაქის ჰაერი მჭვარტლით და მტვერით. ცდებმა განსაცვიფრებელი შედეგები გამოიღო. როგორც გამოირკვა, ლონდონის ჰაერი იმდენად არის გაჟღენთილი მჭვარტლით, რომ სრულიად არ უშვებს ადამიანის ორგანიზმისათვის აუცილებელ ულტრა - იისფერ სხივებს. რომ ის მტვერი, რომელსაც ლონდონელი მცხოვრები საათში ისუნთქავს, გავამწკრივოთ ერთ ხაზზე, მივიღებთ რამდენიმე კილომეტრის სიგრძე ლენტს.

ადმინისტრატიული ტეხნიკის მიღწევები

ლონდონში გაიხსნა საკანცელარიო და საანგარიშო ტეხნიკის გამოფენა. გამოფენაზე ბევრი საინტერესო ექსპონატებია. ერთი ასეთი ექსპონატთაგანია — მანქანა, რომელიც ახარისხებს და აწყობს ფულებს. მანქანის ერთ ბოლოში ჰყრიან სხვადასხვა ხარისხის ფულებს, მეორე ბოლოში კი გამოდის დახარისხებული (ღირსების მიხედვით დალაგებული), სწორათ დათვლილი და ქაღალდში ლამაზად შეხვეული ფულები.

მეორე აპარატი წარმოადგენს ფონოგრაფს, რომელიც „იწერს" საუბარს ტელეფონით, „აწარმოებს" სხდომების ოქმს, „ადგენს" საქმიან ქაღალდებს და სხვ.

საჰაერო დესანტის გადმოსხმის ტეხნიკა

ამ რამდენიმე ხნის წინად ინგლისში და ამერიკაში მოახდინეს საჰაერო დესანტის გადმოსხმის ცდები. ორივე სახელმწიფოში ამ მიზნით გამოყენებულ იქნა განსაკუთრებული კონსტრუქციის აეროპლანები, რომლებსაც აქვთ სპეციალური კაბინა (ხალხის მოსათავსებელი ოთახი). საჭიროების დროს ეს კაბინა მასში მოთავსებული ჯარისკაცებით სცილდება აეროპლანს და ეშვება დაბლა. კაბინებზე მიმაგრებულია უზარმაზარი პარაშიუტები, რომლებიც იშლება მაშინვე, როგორც კი კაბინა მოსცილდება აეროპლანს და საჰაერო დესანტი უვნებლად ეშვება მიწაზე. ამერიკაში ჩატარებულ ცდების დროს შეიარაღებულმა რაზმმა, მიაღწია რა მიწას, გამოვიდა კაბინიდან, სამ წუთში გამართა ტყვიისმფრქვეველი და სროლა აუტეხა „მტრის" პოზიციებს.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება
სრულიად საქართველოს მე-4 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-5 სესიისა

სისხლის სამართლის კოდექსის იმ ცვლილებისა და დამატების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დადგენილებანი სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებისა და დამატების შესახებ, რაც, სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ კოდექსებში ცვლილებათა შეტანის წესის თაობაზე 1924 წ. მარტის 10 თარიღით და 77 ნომრით გამოცემული დადგენილების (კან. კრებ. 1924 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 7) მე-2 მუხლისამებრ, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა:

1) 1928 წ. აგვისტოს 1-ის თარიღისა და 68 №-ისა — 111 მუხლისათვის მე-3 ნაწილისა და 114 მუხლისათვის მე-2 შენიშვნის დამატების შესახებ (კან. კრებ. 1928 წ. მე-15 №-რი, მუხ. 139);

2) 1928 წ. აგვისტოს 29-ის თარიღისა და 71 №-ისა — 60, 61 და 63 მუხლების შეცვლის შესახებ (კან. კრებ. 1928 წ. მე-14 №-რი, მუხ. 132);

3) 1928 წ. აგვისტოს 29-ის თარიღისა და 73 №-ისა — იმ საგნების ნუსხის შევსების შესახებ, რაც კონფისკაციით მსჯავრდადებულს არ ჩამოერთმევა (39 მუხ. დანართი) (კან. კრებ. 1928 წ. მე-14 №-რი, მუხ. 133);

4) 1928 წ. დეკემბრის 10-ის თარიღისა და 95 №-ისა — 30^1 და 30^2 მუხლების დამატებისა და 28 მუხლის 1 და 2 შენიშვნებისა, 30 მუხლის 1 შენიშვნისა და 58^{19} მუხ. შენიშვნის გაუქმების შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 5);

5) 1928 წ. დეკემბრის 10 თარიღისა და 96 №-ისა — 157 მუხლისათვის მე-2 ნაწილის დამატების შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 6);

6) 1928 წ. დეკემბრის 18-ის თარიღისა და 103 №-ისა — 115 და 118 მუხლების რედაქციის შეცვლის შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. მე-2 №-რი, მუხ. 21).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ი. ვარძიელი.

1929 წ. მარტის 1.
თბილისი—სასახლე.

დადგენილება
სრულიად საქართველოს მე-4 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-5 სესიისა

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ცვლილებისა და დამატების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დადგენილებანი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებისა და დამატების შესახებ, რაც სრულიად საქართველოს მე-2 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის მიერ კოდექსებში ცვლილებათა შეტანის წესის თაობაზე 1924 წ. მარტის 10 თარიღითა და 77 ნომრით გამოცემული დადგენილების (კან. კრებ. 1924 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 7) მე-2 მუხლისამებრ, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ. სახალხო კომისართა საბჭომ მიიღეს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა:

1) 1928 წ. აგვისტოს 29 თარიღისა და 72 №-რისა — 1-ლი მუხლის შენიშვნის დანართის მე-7 და სხვ. მუხლების შეცვლისა და დამატების შესახებ (კან. კრებ. 1928 წ. მე-15 №-რი, მუხ. 140);

2) 1928 წ. დეკემბრის 10 თარიღის და 94 №-რისა — 1-ლი მუხ. შენიშვნის დანართისათვის 21 მუხლის დამატებისა და იმავე დანართის მე-20 მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ (კან. კრებ. 1929 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 4).

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებლი კომიტეტის მდივანი
ი. ვარძიელი.

1929 წ. მარტის 1.
თბილისი—სასახლე.

ქრონიკა

შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა

1-ლ ივლისიდან შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადადის პოლიგრაფტრესტის ლიტოგრაფია თბილისში, 15 ივნისიდან — პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა თბილისში.

1-ლი მაისიდან შვიდი საათის სამუშაო დღეზე უკვე გადავიდა თბილისის სპილენძის ქარხანა და საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს აბრეშუმის სართავი ფაბრიკა (ადს).

სამხედრო - პოლიტიკური წრეები

პოლიტმუშაკების მოსამზადებლად ამიერკავკასიის ქვეითი სკოლასთან გაიხსნა სამხედრო - პოლიტიკური კურსები. კურსების მსმენელთა პირველ შემადგენლობაში არიან: პარტბიუროების მდივნები და წევრები — 7 პროცენტი, სამოქალაქო ომის მონაწილენი—35 პროცენტი, მუშები — 5 პროცენტი, გლეხები — 37 პროცენტი და მოსამსახურეები—11 პროცენტი. (ადს)

გაზაფხულის მატყლის დამზადება

5 ივნისს, ა.-კ. სოფლის კავშირში გაიხსნება რესპუბლიკანურ სასოფლო - სამეურნეო კოოპ. კავშირების და მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობების თათბირი, რომელზედაც განხილული იქნება გაზაფხულის მატყლის დამზადების საკითხი.

კინო - ტეხნიკოსთა მომზადება

პოლიტგანათლების მთავარი მმართველობა სახკინმრეწვთან და ცეკავშირთან ერთად 1 ივნისიდან თბილისში აწყობს კინოტეხნიკოსთა მოსამზადებელ კურსებს. კურსებზე მეცადინეობა გაგრძელდება 1 აგვისტომდე.

ყადაღის დადება ოპერის თეატრის შემოსავალზე

თბილისის ალმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე, 22 მაისს, მოისმინა საფინანსო განყოფილების მოხსენება, საფინგანის წარმომადგენელსა და ოპერის ადმინისტრაციის წარმომადგენელ მაჩაბელს შორის მომხდარ ინციდენტის შესახებ. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, საფინგანის წარმომადგენელს სათანადო დადგენილების თანახმად დავალებული ჰქონდა ყადაღა დაედვა ოპერის სალაროზე, ალმასკომისადმი დავალიანების დასაფარავად, მაგრამ მოქ. მაჩაბელი არ დაემორჩილა მის კანონიერ მოთხოვნილებას, გაუწია წინააღმდეგობა და უდიერათ მოექცა მას.

პრეზიდიუმმა დაადგინა: დაევალოს საფინგანს დაუყოვნებლივ გადაახდევინოს ოპერის თეატრს ყოველგვარი დავალიანება და გადასახადი, რისთვისაც თეატრის შემოსავალს დაედვას ყადაღა.

პრეზიდიუმის დადგენილებით, საფ. განყოფილებას წინადადება მიეცა თეატრის შემოსავალზე ყადაღის დადება მიანდოს თავის თანამშრომელს ადმინისტრატიულ განყოფილების თანამშრომლებთან ერთად.

მოქ. მაჩაბლის საქმე გადაეცემა პროკურატურას მისი პასუხისგებაში მისაცემად თანამდებობის პირისადმი უდიერათ მოპყრობისა და წინააღმდეგობის გაწევისათვის.

თბილისის ალმასკომში

◆ **კბილის საექიმო კაბინეტი.** მუხრანში კბილის საექიმო კაბინეტის მოსაწყობათ ჯანმრთელობის განყოფილებას გადაეცა 502 მან.

◆ **სამხედრო უწყებისათვის ახალი შენობის** ასაგებად ალმასკომმა გადასდო 5.000 მ.

◆ **დახმარება.** სას.-სამ. კოლექტივს „ვეჯინს" (სოფ. გლდანში) მიეცა 2.058 მანეთი.

◆ **თიანეთის ხე-ტყის ქარხნის დირექტორად** დაინიშნა ამხ. გვენცაძე.

◆ **ექსკურსიები.** საზ-ბა „ტურისტი" კვირას სოფ. გლდანში აწყობს ეტნოგრაფიულ ხასიათის ექსკურსიას.

◆ **გეოგრაფიული საზ-ბა** შაბათს ექსკურსიას აწყობს ბეთანიაში.

სხვადასხვა

◆ **სამხედრო გზაზე საავტომობილო მი**მოსვლა კავკავამდე გაიხსნება ივნისის შუა რიცხვებიდან.

ხელოვნების ქრონიკა
ვ. ვ. მაქსიმოვის გასტროლები

1-დან 6 ივნისამდე რუსთაველის თეატრში გაიმართება მოსკოვის და ლენინგრადის დრამატიულ მსახიობთა მხატვრულ ანსამბლის გასტროლები რესპ. დამს. არტ. **ვ. ვ. მაქსიმოვის** მონაწილეობით.

ანსამბლში შედიან დამსახ. მსახიობი ქალი **კარელინა - რაიჩ,** ყოფ. კორშის თეატრის მსახიობი ქალი **ბუდრეიკო,** ლენინგრადის ყოფ. ალექსანდრეს თეატრის მსახიობი **ვ. კრიუგერი** და მთელი რიგი სხვა ცნობილი მსახიობები.

კოლექტივის რეპერტუარში შეტანილია სკრიბის ცნობილი კომედია „ჭიქა წყალი", ჰაზენკლევერის კომედია „საქმის კაცი", ლანგემის — „ქაობი" და ვ. გიუგოს — „რიუი-ბლაზ".

პროფკავშირთა წევრებისათვის მუშათა ზოლის სალაროში გაიყიდება შეღავათიანი ბილეთები 40 პროც. ფასდაკლებით.

რკინის გზებზე

კრედიტები ახალ სამუშაოების საწარმოებლად 1929 — 30 წელში

ა.-კ. რკ. გზის გამგეობაში მიღებულია გზათა კომისარიატის მიერ გამოგზავნილი საკონტროლო ციფრები 1929 — 30 წელში გზაზე შესასრულებელ ახალ სამუშაოების ხარჯთ - აღრიცხვის შესადგენად.

ამ ციფრების თანახმად, 1929 — 30 წელში ა.-კ. რკინის გზაზე ახალ სამუშაოებზე უნდა დაიხარჯოს 25.820.000 მანეთი. აქედან წევის დარგში ჩასატარებელ ახალ სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია — 3.495.000 მანეთი, სალიანდაგო დარგისათვის — 10.299.000 მანეთი, ელექტროტეხნიკური და კავშირგაბმულობის დარგისთვის — 688.000 მანეთი, ექსპლოატაციის დარგისთვის — 2.730.000 მანეთი, საბარგო სადგურების სამუშაოების მექანიზაციისათვის — 45.000 მან., საცივართა აღმშენებლობისათვის — 615.000 მან. და საბინაო აღმშენებლობისათვის (გარდა საბანკო კრედიტებისა) 1.100.000 მანეთი.

გზის სამასალო განყოფილება მიიღებს სულ 213.000 მანეთს, აქედან მთავარ სამასალო საწყობის დასამთავრებლად—100.000 მანეთს და საწვავ მასალების საწყობის სამექანიზაციოდ — 25.000 მანეთს.

ხაზის დათვალიერება

ა.-კ. რკინის გზის დასავლეთ უბანზე ხაზების დასათვალიერებლად გუშინ თბილისიდან ბათომისაკენ გაემგზავრნენ: გზის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. **ვ. პოზდეევი,** გამგეობის წევრები ინჟ. **გ. ბერიძე,** ამხ. **ა. ლევაშოვი** და გზის სპეციალისტები.

მატარებლის დამტვრევა

გუშინ სანაინ - შულავერს შუა დაიმტვრა საბარგო მატარებელი.

მატარებლის დამტვრევა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ წინა ღამით მოსულმა ძლიერმა წვიმამ წარეცხა და გააფუჭა რკინის გზის ხაზი, რაც ვერ შეამჩნია მემანქანემ. ორთქლმავალი და ორი ვაგონი გადავარდა ლიანდაგიდან და გადაბრუნდა.

მატარებლების მოძრაობა შესწყდა. ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა.

უბედური შემთხვევა

სანაინ-კალაგერანს შუა მიმავალ სახალხო მატარებლიდან გადმოვარდა კონდუქტორი თუმასიანცი. გრძნობა დაკარგული თუმასიანცი გაგზავნეს ლენინაკანის საავადმყოფოში, მაგრამ გზაში გარდაიცვალა.

კლუბების საზაფხულო სამხატვრო მუშაობა საფრთხეშია

გუშინ, დილით საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში შესდგა მუშათა კლუბების, ხელოვნების მთავარ მმართველობის, ხელოვნების მუშაკთა კავშირის და ხელოვნების მუშაკთა საშუამავლო ბიუროს წარმომადგენლების თათბირი, რომელზედაც განხილული იქნა კლუბების საზაფხულო სამხატვრო მუშაობასთან დაკავშირებული საკითხები.

გამოირკვა, რომ კლუბების საზაფხულო სამხატვრო მუშაობა საფრთხეშია, რადგან ხელოვნების მთავარ მმართველობას, რომელმაც იკისრა საკონცერტო ბიუროს მოწყობა, დღემდე არ გადაუდგამს პრაქტიკული ნაბიჯები მუშათა კლუბების სამხატვრო ძალებით უზრუნველსაყოფად. ზაფხული დაიწყო და მუშათა კლუბებმა ჯერ კიდევ არ იციან თუ რა ძალების გამოყენება შეუძლიათ მათ, რომ ამის მიხედვით ააგონ თავისი მუშაობის გეგმა. თუმცა პროფკავშირებმა ჯერ კიდევ დეკემბერში წამოაყენეს საკითხი ხელოვნების მთავარ მმართველობასთან საკონცერტო ბიუროს მოწყობის შესახებ, მაგრამ ეს უკანასკნელი დღემდე არ არის მოწყობილი. კლუბებმა სცადეს თვითონ მოეწყოთ საკონცერტო ბიურო ხელოვნების მუშაკთა საშუამავლო ბიუროსთან, მაგრამ ამას ხელი შეუშალა ხელოვნების მთავარ მმართველობამ. ამრიგად, ამ უკანასკნელმა ვერც თვითონ შექმნა საკონცერტო ბიურო თანხების უქონლობის გამო, და კლუბებსაც ხელი შეუშალა დროზე გადაედგათ ნაბიჯები ამ მიმართულებით. ყველა ამის შედეგია, ის, რომ კლუბების საზაფხულო სამხატვრო მუშაობა ჩაშლის საფრთხის წინაშე სდგას.

თათბირმა დაადგინა უკანასკნელად შეეკითხოს ხელოვნების მთავარ მმართველობას — კისრულობს თუ არა იგი მუშათა კლუბებისათვის სამხატვრო სამსახურის გაწევას და თუ კისრულობს, რაში უნდა გამოიხატოს იგი. თუ დღეს დილით პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ დადებითი პასუხი ვერ მიიღო ამ კითხვაზე, მაშინ მუშათა კლუბები უარს ამბობენ ხელოვნების მთავარ მმართველობის საკონცერტო ბიუროს სამსახურზე და თვითონ შეუდგებიან საკონცერტო ბიუროს მოწყობას ხელოვნების მუშაკთა საშუამავლო ბიუროსთან.

საზოგადოებრივი სამუშაოები საქართველოში

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატმა ჯამი გაუკეთა იმ დახმარებას, რომელიც გაეწია საქართველოს მოსახლეობას შრომით. ამ საქმეზე წლის განმავლობაში დაიხარჯა 360.160 მან. მიმდინარე წელს გადადებულია 304.480 მან. მოსახლეობას დახმარებას აღმოუჩენენ ისეთი საშუალებებით, როგორიც არის საზოგადოებრივი სამუშაოები, შრომის კოლექტივები, უმუშევართა გადამზადება და სხ.

საზოგადოებრივ სამუშაოებზე საქართველოში წლის განმავლობაში დაიხარჯა 176.810 მან, როგორც წარსულში, წელსაც საზოგადოებრივი სამუშაოები მოეწყობა: თბილისში, ბათომში, ქუთაისში, ჭიათურაში და სამხრეთ-ოსეთში.

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის ცნობით, შრომითი დახმარების ყველაზე უფრო ეფექტიურ სახეს წარმოადგენს შრომის კოლექტივების მოწყობა უმუშევართავან. (ადს)

სასამართლო

განაჩენი აფერისტების ორგანიზაციის წევრთა საქმეზე

თბილისის მაზრა - ქალაქის სასამართლომ ამხ. **კუპრაშვილის** თავმჯდომარეობით დაამთავრა აფერისტების ფარული ორგანიზაციის წევრთა გასამართლება.

ალექსანდრე სოლომონისძე კიკნაძეს, რომელიც იყო ყალბი საბუთების მკეთებელთა ორგანიზაციის მეთაური, **მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.** ცნობა კიკნაძის დასჯის შესახებ გადაეგზავნა საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიას.

პროკოფე სპირიდონისძე კაპანაძეს, რომელიც კიკნაძესთან შეთანხმებულათ ამზადებდა და ავრცელებდა ყალბ სიმწიფის მოწმობებს, — მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. **ვასილ ნიკოლოზისძე ლაცაბიძეს** — 2 წლით, **შალვა ფოცხვერაშვილს**— 1 წლით და 6 თვით, **იოველ ივანესძე ფანჩულიძეს** —5 წლით, **ალექსანდრე ისიდორესძე დვალს** — 1 წლით, **ანა ონისიმეს ასულ კიკნაძეს** — 2 წლით, რაც შეეცვალა პირობით 5 წლის ვადით, **მარო ბაბუნიძეს**— 1 წლით, რაც შეეცვალა პირობით ხუთი წლის ვადით, **ტერეზა მერაბიშვილს** — 2 წლით, (შეეცვალა პირობით 5 წლის ვადით); **იოსებ წერეთელს, ვლადიმერ ერმილესძე აბზიანიძეს, კონდრატი კეკელიას და ვარლამ ჩიქობავას** მიესაჯათ იძულებითი მუშაობა თვითეულს ექვს - ექვსი თვის ვადით.

სერგო ტერტეროვს, რომელმაც სიმწიფის მოწმობის ბლანკები მიაწოდა კიკნაძეს, მიესაჯა სამსახურიდან მოხსნა.

ნიკოლოზ გაჩეჩილაძე, ვლადიმერ სხირელი და შალვა ერმალოზისძე ჯორბენაძე ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო გამართლებულ იქნენ.

პოლიტგანის ინსტრუქტორი თბილისის რესტორანებში

სამხრეთ - ოსეთის განათლების სახალხო კომისარიატის აპარატში მუშაობდა პოლიტგანის ინსტრუქტორი **ალექსანდრე ივანესძე სანაკოევი,** რომელსაც ბევრი რამ ევალებოდა მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლების საქმეში. სამკითხველოების ქსელის გაფართოება, წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, პოლიტ - განმანათლებელ მუშაობის გაშლება, — აი რაზე უნდა ყოფილიყო მიპყრობილი პოლიტგანის ინსტრუქტორის მთელი ყურადღება.

მაგრამ თბილისის რესტორანებს შეჩვეულ სანაკოევს აწვალებდა „ცენტრისაკენ ლტოლვა". როგორც კი შეუყრიდა თავს ცოტა „გროშებს", მაშინვე დაჰკრავდა ფეხს და თავს ამოჰყოფდა თბილისში; შეკრებდა თავის ძველ „ძმა-ბიჭებს" და ყარაჩოღულ სუფრას გამართავდა.

სახარჯო ფული ყოველთვის ჰქონდა ინსტრუქტორ სანაკოევს. მაგალითად, შემოვიდოდა რომელიმე სამკითხველოს სასარგებლოდ ფული, სანაკოევი მაშინვე მიდიოდა მივლინებაში, მივლინებას ასაბუთებდა მით. რომ ცენტრში დირექტივები მაქვს მისაღებიო. თბილისში კარგა მაგრად გამოსკდებოდა და სამკითხველოს დარდი ფეხზეც არ ეკიდა.

ამა წლის იანვარში ინსტრუქტორმა სანაკოევმა შეაგროვა უღმერთოთა კავშირის საწევრო თანხები და მოკუსლა თბილისაკენ.

„უღმერთოების" ხარჯზე ერთი რჯულზე წაიქეიფა სანაკოევმა და როცა ფული გამოელია, მიადგა საზ. „წერა - კითხვი"-ს ცენტრალურ გამგეობას. უკანასკნელს წერაკითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობისათვის (!) ინსტრუქტორმა დააძრო 500 მანეთი, რომელსაც თბილისის რესტორანებშივე უქნა ლიკვიდაცია.

სანაკოევი დაპატიმრებულ იქნა მაშინ, როცა უკვე მზად იყო თბილისში წამოსასვლელად და „სახარჯო ფულიც" ჯიბეზე ჰქონდა. მის მიერ გაფლანგული თანხა 1.400 მანეთს უდრის.

სანაკოევი გაასამართლა სამხრეთ - ოსეთის მთავარმა სასამართლომ, რომელმაც მას **მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 2 წლით.**

ზერ.

ავიაქიმში
მესამე ავიალატარია

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის ცნობით, დღევანდლამდე საქართველოში გასაღებულია მესამე ავიალატარიის 50.000 ბილეთი. სულ — 25.000 მანეთის ღირებულების.

მესამე ავიალატარიის ტირაჟი შესდგება მიმდინარე წლის 2 ივნისს.

ავიაქიმის საზაფხულო მუშაობა

საქ. ავიაქიმმა შეიმუშავა საზაფხულო მუშაობის გეგმა.

გეგმის თანახმად, მიმდინარე ზაფხულის პერიოდში მთავარი ყურადღება მიექცევა მუშაობის პრაქტიკულ მხარეს.

ავიაქიმის ორგანიზაციების მიერ ფართოდ იქნება გამოყენებული ლაშქრობა, მანევრები, ველად გასვლა.

ავიაქიმის ორგანიზაციები პირველად ამ ზაფხულში მოაწყობენ საზაფხულო ბანაკებს, სადაც ჩატარებული იქნება პრაქტიკული სამხედრო ხასიათის მეცადინეობა.

ფეხბურთი
მორიგი კალენდარული შეჯიბრებები

გრძელდება პროფკავშირების პირველობის გათამაშება ფეხბურთში. კვირას, 26 მაისს, გაიმართება პირველი კატეგორიის გუნდების ორი კალენდარული შეჯიბრება.

ნაშუადღევის 4 საათზე „დინამო"-ს სტადიონზე თამაშობენ მელითონეთა და მედსანშრომის მუშაკთა პირველი გუნდები.

მეორე შეჯიბრება მოხდება 5 ნახ. საათზე ლენინის სახელობის სტადიონზე. თამაშობენ პოლიტეხნიკური ინსტიტუტის და ადგილობრივი ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის პირველი გუნდები. ადგილობრივი ტრანსპორტის მუშაკთა სახელით გამოდის გემო - კვების მუშაკთა გუნდი, რომელიც ამიერიდან გადარიცხულია ადგილობრივ ტრანსპორტის მუშაკთა კავშირში. გუნდის შემადგენლობა წინანდელი რჩება.

აღნიშნული შეჯიბრებები გამოარკვევს პირველობის მთავარ პრეტენდენტებს.

შემთხვევები
ტრამვაის დაჯახება

კარლ მარქსის მოედანზე ტრამვაის ვაგონი № 208, მარშრუტი № 3, რომელსაც მართავდა ვატმანი ამბაკო დავითისძე გაგუა, დაეჯახა ეტლს, მეტლე კროჩენკო მძიმედ დაშავდა.

თავის მოწამვლა

მარიამ სერგის ასულმა ნაჭყეპიამ (სასაკლაოს ქ. № 23), ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე მოიწამლა თავი.

შეპყრობა

ივანე გერგაშის ბინის გაქურდვის დროს შეიპყრეს ნიკოლოზ ნიკოლოზისძე ყორყოლიანი.

ქურდობა

გაქურდეს მუშკოოპის სავაჭრო № 115.— სათენიკა პავლენკოს ბინიდან (კრაკოვის ქ. № 5) მოიპარეს 200 მან. საოჯახო ნივთები. — გაქურდეს ელისაბედ კალანტაროვის ბინა (ავლაბრის ქ. № 36); — ნიკოლოზ მანუკაშვილს ჯიბიდან ამოაცალეს 37 მან.

ხანძარი სადგურ ჯუმათში

21 მაისს ღამის სამ საათზე ცეცხლი გაუჩნდა ჯუმათის ბაზარს, დაიწვა 6 დუქანი. ცეცხლი მოედვა სამომხმ. საზ-ბის შენობასაც, მაგრამ მშრომელთა ენერგიული ღონისძიებების წყალობით გადარჩენილ იქნა. ზარალი გამოურკვეველია. სწარმოებს კვლევა-ძიება ცეცხლის გაჩენის მიზეზის გამოსარკვევად.

ალ. საჯაია.

ჭადრაკი
მაესტრო ნენაროკოვის და სოროკინის შეჯიბრება
მეცხრე პარტია

მეცხრე პარტიაში ლაზიერის პაიკეია დებიუტის წინააღმდეგ ნენაროკოვმა შავებით აირჩია ძველი ინდიურის ერთ - ერთი ვარიანტი, რომელიც შავებს შედარებით შევიწროვებულ მდგომარეობას აძლევს. ამიტომ სოროკინმა დებიუტშივე, დებიუტის სწორი გათამაშებით მიიღო უფრო თავისუფალი თამაში და თანდათანობით შეუვიწროვა მდგომარეობა ნენაროკოვს. აქ ნენაროკოვმა გააკეთა კიდევ ერთი უაზრო სვლა, რითიც დაკარგა კიდევ ერთი ტემპი, რის შემდეგაც ერთად - ერთ იმედს პარტიის გადარჩენისას წარმოადგენდა მხოლოდ სოროკინის სუსტი თამაში. სოროკინი კი, პირიქით, ამ პარტიას განსაკუთრებით კარგათ თამაშობდა და ზუსტი სვლებით გასაქანს არ აძლევდა მეისტროს. ნენაროკოვი კი უფრო სუსტად და სუსტად თამაშობდა და თამაშის ენდშპილში გადაყვანის დროს, რომელშიც მას სუსტი და გაორებული პაიკები ჰყავდა, მის ერთად-ერთ იმედს წარმოადგენდა მხოლოდ სხვადასხვა ფერის კუ. მიუხედავად ამისა, სოროკინი მეტად ზუსტად განაგრძობდა თამაშს, არ გაჰყვა ნენაროკოვის მიერ გაბმულ მახეებს, მოიგო ორი პაიკი და პარტია გადაიდო მისთვის მოგებულ მდგომარეობაში (ეტლი, კუ და სამი პაიკი — ეტლის, კუს და პაიკის წინააღმდეგ).

ამ პარტიის დამთავრებისას შეჯიბრების მდგომარეობა უკვე იქნება +4—3=2 ნენაროკოვის სასარგებლოდ, ე. ი. ადვილად შესაძლებელია სოროკინმა ეს შეჯიბრება ყაიმით დაასრულოს, რაც დიდი მიღწევა იქნება სოროკინისათვის.

შეჯიბრების უკანასკნელი, მეათე პარტია გათამაშებული იქნება დღეს, 24 მაისს, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში. დასაწყისი სრულ 6 საათზე.

ვ. გოგლიძე.

შრომის ბირჟაში

დღეს, 24 მაისს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

შავ მუშათა სექციიდან: ოლღა დემიდოვიჩი, ნიკოლოზ თოდრია, ნინო ტარნოვსკაია, ნადია აფანასიევა, ევდოკია ტრეტიაკოვა, ნიკოლოზ ხუროშვილი, ნინო ხახუტაშვილი, რუბენ ხითარიშვილი, დავით ზავიდაშვილი, გერასიმე კასაპიანი, ვასილ შემენკო, ბიქტორ ჯინჭარაძე.

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: აკაკი გოგოლაძე, გიორგი სუმბათაშვილი, სერგო ჯიქია, აკაკი გვრიტიშვილი, სოფიო კოტენკო, ელენე გამყრელიძე, მიკირტიჩ დავიდოვი, ნადია სულაძე, გერასიმე ლორთქიფანიძე, დიანოს გურგენიძე, გერასიმე მახარაძე.

მშენებელ მუშაკთა სექციიდან: ბაგრატ ოგანეზოვი, გიორგი მიქაძე, მარტიროს გრიგორიანი, ამბარცუმ გრიგორიანი.

კვალიფიციურ მუშათა სექციიდან: ივანე ერქომაიშვილი, ნიკოლოზ ჭელიძე, ილია კაცობაშვილი, ერვანდ ასტვაცატუროვი, მარიამ ხაბელავა, ლეონიდე ტიტოვი, სამსონ ბერიძე, ევგენი გასპაროვი, ელენე ტორაძე, ნიკოლოზ კეკელია.

მედსექციიდან: მარიამ ანანიაშვილი, ნატალია ფიცხელაური, ბეგიჯანოვი, ოლღა ჯავარშეიშვილი.

მშენებელ მუშათა მომზადება

დღეს, 24 მაისს, შრომის ბირჟა დაიწყებს უმუშევართა შერჩევას საამშენებლო კურსებზე გასაგზავნათ.

მსურველები უნდა გამოცხადდნენ შრომის ბირჟის წითელ კუთხეში.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ლენრაიონის ჯგუფური კრებები საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმის და მეთექვსმეტე პარტკონფერენციის შედეგების შესახებ შესდგება ა. წ. 24 მაისს საღამოს 6 საათზე:

სტალინის სახელობის ქარხნის კოლექტივი, კოლექტივი მ. ო/2, აგურის ქარხნები— გაიმართება პლეხანოვის სახელობის კლუბში; დეპოს კოლექტივი — ვაგონების პარკში, ტრამვაის კოლექტივი, სახელმწიფო კინო - მრეწველობა, საგზაო პროფგანათლების განყოფილება, განათლების მუშაკთა კავშირი, რკ. გზის სტამბა, „სამშენის" მექანიკური სახელოსნო, შ. ჩ/3, შ. მ, საამშენებლო ტეხნიკუმი, საამშენებლო სასწავლებელი — ტრამვაელების კლუბში საზაფხულო და საზამთრო შენობაში; მოძრაობის დარგი, თბილისის სადგური, საბარგო სადგური, გზათა მცველი რაზმი, სალიანდაგო დარგის მეექვსე უბანი, მაუდის ფაბრიკა, „მაჩტოსტროი", ა. კ. რკ. გზ. გამგეობის კოლექტივი, შავი ზღვის რკ. გზ. კოლექტივი, საგზაო სატრანსპორტო პოლიტსამმართველო, რკ. გზის საავადმყოფო, მუშფაკი, სალიანდაგო დარგი და სტატისტიკის და კარტოგრაფიის განყოფილება — ორჯონიკიძის კლუბში, საზაფხულო და საზამთრო შენობაში; ფაბრიკა „პროლეტარი", „რ. ლიუქსემბურგის" სახელობის ფაბრიკა, „26 კომუნარის" სახ. ქარხანა, კალინინის სახელობის ქარხანა, „ხის ნაწარმი", ქარხანა „ლუქსმანი", სპილენძის სატკეცი ქარხანა, მჭვირთავები, გემოკვების მესამე ქარხკომი, ა. კ. რკ. გზ. სატრანსპორტო საზოგადოება, საქაბჭოს კომიტეტის მაღალი ტიპის სკოლა— მელითონეთა კლუბში.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას საორგანიზაციო განმანაწილებელ განყოფილების საალრიცხვო ქვეგანყოფილება იწვევს ამხ. ყანდარელს, რომელიც ორი დღის განმავლობაში უნდა გამოცხადდეს ცეკაში (ოთახი № 22).

—

საქართველოს ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ კვირას 26 მაისს დილის 9 ნახ. საათზე, საქართველოს ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტის ბინაზე (რუსთაველის 20) შესდგება თბლისის კომიტეტის სარევიზიო კომისიის სხდომა.

საჭიროა სარევიზიო კომისიის წევრების დასწრება.

—

შაბათს, 25 მაისს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის აგიტპროპმუშაობის კაბინეტში შესდგება საღამო სახელმწიფო გამომცემლობის ათი წლის თავის აღსანიშნავად.

—

სახ. უნივერსიტეტის პარტ. ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, 24 მაისს, 12 საათზე მოწვეულია ბიურო-კოლექტივის სხდომა. ბიუროს შემადგენლობის დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—

პარასკევს, 24 მაისს, საღამოს 6 საათზე, ტრამვაის კლუბის შენობაში შესდგება ჯგუფური კრება, სავალდებულოა განათლების მუშაკების—კ. პ. წევრების და კანდიდატების დასწრება.

—

ლენინის სახელობის ს. ს. პ. ი. საამშენებლო ფაკ. ამ. ლ. კ. კავშირის უჯრედის კრება შესდგება დღეს, 24 მაისს, საღამოს 7 საათზე აუდ. № 6. კომკავშირის წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი შვილები გიორგი, სიმონი და ვარლამი ცოლშვილით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ გარდაიცვალა მათი საყვარელი დედა

ცაცა წერეთლისა

დაკრძალვა ს. პერევისაში (შორაპნის მაზრა) შაბათა, 25 მაისს. (ე)

კვირას, 26 მაისს, 12 საათზე, ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი

ოლია ჩხაიძის ასულ გაბუნიას

ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც აუწყებენ საზოგადოებას მშობლები, დები და ძმები 1904

გაუბედურებული მამა მელიტონ, მეუღლე პაშა შვილებით: არჩილი, ალექსი, რიფსიმე ყიფიანები, სიდედრი მარიამი ულრმეს მადლობას უცხადებენ მათ, ვინც გაიზიარა ჩვენი მწუხარება

პლატონ მელიტონის ძე ყიფიანის

უდროოდ დაკარგვის გამო. 1907

საზ. აკ. ოპერის თეატრი	ქუთაის-ბათომის სახელმწ. დრამის თეატრი კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით გასტროლები თბილისში
პარასკევს, 24 მაისს	უკანასკნელი წარმოდგენა 1. ურიელ აკოსტა (მე-3 მოქმ.) 2. ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ (მე-3 მოქ.) 3. ყვარყვარე თუთაბერი (მე-2 მოქ.) 4. კაკალ გულში (1 მოქ.) მონაწილეობს მთელი დასი
ბილეთები იყიდება	დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე. 2—2 ნ. 2734

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართ. აღმასრულებ.

გ. ი. ქილიფთარი

აცხადებს, რომ ის 27 მაისს 1929 წ. დღის 10 საათზე სახლში № 11 რტიშჩევის ქუჩაზე

საჯარო ვაჭრობით

გაიყიდის მარიამ იაგუბოვას ერთ როიალს „შრედერი"-ს ფირმისა, შეფასებულს 690 მან., პარანდემი მელიკ-აკოპოვას ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 7 ივნისის 1928 წ. თარიღით, № 677 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 1905

ჭიათურის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი

შ. ს. ლაბაძე

აცხადებს, რომ 1929 წ. 28 მაისს დღის 12 საათზე ქალ. ჭიათურაში **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება ორი შენობა, მდებარე ქალ. ჭიათურაში ზდანოვიჩის ქუჩაზე, კუთვნილი ალექსანდრე სოლომონის ძე სამხარაძის; ერთი შენობა ხისაა, დახურულია ცინკით და მეორე აგურის, კრამიტით დახურული. ორივე შენობა დაფასებულია 700 მან., დასაკმაყოფილებლად აბრამ მარუფოვის ვალის, თანახმად ჭიათურის უბ. სახ. სასამართლოს აღმასრულებელ ფურცლისა 1928 წლის 18 სექტემბ. № 2615. ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება, უნდა წარმოადგინოს 10 პროც. საწინდარი და მოწმობები საბჭ. სამ. საპრ. კოდ. 311 მუხლის დაცვით. თუ აღნიშნულ რიცხვს არ შესდგა საჯარო ვაჭრობა, მეორე საჯარო ვაჭრობა შესდგება 4 ივნისს, დღის 12 საათზე. ნ. 2737

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეზხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.
მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

თმის მკურნალობა
ვ. ი. დანილევსკაიას
საექიმო კოსმეტიკა
ლადო დუმბაძის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 18 პირისახის ყოველგვარი დეფექტის რადიკალური მკურნალობა. უცხოეთის უკანასკნელი მეთოდები. პირისახის და ხელების ყოველგვარი მასაჟი, აბაზანი, ნიღაბი. ყოველგვარი ელექტრიზაცია. რადიო-მოკს. მსურველთა მიღება ნაშუადღევის 1 ნახ. დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან—8-მდე. 25—1

სახელმწიფო კინო თეატრები		
განთიადი	მხატვრული სურათი	**ზვავი**
მინიონი	მეორე კვირა მიდის	**საბა** რეჟ. მ. ჭიაურელი
პროლეტარი		
პალასი	ანა სტენ, გ. მიჩურინი სურათში	**ოქროს ნისკარტი**
აპოლო	მეჟრაბპომ - ფილმის მხატვრული სურათი	**მხიარული იადონი**
არფასტო		
სოლეი	კინო-რევიუ	**შუშის თვალი**
დარბაზი		**მორალი**

ანონსი: ამ დღეებში გაიხსნება საზაფხულო კინო-თეატრი პალასი

კინო პალასი
დღეიდან
ანა სტენ,
გ. მიჩურინი
მხატვრულ სურათში
ოქროს ნისკარტი
რეჟისორი
ჩერვიაკოვი
ოპერატორი
ბელიაევი

ექ. დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოულილობანი ხმის და მეტყველებისა
აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა) მიღება: საღამოს 7—8 საათ. გარდა კვირა დღეებისა.
ტელ. №25—73 25—6 1240

ქ. ქუთაისში
ექიმი
დ. ა. ჩიჩელაშვილი
იღებს სპეციალურად ფილტვების ავადმყოფებს
დილის 8—12 საათამდე. ჭავჭავაძის ქუჩა № 4 ცეცხლის მქრობელ რაზმის გვერდით. 25—1

პროფ. **ბრ. მ. მუხაძე**
თბილისიდან წასულია და დაბრუნდება 20 ივნისს. 13—1

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ექიმ
ნ. გ. კონტოროვიჩისა
ფრეილინის ქ. № 1. სოლოლაკის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა
ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება
მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—11

ექიმი
ს. ი. ანდრეევისა
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა
მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29 ელსმენი—11—78. 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. ნ. 20 25—1

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე. მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე-სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე. ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე. 13—1

ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოე"-ს), პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8.

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება:
ყურის, ცხვირის, ყელის სნეულებანი და მათი ქირურგია
მიღება 5—7 საათ. საღამოს მისამართი: ჯულაშვილის ქუჩა (ყოფილი რტიშევის) № 14
ტელეფონი 20—10 25—22,

ლოგოპედი
ა. ა. პაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, ჩფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ
კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01.

ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტროაპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 495 2—5 25—18

დავკარგე: პურის წიგნაკი № 9 გაბრიელ ბოსიკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1908

დავკარგე: პურის წიგნაკი № 316 მარიამ ქაჯაიას სახელზე, ჩ. გ. 1909

დავკარგე: პურის წიგნაკი № 3750 ჩანგიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1912

დავკარგე: მუშკოოპის წიგნაკი № 55559 და კავშირის წიგნაკი № 5728 ლუკა ადიგაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1910

დავკარგე: მუშკოოპის წიგნაკი № 39088, ონისიმე მაისურაძეს სახელზე, ჩ. გ. 1906

დავკარგე: პარტიის საკანდიდატო მანდატი № 20936, სასო იაგორის ძე ცხვარიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1903

დავკარგე: მიწა-ტყის კავშირის წიგნაკი № 145, უმუშევრობის დაზღვევ სალაროს წიგნაკი № 10427, ლომბარდის ქვითარები №№ 047728 057711, 069553, 073350, 065194, 88985, 105481 ალექსანდრე დავითის ძე ციციშვილის სახელზე ჩ. გ. 1909

დავკარგე: საკანდიდატო ბილეთი № 12492, იოსებ გრიგოლის ძე დათიაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2738

ტირაჟი—38,320

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ყაზმოს ქუჩა № 6ა

მთავლიტი № 204.